




**მოგონებები გარდასულ დღეთა**



**მოგონებები კოლო იაზვილზე**

**გამომცემლობა „მერანი“  
თბილისი**

მოგონებანი პაოლო იაშვილზე პირველად იკინძება ცალკე წიგნად. თანამედროვეთა თვალთახედვით წარმოჩენილია პაოლო იაშვილი – პიროვნება, პოეტი და მოქალაქე. ავტორთა უმრავლესობა ბრწყინვალე ქართველი და რუსი მწერლები, პოეტის მეგობრები და მისი შემოქმედების ჩინებული მცოდნენი იყვნენ. ამიტომაც ახლაც მათ მოგონებებს განუმეორებელი ინტიმიც და მხატვრული ხიბლიც. კრებულს არა აქვს ხისრულის პრეტენზია.

შეადგინა და ბოლოთქმა დაურთო ლალი ავალიანმა  
გამომცემლობის რედაქტორი ლია შარვაშიძე  
მხატვარი ჯემალ ზენაიშვილი



# ირაკლი აბაშიძე

## პაოლო იაშვილი

პაოლო იაშვილი თითქოს მოხუცებას უცდიდა, რომ ბუნებით ნამდვილ ეპიკურელს, ცხოვრების ყველა სიამით საბოლოოდ გულმოჯერებულს მარტო პოეზიისათვის მხოლოდ მაშინ მიეცა თავი.

იგი, თითქოს რაღაც მოუცლევლობის გამო, ჯერ კიდევ არ უშვებდა თავის ჭეშმარიტად ძლიერ პოეტურ ენერჯიას მაღალი ძაბვის ზახებში, ან მხედრის ენაზე რომ ეთქვათ, ცხენს სადავეს არ აძლევდა, თავს უჭერდა; თუ ხანდახან მიუშვებდა, ისიც საჩვენებლად, საღალბოდ, მაყურებელთა საცქერლად და გასაკვირვებლად, მაშინვე კი იქვე ყალფზე შეაყენებდა – შემდეგაც მოვესწრებითო. თავდავიწყებულ პოეტურ მარტვილობას ერგდებოდა, ყოველდღიური ცხოვრება არ ეთმობოდა; ერთი სიტყვით, იყო პოეტი “მდგარი მიწაზე ორივე ფეხით”, სახელი და ფართო პოპულარობა კი მისმა მაღალნიჭიერებამ, ქართული სიტყვის უდავო ოსტატობამ, მისმა დახვეწილმა, ნათელმა და მოხსლეტილმა ლექსმა მოუპოვა, რომელშიც თითქმის ყოველთვის უმტყუნოდ პოულობდა სრულყოფას შემოქმედის პოეტური ჩანაფიქრი.

პაოლო იაშვილის ლექსი საბადოდან ნიმუშად წამოღებულ ძვირფასი მადნის ნატეხს ჰგავდა, ან მარნიდან საჭაშნიკოდ მოტანილ ღვინოს.

ქართულ პოეზიაში პაოლო იაშვილი პირველი მსოფლიო ომის წლებში შემოვიდა. იგი ეკუთვნოდა რევოლუციამდელ ლიტერატურულ “ცისფერყანწელთა” ჯგუფს, რომლის წევრთა შემოქმედებაც, როგორც ცნობილია, საქართველოში დასაკლეთ ვეროპისა და რუსეთის სიმბოლიზმის დაგვიანებული გამოძახილი იყო.

ეს ჯგუფი თავის ადრინდელ მანიფესტებსა და წერილებში გამოდიოდა ინდივიდუალიზმის, ცხოვრებიდან მოწყვეტის, უკიდურესი ესთეტიზმის და დეკადენტური ხელოვნების მქადაგებლად. ხელოვნებისა და ლიტერატურის დანიშნულების ამგვარი ქადაგება, როგორც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, არაბუნებრივად გაიხსმა მაშინდელ ქართულ სამწერლო ასპარეზზე, რომლიდანაც ის-ის იყო გავიდნენ ჩვენი კლასიკური ლიტერატურის ნათელმოსილი კორიუფები – აკაკი და ვაჟა-ფშაველა.

უცხოეთიდან ხელოვნურად შემოტანილ ამ ქადაგებას ქართულ თავისებურ სინამდვილეში მყარი ნიადაგი არც რევოლუციამდელ ჰქონდა.

თუ თავის დროზე რუსი დეკადენტები აკვირვებდნენ აუადმოფ ჩეხოვს თავისი ჯან-ღონითა და ფერ-ხორციით, სიცოცხლის სიყვარულით,



ეს მით უმეტეს ითქმის ქართველ "სიმბოლისტებზე" — ლიტერატურულ ჭაბუკებზე, რომლებისთვისაც სრულიად არ იყო უცხო ჩვენებური, ძველ-ქართული დარღვიანობა და სიცოცხლის ჭარბი უნარიანობა.

— თვითმკვლევლობასა და დაკრძომილებას როდი ჩააგონებდა მათ ქალაქი ქუთაისიც — ქართული დეკადენტური ახალგაზრდობის ეს მონმარტრი და ლათინური კვარტალი.

— ბუნებით ცოცხალი, გულღია და სისხლჭარბი პაოლო იაშვილი თავის ამხანაგებთან შედარებით ყოველთვის ნაკლებად წააგავდა დაცემულობის გამომხატველ დეკადენტს. მისი წინარეეოლუციური ლექსებიც ნაკლებად ატარებენ უკიდურესი ინდივიდუალიზმის, კოსმოპოლიტური ესთეტიზმისა და ცხოვრების უარყოფილობის კვალს. ეს ლექსები, პირიქით, საესენი არიან სიცოცხლით, სამშობლოსა და მშობლიური ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით.

ქართველ მწერალთა შორის პაოლო იაშვილი პირველი დადგა რევოლუციური საბჭოთა პოეზიის პოზიციასზე. ის თანდათანობით განთავისუფლდა "ცისფერყანწელური" ტრადიციებიდან და გავიდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მაგისტრალურ გზაზე, რომელიც დაკავშირებული იყო ჩვენი კლასიკოსების საუკეთესო რეალისტურ ტრადიციებთან.

ოცდაათიან წლებში კი პაოლო იაშვილმა საბოლოოდ თავი დააღწია სიმბოლიზმის ეიწრო, ხელოვნურ ჩარჩოებს და მისი შემოქმედება დაემგვანა ნაპირებიდან გადმოსული მდინარის ფართო, მძლავრ დინებას. მისი პოეტური ენერგია წყაროსავეთ სჩქეფდა და უფრო და უფრო დაძაბული ხდებოდა. პაოლო იაშვილი ამ წლებში იმყოფებოდა შემოქმედებითი განვითარების ზენიტში, მის წინაშე იშლებოდა თვალუწვდენელი პერსპექტივები.

ლექსში "საკუთარ თავს", რომელიც მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწარმოები აღმოჩნდა, პაოლო იაშვილი მკითხველთა წინაშე წარმოსდგა ფართო პოეტური ჩანაფიქრით, რომელიც უახლოეს დროში უნდა განეხორციელებინა:

დასწერე მტერთა ბანაკზე  
და ხიხარული მიწისა,  
ანდა პოემა განაგრძე  
დახერეტილ ჯაფარიძისა.

უნდა თქვა ხმა ხაკახეთო,  
მიხი კვლები გულიან,  
ან ახალ თვლით გახედე  
მურძაყან დაღუშქელიანს.

ლაჯექი, ღასწერე, ღახატე,  
შენთვის უღუუად ნაწესი,  
ახალ თქმუღუბად გახადე  
ამბავი საკატესი.

ეჭერე გულ გამწარებით  
მას, ვინც ხვუა ფიქრით გართულა,  
ბადად, თანატოლ აწკარებით  
გეთხარ ჰუშკინი ქართულად.

ჰაოლო იაშვიღს მთელი სერიოზუღობით ჰქონდა შეგნებუღი ჰო-  
ეტის ჰასუხისმგებღობა სამშობღოსა და ხალხის წინაშე; ეს გრძნობა  
შესანიშნავად არის გამოხატუღი მის მეორე, აგრეთვე ერთ-ერთ უკანას-  
კნელ ლექსში “ჰოეტის საქმე“:

ჩემო ქვეყანა, ღამსვი ჰოეტად  
შენი შრომის და მიწის საქებაღ,  
ღა რაც კი ძალა მომეჰოვება,  
მინდა ლექსებით გადმოღაგება.

ჰოეტს ახარებდა შეგნება, რომ ის მხარღამხარ იღგა ნათელი მომავ-  
ღის მშენებღობის საქმეში ჩაბმულ ხალხთან, მან საბოლოოდ შეიგნო,  
რასში მღგომარეობს საბჭოთა ჰოეტის მადღალი მოწოდება. ჰოეტი სიამა-  
ყით აცხადებდა:

მეღ, გაზაფხუღო, შენის ღიდებით  
სავსე ყოვეღ ღღის საქმეს კეხები,  
ღა მწერღის შრომას მოვეკიდები,  
როგორც კიდღან გუთანს გღეხები.

საბჭოთა ხალხმა ღრმად შემოინახა გულში თავისი ჰოეტის სიყვარული, – სიყვარული, რომღითაც ის აჯიღღობდა ჰაოლო იაშვიღს მთელი მისი ხანმოკლე სიცოცხღის მანძიღზე.

ჰაოლო იაშვიღმა აგრეთვე დაგეიტოვა მთელი რიგი ბრწყინვადღე ჰოეტური თარგმანები – ჰირევეღ რიგში, ჰუშკინის ლექსები და ჰოემე-  
ბი...

## ზარები ოცდაათიანი წლებიდან

თავდაპირველად ეს ფურცლები მხოლოდ სიცოცხლეზე უსახვე-როდ შეყვარებული პოეტის, პაოლო იაშვილის ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულზე იწერებოდა, რითაც ეს მოგონება საბოლოოდ მაინც მთავრდება და რაც იმ წლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთი მეტად განმაურებული უბედურება იყო. მერე კი კალამი იმ დროის სხვა მოვლენებისკენაც გამექცა, თუმცა ყოველ გვერდზე ვცდილობდი სადმე, რომელიმე მოვლენის სიღრმეში თავდავიწყებით არ შეეჭვრილიყავი და ჩემს მიზანს უთავბოლოდ არ დავშორებოდი.

... დღეს და უკვე დიდი ხანია არაეინ იცის, რომ თბილისის ერთ-ერთი უღამაზესი შენობის, სარაჯიშვილის (შემდეგ ხოშტარიას) სახლის მწერალთა და ხელოვნების მუშაკთათვის საჩუქრად გადმოცემის საშვილიშვილო საქმეს, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებშივე უმეთაურა პოეტმა პაოლო იაშვილმა. სწორედ პაოლო იაშვილმა საქართველოს ახალ მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ, 1921 წლის მარტშივე ამცნო თბილისის ინტელიგენციას ხელისუფლების გადაწყვეტილება, სარაჯიშვილ-ხოშტარიას სახლის "ხელოვანთა სასახლედ" გამოცხადების შესახებ.

პაოლო იაშვილს უკვე გარკვეული ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა. ცნობილია მისი და ტიციან ტაბიძის კეთილი როლი თბილისში თებერვლის დღეებში წესრიგის დამყარების საქმეში.

... ბუნებით აქტიური, უსახვეროდ ენერგიული რაინდი, პროგრესულ ბუნების კაცი პაოლო იაშვილი, "Язон аргонавтов двадцатого века поэтов Колхиды", იმ წლების ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი სული და გული იყო. ამ ინტელიგენციაზე განუწყვეტლად მზრუნველი, იგი თებერვლის საქართველოში ასრულებდა დაახლოებით იმ შუამაგლის როლს, როგორსაც ოქტომბრის რუსეთში ხელისუფლებასა და ინტელიგენციას შორის მაქსიმ გორკი. პაოლო იაშვილი არამარტო "ციხფერყანწელთა" მეთაური იყო, ბევრი უბრალო ქართველიც ჰყავდა კმაყოფილი, დაუზარებლად იცოდა სირბილი მთავრობისა და ქალაქის ხელმძღვანელთა კაბინეტებში აღამიანთა დასახმარებლად.

არა მარტო ქართველებს ეხმარებოდა. თბილისი სავსე იყო იმ წლებში რუსეთიდან დაძრული ინტელიგენციით, მწერლებით, მსახიობებით, მხატვრებით, მუსიკოსებით. ეს მაშინ, როცა ნიკოლოზ ბერდიაევის ოდესდაც თქმული სიტყვით "Традиционная история русской интеллигенции кончена" და აღუქსანდრე ბლოკის სტრიქონებით: "Мы дети страшных лет России забыть не в силах ничего". ყველა

მათი პატრონები თბილისში იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიცინ ტაბიძე, პაველ ინგოროყვა და გიორგი ლეონიძე (პაველ ინგოროყვა მაშინ ყველაზე ახლოს პოეტებთან იყო — “ძმავ ინგოროყო, პოეტო აღრე...”).

... ოციან, ოცდაათიან წლებში ქართულ პოეტურ სამყაროში გალაკტიონ ტაბიძის “ღურჯაცხენებთან”, “მერისა” და “მესაფლავესთან”, იოსებ გრიშაშვილის ლექსებთან ერთად ხმამაღლა გაისმოდა პაოლო იაშვილის “ღედა, ინახულე შენ წმინდა ხახული, წადი ფეხშიშველი, ქალაქში დაკარგულ შვილისთვის დამე გაათიე”; ან, “იქ, სადაც სდუმან პირამიდები, შენ მომინდები, შენი თვალები, შენი მკლავები, შენი სინახე”; ან, “ამპარტაყანი და ყოველთვის პირგაპარსული, ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული”... ან კიდევ, “გამოვექციე ევროპის ქაოსს, სისხლს, დანგრეულ რეიმის ტაძარს, უზარმაზარ ტანკების ქშენას...”; “გახდა პარიზი უსიცოცხლო და უსიმღერო”... “ვიგონებ მართლა ჟრუანტელით ლამანშის სრუტეს, იქ ჩალაგებულ ატლანტიკის ანთებულ გემებს”...

უცხოეთიდან, პარიზიდან დაბრუნებულმა პაოლო იაშვილმა, საქართველოში მოიტანა სრულიად ახალი პოეტური სიტყვა, ევროპული მხატვრული მეტყველების დიდი გამოცდილება და როდესაც ღღეს ლაპარაკობენ “ცისფერყანწელთა” დიდ როლზე ქართული ლექსის განახლების საქმეში, აქ პირველობა, რასაკვირველია, პაოლო იაშვილს ეკუთვნის და ის იყო პირველი ინიციატორიც და მეთაურიც ქუთაისში ახალგაზრდა ლიტერატორთა ჯგუფის შეკავშირებისა, რომელთაც თავისთავს, როგორც ეს ცნობილია, “ცისფერყანწელები” უწოდეს. ეს იყო “ღაბალებით მეთაური” და ამ მეთაურობას ის კი არ ეძებდა, ეს “მეთაურობა” მასთან თავად მიდიოდა.

ამავე დროს იგი მართლაც წარმოუდგენელ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი იმპოზანტური აღნაგობით, სილამაზით, თავისი განუმეორებელი სიცილით, აღერსით, ზრდილობით, ექსპრომტებით. მთელ ქალაქში დადიოდა ქიმერიონში პაოლო იაშვილის მიერ წარმოთქმული “უეცარი ლექსები” და ამის გამო ქიმერიონსაც დიდი შემოსავალი ჰქონდა. მახსოვს იმდროინდელი სიმღერა: “იაშვილი ლექსებს ამბობს, მაჩაბელი (ილო მაჩაბელი, ქიმერიონის არენდატორი) ჩვენ ტყავს გეაძრობს, ქიმერიონმა დამღუპა“-ო (ახლა ეს ქიმერიონი, უპირატესად ლადო გუდიაშვილის სამყარო, რომლის შესასვლელშიც დახატული იყო პოეტი პაოლო იაშვილი ყანწებით ხელში, დახურვის შემდეგ დიდხანს მნახველთათვის დაფარული, როგორც საზოგადოებამ იცის, აღდგენილია თავისი ცნობილი კედლის მხატვრობით).

... დაუეწიყარი რამ იყო რიონჰესის გახსნის დღე ქუთაისში. დღევ და დამეც; რომლის პოეტური სიტყვით გადმოცემაც თავის დროზე მე ვცაღე ლექსში “ჭომა” — როცა ქუთაისის “გრანდოტელში” “მესამე განყოფილების” შემდეგ ვლადიმერ ჯიქიამ გამთენიისას პოეტები გაგვაქანა ჭომაში და “ალავიძის დუქნის კარებთან მიწას დააკედა ავტომობილი”.

პაოლო იაშვილმა რიონჰესის მშენებლობისადმი მიძღვნილი "სამასი არგვეთელი" "შეკვეთით" და "მიეღინებით" დაწერა. ერთიც და მეორეც თავის თავს თვითონვე დააეალა; როცა რიონჰესის მშენებლობას მუშახელი შემოაკლდა, იგი წავიდა თავისსავე სოფელ არგვეთში, იქ შეაგროვა და თავის საყვარელ მეგობარს მიჰგვარა 300 არგვეთელი ჭაბუკი, როგორც 300 არაგველი.

ქართული მწერლობაც გატაცებით ჩაერთო ეპოქის ამ დიდ საერთაშორისო საქმეში, თავისი "ინტერნაციონალური მოვალეობის" შესრულების საქმეში. ჩვენ პატარა პოეტური კრებულიც კი გამოვეცით, მიძღვნილი ესპანეთისადმი. ამ კრებულის გამოცემა, მახსოვს, პაოლო იაშვილმა ითავა. მეც დამიკვეთა მან ლექსი და მეც დაუყოვნებლივ შევასრულე დაელება ლექსით — "ესპანეთის მებრძოლთ".

ჩვენი სტუმრების, განსაკუთრებით ბორის პასტერნაკის პირველივე თარგმანების მეოხებით რამდენიმე ქართველი პოეტი, უფრო მეტად პაოლო იაშვილი, ტიცციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი უკვე ასე თუ ისე ცნობილი იყვნენ სსრკ მწერალთა 1934 წლის პირველი ყრილობის მონაწილეთათვის (ზოგ ქართველ მწერალს, პოეტს, მოსკოვის ლიტერატორთა გარკვეულ წრეში უფრო ადრეც იცნობდნენ, როგორც ვთქვით, ესენინის ცნობილი ლექსით "Поэтам Грузии", ანდრეი ბელის წიგნიდან "Ветер с Кавказа" და რუს მწერალთა სხვა ქმნილებებიდან). ხოლო პაოლო იაშვილი, არა მარტო ცნობილი, აქაც. ამ მრავალრიცხოვანი და მრავალეროვანი ფორუმის მონაწილეთათვის ერთ-ერთი თვალსაჩინო და პატივსაცემი კაციც გახდა მას შემდეგ, რაც იგი ტრიბუნაზე დადგა ისააკ ბაბელის ანდრე მალროს გამოხვალათა შორის და ეს უღამაზესი და წარმოსადეგი ვაუკაცი ქართული ზრდილობით და ევროპული თავაზიანობით, გოლიათის ხმით, ტაშის გრიალში მიესალმა ყრილობის უცხოელ სტუმრებს, რაც მანამდე არაგვის მოფიქრებია. მეგრ თავისი გულითადი ღიმილით განაცხადა — "Со дня сотворения мира не было случая, чтобы столько писателей радовались вместе". მიხაროდა მეც, ყრილობაზე ერთ ყველაზე ახალგაზრდათაგანს, 24 წლის მონაწილეს, რომელიც ამ ფორუმის დელეგატად საქართველოს მწერალთა შეკრებაზე სწორედ პაოლო იაშვილმა, სწორედ ამ ორატორმა დამასახელა. დელეგაციის თბილისში დაბრუნებისთანავე ჩვენმა ლიტერატურულმა გაზეთმა გამოაქვეყნა პაოლო იაშვილის კარიკატურა დიდი ყანწით ხელში; ქვემოდ წარწერა ლექსად ჩემი იყო: "სტუმრებს მიუძღვნა პაოლომ სიტყვა, ურითმო შაირი: მობრძანდით, ყანწით დალიეთ ჩვენი საბჭოთა ჰაერი".

ეს პაოლოს არ სწყენია, პირიქით.

... მეტიხმეტად ხმაურობ შვილო, პაოლო, მეტიხმეტად – ასე წინასწარ უგრძნო გულმა პაოლოს მამას – ჯიბო იაშვილს, სწორედ ზმავე წლებში ამ ქვეყნიდან წასვლის წინ, მომავალი უბედურება, ხმაურის, მით უფრო ზედმეტად ხმაურის უფლება კი რესპუბლიკაში ეკუთვნის მხოლოდ ქვეყნის თავკაცს – ესეც ოცდაათიანი წლების საზოგადოების მორალური კატეგორიიდან.

პაოლო იაშვილის მრავალრიცხოვან ნათესაეთაგან დღეს თბილისს მხოლოდ რამდენიმეღა შემორჩა. მისი უსაყვარლესი ერთადერთი ქალიშვილი მედეა, ქართული ენციკლოპედიის თანამშრომელი მისი დარსების დღიდან. დისწული, ცნობილი ქართველი მეღვინე ვახტანგ მოდებაძე, ძმისშვილები ნოდარ, ოთარ და ნათელა იაშვილები. არა ასეთი ახლობელი, მაგრამ მისი ნათესავი ვიყავი მეც, ანუ ჩემი ნათესავიც იყო იგი დედამის – მოდებაძის ქალის მზრიდან, პაოლოს დაა პაშა გახლდათ ბიცოლაჩემი, მეუღლე პლატონ მოდებაძისა.

პოეტის თვითმკვლელობის შემდეგ ყველა მისი ახლო ნათესავი იყო დევნილი, ხოლო მათ შორის ძმისწულმა ნოდარ იაშვილმა 15 წელი გაატარა შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებაში. ჩემი სტუდენტობის დროს, ოციანი წლების ბოლოს, ერთხანს ბიცოლაჩემის ბინაშიც კი ვცხოვრობდი, ყოფილ გუნების ქუჩაზე, სადაც უფრო მეტად პაოლოს უმცროს ძმასთან ტუპია (ივანე) იაშვილთან ვმეგობრობდი, ამ მშვენიერი ვაჟკაცის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. პაოლო იაშვილს ამ ოჯახში იშვიათი შემთხვევის გარდა, მე მხოლოდ საზოგადოებრივ შეკრებებზე, საქართველოს მწერალთა კავშირში და სხვომების შემდეგ “მესამე განყოფილებებზე” ეხვებოდი, ან რომელიმე შემოქმედებით მივლინებაში.

... მე ახლაც ვფიქრობ ხოლმე, როგორ იცხოვრებდა, რითი იარსებებდა იგი, წინ რომ დეთისმიცემული ცხოვრების დიდი გზა კქონოლა. პრაქტიკული ცხოვრებისთვის ის სრულიად მოუმზადებელი იყო. ახალგაზრდობაში დიდხანს “ჯიბოს ჯიბით” ცხოვრობდა, როგორც თვითონ ხუმრობდა ხოლმე (გერონტი ქიქოძე იგონებს – “განუბნებულ იყო შეძლებული მამის მიერო”). თუმცა ბევრი პოეტი მაშინ ასევე თავისი “ჯიბოების ჯიბეებით” ცხოვრობდა, ან სადმე დაწესებულებაში ისხდნენ პატარა თანამდებობებზე (ტიციან ტაბიძე, მაგალითად, ყაზბეგის მუზეუმის დირექტორად ითვლებოდა თბილისიდან). დიდი თანამდებობისა და კარიერის ზმის აკადემყოფობა 30-იანი წლებიდან შემოვიდა, “ნეპის” გაუქმების შემდეგ.

თუ ძველად მისივე “ციხეფრეხაწელი” მეგობრები, ახლა პაოლო იაშვილს უკვე მოძმე ხალხების პოეტები უძღვნიან ლექსებს და ისიც ასევე გულუხვად პასუხობს მათ, მათ შორის შესანიშნავ უკრაინელ პოეტს მიკოლა ბაჟანს. მონაწილეობს ქართული ლიტერატურის დღეებში ლენინგრადში, მინსკში, ბაქოში...

კიდე უფრო აღზევდა მისი სახელი, რაც 1936 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 15 წლისთავზე რესპუბლიკის თავკაცმა იგი შეიყვანა ქართველი ხალხის წარმომადგენელთა დელეგაციაში, მოსკოვში სტალინთან წარსადგენად, საიდანაც იგი "შრომის წითელი დროშის ორდენით" დაბრუნდა (სხვათა შორის, დელეგაციაში არ იყო გალაკტიონ ტაბიძე, იგი ისე დააჯილდოვეს მაშინ ლენინის ორდენით).

იაშვილი სტალინს მეტად მოსწონებოდა; ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა თავის სტიქიაში იგი იმ შეხვედრაზე. სტალინმა გადაარქვა მაშინ სახელები ნატა ვაჩნაძეს და პაოლო იაშვილს და ქართულად უწოდა მათ ნატო და პაველ. არსებობს იმ შეხვედრის ჯგუფური ფოტოსურათიც პაოლოს დისწულის ვახტანგ მოღებაძის არქივში.

თითქოს ყველაფერი ბრწყინვალედ იყო.

შორს კი, შორს იძროდნენ შავი ღრუბლები, რომელთა მოახლოებამდე ერთი წელიც კი აღარ რჩებოდა.

"მეტისმეტად ხმაურობ შეილო, მეტისმეტად..."

... შეიქმნა შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში, თუ ისურვებდნენ, ნესტორ ლაკობას მსგავსად, იაშვილსაც და ახმეტელსაც (მით უფრო, რომ ისინი ერთმანეთის უახლოესი მეგობრებიც იყვნენ) შეეძლოთ უშუალოდ სტალინთან დაკავშირება საქართველოს თავკაცის გვერდის ავლით. აქ კი, აბა, შენ ვინღა ხარ, საქართველოს თავკაცო?

... თბილისში ინტელიგენციის წრეებში გახშირდა მითქმა-მოთქმა იმის თაობაზეც, რომ ბოლო დროს უკიდურესად გართულდა ურთიერთობა ორი კომუნისტის, რესპუბლიკის თავკაცსა და ვლადიმერ ჯიქიას შორის. ისედაც დაძაბულ ძველ ურთიერთობას ახლა ზედ დაერთო ზოგიერთი სხვა მეტად პირადული მომენტიც. ამ გართულებას, რასაკვირველია, კარგი არაფერი მოჰქონდა არა მარტო ჯიქიასთვის, არამედ მისი ახლობელი ადამიანებისთვის და მათ შორის პირველ რიგში პაოლო იაშვილისა და ტიცციან ტაბიძისათვის. როცა მით უფრო რესპუბლიკის თავკაცის ყურამდე მიაღწია პაოლო იაშვილის რუსულად თქმულმა პატარა ექსპრომტმაც "Была страна Иберия" (რაც გადმოსცემდა რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელის საზღვარგადასულ ამორალურ, ამურულ ცხოვრებას და რაზეც ბევრს ლაპარაკობდნენ მაშინდელ თბილისში. მე ჩემს ამ მოგონებაში ამაზე საუბარს გვერდს აუქელი — იქნებ ბევრი რამ აქ ჭორის დონეზეც იყო), ისევე, როგორც სტალინის ყურამდე მიაღწია მანდელშტამის გამქიქებელმა ლექსმა. ქვეყნის თავკაცი, მას შემდეგ, რაც მან პაოლო იაშვილი მოსკოვში ქართული დელეგაციის შემადგენლობაში წაიყვანა, მას თავის კაცად თვლიდა, იაშვილი კი, აგერ, ისევ ძველი მეგობრების, ჯიქიას, ელიაჟას, უკვე ხალხის მტრად გამოცხადებული ვინმე ძველი კომუნისტის აღნიაშვილის ერთგული მეგობარი დარ-

ჩა (ჯიქიას იაშვილი მოსკოვშიც კი ჰყავდა წარგზავნილი რიონქვის წარმომადგენლად თვეების მანძილზე).

შორეული შავი ღრუბელი სულ უფრო და უფრო ახლო მოიწევს პაოლო იაშვილის კუთვნილ ცის ნაჭერზე.

... თუმცა ყველა ფიქრობდა, რომ საშიშროება უფრო მეტად სხვა მწერლებს, მათ შორის, ეთქვათ, კონსტანტინე გამსახურდიას მოელოდა და ეის ეგონა, რომ ეს საშიშროება პირველ ყოვლისა პაოლო იაშვილს და მიხეილ ჯაფარიძეს მიადგებოდა კარზე.

... იმ ტრაგიკული წლის მაისის თვეში რესპუბლიკის ხელმძღვანელმა უმაღლეს ტრიბუნაზე თქვა – დროა გონს მოეგოს უკვე ორმოც წელს გადაცილებული პოეტი პაოლო იაშვილი.

ჩანს, პოეტის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და საქმეს კელარაფერს შველიდა პოეტის გამოსვლა (სხვა ქართველ ცნობილ მწერლებთან ერთად) მიტინგზე იმ ტრაგიკული წლის დასაწყისში, როცა ჯიქიაძე, ელიავაც უკვე რეპრესირებულნი იყვნენ (იხ. ჟურნალი “მნათობი”, 1937 წლის N 1-2). ვერც მისი ლექსი “ანდრე ჟიდს – მოღალატეს”, ფრანგი მწერლის, ანტიკომუნისტის ანდრე ჟიდის წინააღმდეგ – (კომუნისზმი და ანტიკომუნისზმი აქ უკვე აღარაფერ შუაში იყო).

ანდრე ჟიდი სწორედ ერთი წლით ადრე 1936 წლის იელისში ჩამოვიდა საქართველოში. ეს მაშინ თბილისში სენსაცია გახლდათ; უცხოელი კაცი მაშინ ჩვენში საერთოდ უცხო ხილი იყო და უცებ ანდრე ჟიდი – უგამოჩენილესი წარმომადგენელი დასაუღეთის სამყაროს მხატვრული სიტყვისა. რასაკვირველია, მისი მასპინძლობა და გიდობა პაოლო იაშვილს და ტიცციან ტაბიძეს დაევალა თითონ მთავრობის მიერ და მათაც მთელი საქართველო მოატარეს სასურველ უცხოელ სტუმარს; ამ მოგზაურობაზე მაშინ, მახსოვს, ბევრს ლაპარაკობდნენ თბილისში, მათ შორის ზოგ კომიკურ შემთხვევაზეც. მაგალითად, საუბრობდნენ თუ როგორ გაოცებულა უცხოელი სტუმარი თელავის სასტუმროში, როცა საწოლში დამით რაღაც წითელმა მწერებმა დილაღე არ დააძინეს, დილით კი რამდენიმე ეგზემპლარი ქაღალდში შეუხვევია საფრანგეთში წასაღებად, იქ უნდა შეეისწავლოთ.

ანდრე ჟიდს ამ თავის მოგზაურობაზე მალე პარიზში გამოუქვეყნებია დღიურები, სადაც საქართველოზე ბევრი რამ თავისი კრიტიკული შენიშვნაც უთქვამს: ეს წიგნი ჩვენამდე არ მოღწეულა და მასზე აქ ვერაფერს ვიტყვი. ვიტყვი მხოლოდ, რომ საქართველოს სტუმრის მიერ ჩვენი ქვეყნის ნაკლისა და “ჩრდილოვანი მხარეების” დანახვისათვის გაკაცხეს მისი მასპინძლები, გიდები პაოლო იაშვილი და განსაკუთრებით ტიცციან ტაბიძე, რომელიც ჟიდს თავის დღიურებში მოწმედ დაუსახელებია. ერთი წლის შემდეგ კი მათ ეს მოწმეობა კიდევ უფრო საბედისწეროდ შემოუბრუნდათ.

... ხმამაღალი ლაპარაკიც კი აღარ ისმოდა საქართველოს მწერალთა სასახლესა და ეზოში; იყო საიდუმლოებით მოცული ჩურჩული. ახლა



ჩურჩულელებდნენ უფრო ნიკო ლორთქიფანიძეზე, რომელიც იმ წინა დღეს ბათუმში სასამართლო პროცესზე თავის მეგობრად და თანამებრძოლად დაესახელებინა ბრალდებულ გრიგოლ ლალიძეს, მენშევიკების დროინდელ ქართველ მოღვაწეს. ნიკო ლორთქიფანიძეც იქვე უსიტყვოდ იდგა. პაოლო იაშვილი შუადღისას მოვიდა მწერალთა კავშირში. ხელში გაზეთებში შეხვეული თავისი დამლილი თოფი ეჭირა, მისი ცნობილი ძვირფასი "ლებო" (ერთ დღეს რომ კინალამ სერგეი ესენინს აჩუქა, ის რომ თავმდაბლად არ შეჰპირებოდა, მოსკოვში დაბრუნებისთანავე სწორედ ასეთ თოფს ვიყიდო) – გასაყიდად წამოვიღე, მაგრამ მონადირეთა კავშირში კამიკები მაძლიესო. მწერალთა კავშირის ბუფეტის გამგეს, რიფსიმეს, ვალი 7 მანეთი გადაუხადა და წავიდა. არავის მიუქცევიან ყურადღება, რომ წასვლისას მას თოფი ხელში უკვე აღარ ეჭირა, სადღაც დატოვა და მწერალთა სასახლიდან იგი უკან უთოფოდ გაბრუნდა.

ამ საიდუმლო ჩურჩულში გაისმოდა სახელი პაოლო იაშვილისაც, რომელიც როგორც ყველამ იცოდა, იმ დღეებში არაერთხელ იყო გამოძახებული უმაღლეს დაწესებულებებში და იქიდან ყოველთვის უსახლგროდ ადღელებული ბრუნდებოდა. არაყინ იცოდა, რაზე იყო იქ საუბარი რესპუბლიკის ხელმძღვანელთან; საუბარი კი, როგორც ჩანდა, იყო უკიდურესად მკაცრი და კატეგორიული; ასე იკითხება ეს პაოლო იაშვილის უკანასკნელ, თვითმკვლელობის წინა დღით ცოლისა და შვილისადმი დატოვებულ წერილებშიც. უკვე ყველა გრძნობდა, რომ ვლადიმერ ჯიქიას და გიორგი ელიაშას შემდეგ ჯერი პაოლო იაშვილზეც მოდგა, მაგრამ არაყინ მისი დახმარება არ შეეძლო და ამას, როგორც ხუმოთ ვთქვით, ვერც ვერაყინ მოიწადინებდა. იგი ახლა მხოლოდ ბედის ანაბარა რჩებოდა ამ უსახლგრო ცის ქვეშეთში.

... იმ საღამოს მწერალთა კავშირისკენ კრებაზე მიმავალს იგი თავისუფლების მოედანზე, კიროვის ქუჩის მოსახვევებში შემხვდა, თავისი საყვარელი თეთრი "ტოლსტოეკით" და "რაგოვის" ტუფლებით. მეიქით, ის აქეთ; შეეჩერდით, ერთმანეთს მივესალმეთ – ცოტა რუსთაველზე გაეღა მინდოდა მომესწროო, მითხრა (მე მაშინ მეგონა, კრების დაწყებამდე მოსწრებაზე მეუბნებოდა), შემობრუნდა და წამოვიდა. სახე უსახლგროდ ჰქონდა შეცვლილი; არ გამკვირვებია. რაც მას იმ დღეებში მძლევატრება შეხვდა. ისიც იცოდა, რომ იგი იმ წინა დღითაც იყო "გამოძახებული". მეერ უცებ მკლავში ხელი ჩამჭიდა და თავისი ბოხი ხმით მოულოდნელად მკითხა – გემინია ჩემს გვერდით სიარულიო? მე გაკვირვებით შევხედე – არა, კი არ გეწყინოს, მაგრამ გუშინ ბაბოსთან რომ მიდიოდი, მე ფანჯარაზე ვიყავი გადმომდგარი, შენ არ მომესალმეო (პაოლოს გვერდით, ჯაფარიძის ქუჩაზე ჩემი დაჰ, ბაბო ცხოვრობდა, პაოლო N7, ბაბო N5 სახლში. მე უცოლშვილო კაცი ჩემს დასთან ხშირად ვსადილობდი). – პაოლო, გუშინ მე ბაბოსთან საერთოდ არ ვყოფილვარ, რას ამბობ, რა შიშზე შეუბნები, აგერ ხომ გვერდით მოგყვები-მეთქი. – არა, მე ყველას დაუშვტყიცებ, რომ ვაჟკაცი ვარო; ყველას დაუშვტყიცებ... იმთაღაც, იმთაღაც... და მე მაშინ კარგად ვერ მიხვდები – ეის "იმთაღაც", რესპუბლიკის თავკაცებს, რომლებსაც იგი იმ დღეებში იძულებით ხშირად ხედებოდა, თუ უკვე რეპრესირებულ, უკვე დაღუპულ მის უახლოეს

მეგობრებს — იგი თითქმის ძაგძაგებდა და არეულად ლაპარაკობდა, ამიტომაც ჩვენი საუბარი გზადაგზა ვერაფრით ვერ გაება, მეც ერთსა და იმავე ფრაზას ვიმეორებდი — პაოლო, მენს ვაჟაკობას კიდევ მეტი მტკიცება რაღად უნდა-მეთქი. — არა, მე დაკუმტკიცებ ყველას და "იმათაცო"... მერე გზად სხვა მწერლებიც შემოგვხვდნენ.

ჩვენ ერთად წავედით იმ საბედისწერო სხდომაზე.

მწერალთა კავშირში კრებაზე ცოტა დაგვიანებით მივედით. სხდომის დარბაზი მაინცდამაინც გადატენილი არ იყო. კრებას მხოლოდ მწერლები ესწრებოდნენ. იხილებოდა პოლიტიკური "სიუხიზლის" საკითხი. სამარისებური სიჩუმით უსმენდნენ მწერლები ხელისუფლების წარმომადგენელს ტრიბუნაზე.

ერთხანს დარბაზში ნერვიულად იჯდა, მერე დარბაზიდან გავიდა. კრებაც დიდი ხნის დაწყებული არ იყო, რომ ამ სამარისებურ სიჩუმეში გაისმა ის ჯოჯოხეთური ქუხილი. ისეთი სიძლიერისა, როგორც შემდეგ მე დიდ მსოფლიო ომში საჰაერო დაბომბვის დროს მსმენია ხოლმე; და რომლებიც მე თავის მხრივ იქ, ომში, ყოველთვის ამ გასროლას მაგონებდნენ. ეს იყო გასროლა მისი საამაყო "ლებოს" ორივე ღულიდან, ჩვენი სასახლის მეორე სართულზე, იმ მისი საყვარელი თოფისა, რომელმაც, სამწუხაროდ, ახლაც ისევე როგორც ყოველთვის, არ უღალატა.

ყველანი თავგზააბნეული წამოვცვივდით, რა მოხდა? ვინ საით, ვინ საით. აუეთქება? მაგრამ სად? რისი? კედლებიც და ყველაფერიც თავის ადგილზეა. მამ სად? და ამ დროს მეორე სართულიდან კიბეებზე ჩამობრბის დამლაგებელი ქალი ანა, წივილ-კივილით — იაშვილი, იაშვილი!

სულ ხუთიოდე წუთში გაჩნდნენ ადმინისტრაციული დაწესებულების წარმომადგენლები და სასახლის კარებიც დაიკეტა. ისევე სამარისებური სიჩუმე; ახლა უფრო მეტი. ახლა უფრო სამარისებური. მხოლოდ ერთხელ გაისმა მიხეილ ჯავახიშვილის დაგუბული ხმა:

— ნამდვილად ვაჟაკი ყოფილა, გეთაყვათ! და მე მხოლოდ ახლა მოვედი აზრზე: რას ნიშნავდა მისი სიტყვები ნახევარი, სულ ნახევარი საათის წინ:

— მე დაკუმტკიცებ ყველას, რომ ვაჟაკი ვარო!

"შენ, შენ დაეცი იმ წელს

როცა საქართველოზე

კენის სულის აღზევებამ გადისრილა".

ეს სტრიქონები ეკუთვნის იმ, ჯერ კიდევ მაშინ ახალგაზრდა კაცს, რომელიც, როგორც 1989 წლის აგვისტოს "სახალხო განათლებაში" პედაგოგი თენგიზ მდივანი ერთ თავის მოგონებაში წერს: "იქვე კუთხეში იდგა და გულამოსკენით ქვითინებდა"... და რომელიც ამ ქვითინმა თვი-

თონაც კინაღამ განსაცდელში ჩააგდო, რომ არა მისი უახლოესი მეგობრები, მისი კეთილი "ცრუ მოწმეები", პოეტი სიმონ ჩიქოვანი და ჟურნალისტი გიგა შებუკე, და რომელიც, ალბათ, ბედისგან საბოლოოდ განწირული და მაშინ, მაინცდამაინც ანგარიშში ჩასაგდები კაცი არ იყო.

მაგრამ მე ჩემს მკითხველს ახლა კიდევ უფრო მძიმე სტრიქონები უნდა შევთავაზო: ღღემდე არ გამოქვეყნებულა პაოლო იაშვილის უკანასკნელი წერილები ცოლ-შვილისადმი, დაწერილი იმ ტრაგიკული დღის წინა ღამეს, 22 ივლისს. ისინი პირველად ღღეს იკელევენ გზას მკითხველთა გულებისაკენ.

"ჩემო შვილო, ჩემო კარგო მამიკო,  
ჩემო სიხარულო და ბედნიერებაე!  
მეღეა!

მაპატიე,

გემუდარები, მაპატიე ეს უდიდესი დანაშაული შენს წინაშე, მთელი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

მთელი ღამე არ მიძინია, დაგჩერებოდი შენ მძინარეს, მაგრამ თავის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა და ეერც შენ გადამარჩინე.

არავის დააბრალო ჩემი სიკვდილი. გაიზრდები, დაუფიქრდები ჩემს ბედს და დარწმუნდები, რომ ჩემი სიკვდილი სჯობდა, შენ უფრო უბედური იქნებოდი, რომ მე ღღეს თავი არ მომეკლა. გიყვარდეს ღედა და ყველა ჩემი ახლობლები, ისინი არ დაგტოვებენ არცერთი წუთით, და რამდენიმე დღე მაინც გაგიადვილებენ ობლობას.

მეტის წერა აღარ შემიძლია  
მშვიდობით მამიკო

მეღეა, მეღეა, მშვიდობით.

ისწაეღე, იშრომე, ყოველთვის მართალი სთქვი, ეცადე სასახელო ქალი გამოხვიდე, გიყვარდეს სამშობლო, მუდამ გახსოვდეს შენი ახლობლები და შენი მამა.

შენი უსაზღვროდ მოყვარული მამა“ 22.VII.37.

Дорогая, любимая Тамара!

Прощай. Перед смертью чувствую особую любовь к тебе. Рад твоим успехом в институте и уверен, что ты будешь полезным человеком для нашего общества. Береги здоровье, лечись. О Меее нечего тебе писать, я убежден, что ты из нее сделаешь настоящего человека.

Причина моей смерти невозможность соединить имя поэта, с теми оскорблениями, которые мне напесли люди, с которыми я дружил и которые действительно (я в этом вполне убежден) оказались врагами грузинского народа.

Тебе будет очень трудно, но мужайся, я убежден, тебе помогут воспитать нашу дорогую и горячо любимую дочь, наше счастье и радость Меею.

Когда выйдешь замуж, старайся, чтобы Медея не охладела к моим родным и близким.

Прости мне мои ошибки

я тебе все прощаю.

Целую крепко, крепко.

Твой искренний друг.

П.Яшвили

22.VII.37. Тбилиси

Умираю с каким-то светлым чувством, и поэтому верю, что ты и Медея перенесете горе. Ты кое-что заметила, но я тебе смог успокоить. Береги себя и Медею. Дружи с Пашей и моими братьями. Привет Н.Мих. и Георгио Ильичу.

Паоло.

ამ წერილების წაკითხვის შემდეგ მკითხველს მეტად გაუჭირდება კვლავაც გაჰყვეს ჩემს შოგონებებს. მეც აქ დაეამთავრებ... და დაეამთავრებ იმით, რითაც დაიწყო წერილი პაოლო იაშვილზე. ოდესღაც, ჯერ კიდევ იმ ორმოცდაათიან წლებში, უდროოდ დაღუპული სამი ქართველი მწერლის რეაბილიტაციის დროს – “პაოლო იაშვილი, თითქოს რაღაც მოუცლელობის გამო, ჯერ კიდევ არ უშეებდა თავის ჭეშმარიტად ძლიერ ენერჯიას მაღალი ძაბვის ხაზებში, ან მხედრის ენაზე რომ ვთქვათ, ცხენს სადავეს არ აძლევდა, თავს უჭერდა, თუ ხანდახან მიუშვებდა, ისიც საჩვენებლად, სალაღობოდ, მაყურებელთა საცქერლად და გასაკვირებლად; მაშინვე კი იქვე ყალფზე შეაყენებდა – შემდეგაც მოვესწრებითო! თავდავიწყებულ პოეტურ მარტივობას ერიდებოდა, ყოველდღიური ცხოვრება არ ეთმობოდა... პაოლო იაშვილის ლექსი საბადოდან ნიმუშად წამოღებულ ძვირფასი მადნის ნატეხს ჰგავდა, ან მარნიდან საჭაშნიკოდ მოტანილ ღვინოს“...

“დაღის ქალაქში ბუერის მსაკისი

ჩემი ხეული

და ხალხი ამბობს: “ეს კაცია

ლექსის მწერალი”.

მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია

გამოხვეული

ეს ჩემი ტინი დასაქცევი, ტინი ვერანი”.

და ეს (აღბათ კომმარულ სიზმარში ნახული) სტრიქონები აღმოხდა მას წინასწარ, ზუსტად ათი წლით ადრე, 1927 წელს.

1991.

## კარლო იაშვილი

1915 წელი იყო. პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. მოვიდა ცნობა: ქუთაისში ახალი ლიტერატურული ჟურნალი "ცისფერი ყანწები" გამოვიდაო. ჩვენ, სტუდენტებმა, რომლებიც ლიტერატურით ვიყავით დაინტერესებულნი, ჟურნალის შინაარსისა არაფერი ვიცოდით. გავიგეთ იმ აურზაურის შესახებ, რაც ჟურნალმა გამოიწვია ქუთაისის საზოგადოებაში. ეს ცნობები გაზვიადებულად გვეჩვენებოდა. ამბობდნენ ჟურნალის მონაწილეთა რაღაც სკანდალურ გამოსვლებზე, მათ ბოჰემურ განწყობილებებზე. პოეზიის ასპარეზზე გამოსულ პოეტებს უფრო კაფეების ცხოვრებას უკავშირებდნენ. ამბობდნენ, განსაკუთრებული მტრული განწყობილებით ახალქროლვას პოეზიაში შეხვდა ქუთაისელი მანდილოსნების ნაწილი, რომელსაც მაშინ კატო მიქელაძე ხელმძღვანელობდა (კ.მიქელაძე მაშინ "ცისფერყანწელთა" მოწინააღმდეგედ დარჩა ბოლომდე, მაგრამ მისი გამოსვლები "ცისფერყანწელებში" უფრო ირონიულ დიმილს იწვევდა). როგორც გადმოგეცემდნენ, ახალ სიტყვას პოეზიაში მოსარჩლეც გამოუჩნდა. ეს იყო ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე. მან ინტუიციით იგრძნო ახალგაზრდა პოეტებში ახალი სიო, მოწონებით შეხვდა მათ გამოსვლას და კარგი მომავალი უწინასწარმეტყველა.

ჩვენც, პოეზიის მოყვარულნი, გულდასმით ვადევნებდით თვალყურს პროცესს, რომელიც ქართული ლიტერატურის განვითარებას ახასიათებდა. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გატაცებულნი ვიყავით ახალგაზრდა პოეტების ლექსებით, რომლებიც უფრო ხშირად "ცნობის ფურცელის" კვირეულ დამატებებში ქვეყნდებოდა. გულის ფანცქალით ველოდით ხოლმე ამ დამატებებს იმ იმედით, რომ წავიკითხავდით ს.მანშიაშვილის, ი.გრიშაშვილის, გ.ტაბიძის, ა.აბაშელის და სხვათა ლექსებს. მახსოვს, მაგალითად, რა გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია ჩვენს ლიტერატურულ წრეში ა.აბაშელის ლექსმა, სათაურით "სსრ... შშშ". აღფრთოვანებული ვიყავით ი.გრიშაშვილის პოეზიით. მის ლექსებს გატაცებით ვკითხულობდით ჟურნალ-გაზეთებში, — სულგანაბული ვისმენდით როგორ კითხულობდნენ მათ სცენიდან. მეხსიერებაში შემომჩრა შაქრო გომელაური, რომელიც ქუთაისის თეატრის სცენაზე კითხულობდა ლექსს "ზღაპარი ჰამაკში". სცენაზე მართლაც გააბამდა ჰამაკს, რომელშიც ქალი იწვა. შაქრო ჰამაკს აქანაუებდა და თან ლექსს ამბობდა, რაც დამსწრე საზოგადოებაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ჩვენ, მო-

წაუფებს, ვერც კი წარმოგვედგინა, მაშინ, თუ შეიძლებოდა ს. მანშიაშვილისა და ი. გრიშაშვილის გვერდით გაეღა, თუ მოგვეცემოდა მათთან შეხვედრის ბედნიერება. მოწინებითა და კრძალვით, მორიდებით ვეკიდებოდით გალაკტიონ ტაბიძის და ნ. ჩხიკვაძის სახელებს, საყვარელ სახელებს.

პეტროგრადში ყოფნისას დახარბებით ვკითხულობდით ა. ბლოკის, კ. ბალმონტის, მ. ეოლოშინის, ვ. ბრიუსოვის და სხვათა ლექსებს. ასე, რომ, ჩვენ ერთგვარად მომზადებულნი შეეხედით მშობლიურ ქვეყანაში ახალი პოეტური სკოლის აღმოცენებას. ისიც უნდა დაეურთოთ, რომ მოწაუფობისას ჩვენი ლიტერატურული წრე სკოლა ხელნაწერ ჟურნალს "ჩონგურის" სახელწოდებით. მასში მოთავსებულ ჩვენს მასალებს ახალი პოეზიის, განსაკუთრებით ი. გრიშაშვილის ლექსების გაკლენა ემჩნეოდა. თუ მეხსიერება არ მდალატობს, ი. გრიშაშვილი ქუთაისში ყოფნისას ამ წრის მონაწილეებსაც შეხვდა.

"ცისფერი ყანწების" გამოსვლას დაუფარავი სიხარულით შეეხვდით. იმ წლებში ჩემი უახლოესი ბავშვობის მეგობარი სანდრო ცირეკიძე პეტროგრადში აღარ იმყოფებოდა. ქალაქის ნისლმა და ტენიანმა ჰავამ მასზე ცუდად იმოქმედა, ფილტვები დაუზიანა, სისხლი ანთხევიანა და იგი იძულებული გახდა, ექიმების რჩევით, დაეტოვებინა პეტროგრადი, გადასულიყო კიევის უნივერსიტეტში. მეორე ჩემი სიყრმის მეგობარი გიორგი ფლენტი, ბესო ფლენტის უფროსი ძმა, პეტროგრადის ჰავამ თითქმის ერთ თვეში გამოასალმა სიცოცხლეს. ასე ჩამომამორა ორი ძმასავით საყვარელი მეგობარი პეტროგრადმა. და რა კარგი მომავალი იყო ორივეს წინაშე! გიორგი იყო მეტად ნიჭიერი ახალგაზრდა, ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, იშვიათი მჭკვერმეტყველი, რომელიც არა მარტო ამხანაგების, არამედ პედაგოგთა პერსონალის დიდ ყურადღებას იქცევდა. მასზე დიდ იმედს ამყარებდნენ. ხშირად ეწყობოდა ჩვენთან (რეალურ სასწავლებელში) ლიტერატურული გასამართლებები, რომელთა სული და გული ყოველთვის გიორგი ფლენტი იყო ხოლმე.

სანდრო ცირეკიძე და, საერთოდ, "ცისფერყანწელები", ყურადღებას აქცევდნენ არა იმას, თუ რომელ პოლიტიკურ ფრთას ეკუთვნოდა ესა თუ ის აქტორი, არამედ მისი ნაწარმოების ხარისხს, თუ რა იყო ნოვატორული მის ნაწარმოებში, ამიტომ სარგებლობდნენ მათ შორის დიდი სიყვარულით გ. ქუჩიშვილი და ნოე ჩხიკვაძე.

მე პირადად არ ვიცნობდი ჟურნალის არც ერთ მონაწილეს, გულწრფელად უნდა ვაღიარო: არც ვაპირებდი ლიტერატურაში მუშაობას, თუმცა ძლიერ ვიყავი გატაცებული სიმბოლისტების პოეზიით, განსაკუთრებით ბლოკით.

ეს იყო 1917 წელი. რევოლუციის წელი, როცა პეტროგრადიდან ქუთაისს დაუბრუნდი და აქ გაიცანი პირველ ხანებში პაოლო იაშვილი, სერგო კლდიაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ძმები ჯაფარიძეები და ნიკ. ნადირაძე, ხოლო შემდეგ, როცა თბილისში

გაღმოკედი, დაეუახლოედი ტიცციან ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, ალი არსენიშვილს და სხე.

მე მინდა ამ წერილში ეილაპარაკო პაოლო იაშვილზე, რომელმაც გაცნობისთანავე მიიპყრო ჩემი ყურადღება და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს იყო მაშინდელი ქუთაისის ბოქემის კოლორიტული წარმომადგენელი. პაოლოს, რომელსაც პარიზის სკოლა ჰქონდა გავლილი, ბოქემური ცხოვრება ესთეტიკურ ფენომენამდე ჰქონდა აყვანილი. მართალი რომ ითქვას, მას ყველაზე ნაკლებად ახასიათებდა, გიორგი ლეონიძის შემდეგ, დეკადენტური პოეზიის თვისებები: მისტიციზმი, ბუნდოვანება, ირეალური სამყაროს ხილვები. მისი პოეზია, პირველ ხანებშიც კი, უფრო ნათელი და გამჭვირვალე იყო. ერთ-ერთი ლექსი, რომლითაც პოეტმა ბრძოლა გამოუცხადა ტრადიციულ, დაკანონებულ სახელებს, იყო:

პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე.  
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა —  
შექსპირს უარი,  
რა კენა, რომ ჩემთვის ბეთჰოვენი  
მხოლოდ ყრუ არი  
და რომ წარსულმა ვერ გაღმოცა მე  
ანდამატი.

ამ ლექსმა გამოიწვია მაშინდელ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა: შეხეთ, შექსპირსა და დანტეს უარყოფსო, ბეთჰოვენი მისთვის ყრუ არისო. ამ ლექსმა გახადა მაშინ ეს დიდი ტემპერამენტის მქონე პოეტი ოდიოზურ ფიგურად. მისი გაბედული, ეფექტიანი გამოსვლები, შუშხუნა და ახლებურად მეღერი სიტყვები პოეზიაზე, მანიფესტი, რომლის ერთ-ერთი ავტორი ის იყო. — საზოგადოების ერთ ნაწილში აღშფოთებასაც იწვევდა. მაგონდება ასეთი შემთხვევა: გელათში მოეაწყვეთ ექსკურსია. ჩვენს წრეში იყვნენ ლიტერატურის მოყვარული ქალიშვილები. როცა სადგურზე უკანასკნელებმა პაოლო იაშვილი და კანადირაძე დაინახეს, აგვიჯანყდნენ, წამოსვლაზე უარი განაცხადეს. პაოლო და კოლაუ იძულებული გახდნენ ცალკე წამოსულიყვნენ, მაგრამ საკმარისი შეიქნა რამდენიმე წუთს ერთად ემსხდარიყავით გელათის ზღაპრულ ეზოში, რომ "შეურაცხყოფილნი" მოიხიბლნენ პაოლოს საუბრით, მისი ექსპროზიტებით, გელათის ძეგლის ჩანახატებით და იქიდან უკვე პაოლოსთან დამეგობრებულები დაბრუნდნენ.

ვფიქრობ, რომ თავისი ბუნებით პაოლო ტრადიციების დიდი პატივისმცემელი იყო. მის მიერ დანტეს და შექსპირის უარყოფა ერთგვარი ნიღაბი იყო. ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ მას გატაცებით უყვარდა და აღმერთებდა პუშკინს, რუსული კლასიკური პოეზიის ამ მშვენიერს. სიმბოლისტებიდან ის არჩევდა ვალერი ბრიუსოვს, ვერჰარანს

და განსაკუთრებით არტურ რემბოს, იმ პოეტებს, რომელთა პოეზიაში მეტი სინათლე და კლასიკური ფორმა იყო დაცული. მან თარგმნა არა ვერლენი, თუშცა ფრანგული კარგად იცოდა, ან თუნდაც ბლოკი, არამედ ა.რემბოს "მთერალი ზომალდი" და პუშკინი. მისი პოეტური სიმპათიები სადღაც მაინც კლასიკური ქართული პოეზიისაკენ იხრებოდა. მინდა ასეთი შემთხვევა გაეჩხენო:

ჩვენს წრეს მაშინ წესად ჰქონდა შემოღებული კვირაში ერთხელ მორიგეობით რომელიმე წევრთან შევეკრებილიყავით. იყო გაუთავებელი საუბარი პოეზიაზე, ახალი ლექსების კითხვა, სიხარული და მეგობრული გულის გახსნა ერთმანეთისათვის. არასდროს დამავეწყდება, მაგალითად, ერთი საღამო. ტიცინთან ვიყავით. ზამთარი იყო. ბარდნიდა. გაღუღუნებულ ბუხარს ვუსხედით. სერგო კლდიაშვილი თავის მოთხრობას კითხულობდა. ეს იყო მისი "ფერფლი". სულგანაბული ვუსმენდით. აღტაცება ისახებოდა განსაკუთრებით ტიცინის ცისფერ თვალბში. ის თითქმის ამ ქვეყნად აღარ იყო. დაამთავრა სერგომ კითხვა და დიდხანს ხმა ვეღარ დაუძარიო, პირველი ტიცინი გამოერეკა, სიხარულით გადაეხვია სერგოს და მიულოცა ახალი მოთხრობა. მას მოჰყვა ნინო ტაბიძე. ასეთი შთაგონებული საღამოები მრავალი იყო ჩვენს ცხოვრებაში. ეს იყო ჭეშმარიტი მეგობრული ურთიერთობით შეკრული წრე.

ერთხელ ჩემთან შევიკრიბენით. საუბრის დროს ერთ-ერთმა თავი გაუტოლა ილიას. პაოლომ კარგად იცოდა თავისი ფასი. ის იყო "ცისფერი ყანწების" გამომცემი, ამ ახალი სკოლის ხელმძღვანელი და ამ ადგილს არც არავის უთმობდა. ჯერ მოთმინებით უსმინა თავის თავში შეყვარებულს, შემდეგ მოთმინებიდან გამოვიდა და ისეთი მკვახე პასუხი გასცა, რომ აიძულა ამდგარიყო და წასულიყო. იძულებული გავხდი, როგორც იმ დღის მასპინძელი, დაედევნებოდი და რუსთაველის პროსპექტიდან დამებრუნებინა. პაოლოს განსაკუთრებით უყვარდა აკაკი, მისი პოეზიის დიდი პატივისცემელი იყო და ვერ იტანდა მის მიმბაძველებს, უნიჭო ეპიგონებს.

პაოლო ნამდვილი ბუნტარული ხასიათისა იყო, ამასთანავე იშვიათი მჭვერმეტყველი და იმპროვიზატორი. სამწუხაროა, რომ მისი ექსპრომტები და ეპიგრამები, შადრევანივით რომ ჩქეფდა, არ ჩაიწერა თავის დროზე და დაიკარგა. ჩვენ ვერ გავუწიეთ ისეთი მეგობრობა, როგორიც, ვთქვათ, ნიკა ავიაშვილმა გაუწია შესანიშნავ პოეტს ლადო ასათიანს და მრავალი რამ შემოინახა მისი ნათქვამიდან. პაოლოს ექსპრომტები და ეპიგრამები დროის დამახასიათებლნი და მეტად მჭეფარენი იყვნენ.

რევოლუციის პირველი წლები იყო. ქუთაისში ვცხოვრობდით. პირველ ხანებში იქ სრული ანარქია სუფევდა. წესრიგს სტუდენტები, მოწინავე მუშები და ინტელიგენციის წარმომადგენლები იცავდნენ. საშინელი ხასიათი მიიღო საეკულაციამ, საჭირო იყო მის წინააღმდეგ ბრძოლა. პაოლომაც ამ ბრძოლის თავისებური ფორმა გამოიჩინა. მახსენდება ქუთაისის ბულვარი, ქუჩები, რომლებიც მას არტყია გარს, შუა



ქუჩაში ჩამდგარან პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სერგო კლდიაშვილი და მოდიან ყვირილით: ჰკათ ბურჟუებს, ჰკათ სპეკულანტებს! ჯგუფს ეუერთლებით ჩვენც. იგი იზრდება და კარგ ძალად იქცევა. ნამდვილი ჩხუბის თავი იყო კოლაუ ნადირაძე, ამ გამოსვლებმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ადგილობრივმა სპეკულანტებმა — ვაჭრებმა, როგორც მახსოვს, იჩიულეს კიდევაც: დებოშებს გვიწყობენ და გვემუქრებიანო.

განსაკუთრებული იერიში მიჰქონდა პაოლოს მაშინ რატომღაც “არშინ მალ ალანის” წინააღმდეგ. ესეც ქუთაისში მოხდა. რომელიღაც დასი ჩამოვიდა და აღნიშნული ოპერეტა დაიდგა ქუთაისის თეატრში. პაოლოსაგან მივიღეთ ნიშანი, მოგვეწყო თეატრში ობსტრუქცია. შევიარაღლით მყრალი სითხით. ერთ-ერთს (არ მახსოვს ვის) დაევალა ელექტრომავთულების გადაჭრა. დაეიკავეთ ჩვენ-ჩვენი ადგილები თეატრის ქანდარაზე. დაიწყო წარმოდგენა, უეცრად ჩაქრა სინათლე. ვისარგებლეთ შემთხვევით და მყრალი სითხე მოვასხით თეატრში. შეიქნა აურზაური, სპექტაკლი ჩაიშალა. ვაჭრების ჩივილს ეს სკანდალიც დაემატა და ქალაქის მესვეურებმა დაადგინეს ჩვენი ქალაქიდან გამოსახლება. გადასახლებულთა ჯგუფში იყო ელო ნაზარიშვილიც, ჩვენი განუყრელი მეგობარი, გამოჩენილი ექიმის ნაზაროვის ქალიშვილი. საქმეში ჩაერია ზოგიერთი უფროსი მეგობარი და გაძევებას გადაერჩით. სერგო კლდიაშვილი იმ წლებში მოუსვენარი და მაშინდელი საზოგადოებრივი წესრიგის ცნობილი მტერი იყო კოლაუ ნადირაძესთან ერთად: მრავალჯერ ამოუყვია თავი მილიციამში. რამდენჯერ მიგვიმართავს დავით კლდიაშვილის ავტორიტეტისათვის, მაგრამ დავითს ცივი უარით გამოეუსტუმრებივართ. ამ რეპრესიების მიზეზი იგივე “ჰკათ სპეკულანტებს” იყო. სპეკულანტები თავისუფლად ფარფაშობდნენ, კონტრაბანდისტები თურქული ლირებით იტენიდნენ ჯიბეებს, სერგოს კი ერთხანს მილიციამში აყურყუტებდნენ.

ჩვენი საყვარელი შესაკრები ადგილი ქუთაისის ცენტრი იყო, მაგრამ არა ბულვარი. რატომღაც ამოჩნებულნი გვექონდა, ე.წ. “სობორო“, რომელიც ახალი თეატრის გვერდით მდებარეობდა. ტაძარში შესასვლელ საფეხურებზე გვიყვარდა ჩამოჯდომა და... დამის თევა. რა იყო საუბრების თემა? პოეზია. ღირიქორობას საუბარში ყოველთვის პაოლო სწევდა. მას მხარს არ უგდებდა კოლაუ ნადირაძე, რომელიც ყოველთვის დენდით იყო გამოწყობილი ახალ კოსტუმში, ჰქონდა ისეთი ქალსტუხი, რომლის მსგავსი არაეის არ გააჩნდა ქუთაისში და ყველას თვალს სჭრიდა.

პაოლო ღრმა გულის პატრონი იყო. იცოდა სიყვარული და მეგობრობის უღლის გაწევა; ძმასავეთ უყვარდა ტიცინი. მათ სიამის ტყუქებს ვეძახდით. მის გულში დიდი ადგილი ჰქონდა ღათმობილი კოლაუ ნადირაძეს, ვალ. გაურინდაშვილს და ალი არსენიშვილს. სწორედ ამ სიყვარულით, ამ მეგობრული სითბოთი არის გაყდენთილი მისი ლექსები, რომლებიც ტიცინანს, კოლაუს და ალის უძღვნა.

საოცარი იყო ალი არსენიშვილი. ისეთ განათლებულს, პოეზიის მცოდნეს, განსაკუთრებით რუსულისას, იშვიათად შეეხვედრივარ. ჰქონდა რაფინირებული გემოვნება; რუსი სიმბოლისტების და განსაკუთრებით ბლოკის ლექსები ზეპირად იცოდა. ცნობილია მისი წერილი ა.ბლოკთან და უკანასკნელის პასუხი. საათობით შეეძლო ესაუბრა პოეზიაზე და როგორი საუბარი იცოდა! ჰქონდა საოცარი ასოციაციური აზროვნების უნარი. და კრიტიკული აზროვნების ასეთმა მცოდნე და ნიჭიერმა წარმომადგენელმა ცოტა რამ დატოვა. თავისი აზრების ქაღალდზე გადატანა არც ისე კარგად ეხერხებოდა. თუ საუბარში მისი ყოველი ფრაზა სიტყვის ჭეშმარიტ ოსტატს შემსურებოდა — ასეთი როდი იყო თავის მცირერიცხოვან სტატიებში. ამ მხრივ ის წააგავდა შესანიშნავ მოქანდაკეს ი.ნიკოლაძეს — საუბრის დიდ ოსტატს.

მახსოვს ქუთაისის ზავერდოვანი ღამე, ცა, ვარსკვლავებით მოჭვდილი. ჰქროდა ზენა ქარი — თბილი და ყვავილთა სურნელით გაუღენთილი. თეატრის წინ მდებარე კაფე დახურული იყო. პაოლო, რომელიც ასე შესტრფოდა გაზაფხულს, მზეს, სილამაზეს — კაფედან გამოვიდა, მას მოყვებოდნენ ვალ.გაფრინდაშვილი, სანდრო ცირეკიძე, რაჟდენ გვეტაძე, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა კარმელი — გამხდარი და მკრთალი სახის მქონე. გვიან იყო. ქუჩებში ვინმე დაგვიანებულის ფეხის ხმა თუ ისმოდა და ხეების შრიალი, პაოლო კი ტრიოლეტებისა და სონეტის ფორმას ასხამდა ქება-დიდებას.

— სონეტი ტვეადი ფორმაა. მას პოეტი თავის განკარგულებაში ჰყავს. — ამბობს პაოლო, — გინდა თუ არა თოთხმეტ სტრიქონში უნდა ჩაეტიო.

სონეტი იწერებოდა ჩვენამდეც, მაგრამ მე მხედველობაში მაქვს სწორი სონეტი, რომლის კატრენებში ოთხ-ოთხი სტრიქონი ერთმანეთს ერთმება, ხოლო ტერცინებში უფრო ჯვარედინი რითმებია, საერთოდ კი, ამ შემთხვევაში პოეტს მეტი თავისუფლება ენიჭება. თქმულის საილუსტრაციოდ ი.გრიშაშვილის სონეტები მოჰყავდა. მის როლს ლექსის რეფორმაში დადებით შეფასებას აძლევდა, თუმცა სონეტების ფორმის დარღვევას უკიჟინებდა ზოგიერთ შემთხვევაში: სონეტს უხდება არა ათმარცვლოვანი, არამედ, თოთხმეტმარცვლოვანი ლექსიო. ამიტომ პაოლოს მოსწონდა ი.გრიშაშვილის თოთხმეტმარცვლოვანი ლექსით სწორად დაწერილი სონეტი. ალბათ, მხედველობაში ჰქონდა ი.გრიშაშვილის 1910 წელს დაწერილი სამი სონეტი, რომელთაგან ორი ათმარცვლოვანია, ერთი კი თოთხმეტმარცვლოვანია და სონეტის ყველა პირობას აკმაყოფილებს.

ეკლესიაში შესასკლელ კიბეზე შედგა და მისთვის ჩვეულებრივი ტემპერამენტით წაიკითხა “სონეტი ელლის”. ეს სონეტი გამოირჩევა მზის სურნელებით, გაზაფხულის ელვარებით. მე ახლაც მომწონს იგი, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც პოეტი მიმართავს ბაღებს:

ჩემო ბალებო, აყვავილდით, იმხიარულეთ!  
გახაფხულის დღე, შეხვედრის დღე ხომ დაგვიბრუნდა?

პაოლოს გულში მზე დუღდა, ბობოქროდა და თავისი შუქით გვანათებდა, გვათბობდა. საოცარი მეგობრობა იცოდა, არაფერს დაზოგავდა, რომ დახმარების ხელი გაეწოდებინა მეგობრისათვის, თბილი სიტყვა ეთქვა, მხნეობა მიეცა. ფული დაგჭირდებოდა – თუ ჰქონდა მოგცემდა, არ მოგთხოვდა დაბრუნებას, არც თვითონ აბრუნებდა ნასესხებს, – არ ახსოვდა; ასეთი იყო არა მარტო “ცისფერყანწელთა” მიმართ... არა!

მის ტალანტს ყოველთვის უხაროდა ახალი პოეტური ნიჭის გამოჩენა და მასთან ახლო კავშირის დამყარებაც იცოდა. ჯერ კიდევ თავის პოეზიის გარიჟრაჟზე დაწერა სონეტი, რომელიც ვალ.გაფრინდაშვილს მიუძღვნა და რომელშიც მან მაშინდელი ორთოდოქსი სიმბოლისტის სურათი დახატა:

გულს აღტაცებულს სურს, მგოსანო,  
მარად იქროლო,  
ჩემი სონეტი შენ – ძვირფასო ძმავო  
და ტოლო.

ამ აღტაცებულ გულს პატრივსა ვცემდით, მისი ცეცხლით ვსუნთქავდით. საოცარი ფანტაზიის პატრონი იყო. რატომღაც უყვარდა ჭკუაშერევილებთან და მათხოვრებთან ან მათზე ლაპარაკი; იცოდა, რომ ერთ-ერთ მეგობარს, ვალ.გაფრინდაშვილს, არ სიამოვნებდა ეს და განგებ ჩამოუგდებდა ხოლმე საუბარს რომელიმე გიჟის მიერ ვითომდა ჩადენილ ამბებზე; ამით აღიზიანებდა მის ნერვებს, გამოყავდა წონასწორობიდან, შემდეგ კი იმდენ ალერსს მიაფრქვევდა, რომ მოყოლილს დაეიწყებას ვაძლეედით. ვალერიანის ტუჩებს, მთელ სახეს საოცარი ღიმილი გადაეფინებოდა. ისეთი ღიმილი მე იშვიათად დამინახავს ვინმეს სახეზე. ამ ღიმილში ისახებოდა მთელი მისი მდიდარი სული, მისი შინაგანი სინაზე. ეს ღიმილი ყოველთვის რაღაც იდუმალებით იყო მოცული, ჯოკონდას ღიმილს მოაგავდა თითქოს. თითონ ვალერიანს საოცრად უყვარდა ჯოკონდას სურათი, დიდხანს შეეძლო ელაპარაკნა მის გამოუცნობ გამომეტყველებაზე, მის თითქოსდა ირონიულ ღიმილზე. ყველას ახსოვდა ვალ.გაფრინდაშვილის განრისხება, როცა ვიღაცამ თავისი ქუდი ჩამოღო მწერალთა კავშირის მისაღებ დარბაზში მდებარე ჯოკონდას ქანდაკებაზე. ვალერიანმა ეს მკრეხელობად მიიჩნია და სასტიკად გააციხა უღირსი საქციელის ჩამდენი.

მაგრამ დაკუბრუნდეთ ისევ პაოლოს, როგორც ვთქვით, ის ამოიჩემებდა ხოლმე რომელიმე საღამოს და გამართულ სერობაზე თხოვდა ყველას მოჰყევით რამე საშინელი, ვის რა შემთხვევია ცხოვრებაშიო. ასეთი საღამოები ჰოფმანის საღამოებს წააგავდა. ერთ-ერთი

ასეთი საღამო თბილისში გაეატარეთ უკვე გვიან. ეს იყო გ.ლეონიძესთან, როცა ის ცხოვრობდა ენგელსის ქუჩაზე, ერთ დიდ ოთახში, რომლის ფანჯრები ქუჩაში გამოდიოდა. ყველა იქ დამსწრე მოჰყვა რაღაც შემადრწუნებელს, საშინელს, არ ვიცი მოყოლილი ამბები ფანტაზიის ნაყოფი იყო, თუ მართლაც ჰქონდა მათ ადგილი სინამდვილეში. მაჩხოვს, ყველას ყალფზე გვედგა თმები, ყველანი შიშით ვიყავით დამუხტული და ნერვებდაჭიმულები ვისხედით. გვიან დავიშალენით. ცოტა დაშორებით გ.ლეონიძის ბინიდან, რომელიღაც სახლის შესასვლელიდან რამდენიმე კაცს რაღაც მოჰქონდა. დავინახეთ, კუბოს წააგავდა, საღ მიჰქონდათ, რა მიჰქონდათ — არაფერი ვიცი. ამ შემთხვევამ დაძახული მდგომარეობიდან გამოგვიყვანა. აუჩქარეთ ნაბიჯს და თითქმის სირბილით დავიშალენით. შემდეგ გვახელებდა პაოლო: “ეს ოინი მე მოგიწყევთო”. მართლა ასე იყო? არ ვიცი. ნამდვილი ის არის, რომ პაოლო მისტიფიკაციების დიდი ოსტატი იყო.

პაოლომ და მისმა თანამებრძოლებმა შემოიტანეს და საბოლოოდ დანერგეს სწორი სონეტის ფორმა. თუ არ ეცდები, პირველი ტრიოლეტი, ეს მეტად მუსიკალური და მელოდიურად მქლევი ფორმა ლექსისა, პაოლოს კალამს ეკუთვნის. ცნობილია, რომ “ცისფერყანწელებმა” თავისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში აუხვიეს გვერდი ქართული კლასიკური პოეზიის გზას, გამოაცალეს მას სოციალური საყრდენი, მოქალაქეობრივი პათოსი და დაუფარავად ატარებდნენ თავიანთ თეორიული ხასიათის წერილებში მცდარ თვალსაზრისს “ხელოვნება ხელოვნებისათვის”. მაგრამ ამ შეცდომებთან ერთად, რაც პოეზიის იდეური მხარის უგულებელყოფაში გამოიხატებოდა, ახალი სკოლის მიმდევრებმა, უეჭველია, ლექსის ფორმის განახლებაში საგრძნობი წვლილი შეიტანეს. აკაკის შემდეგ ქართულმა ლექსმა ერთგვარად დაჰკარგა ზეგავლენის ძალა. აკაკის ბრმა მიმბაძველთა გამო ლექსს დაეკარგა მიმზიდველობა, მომხიბველობა, გამოეცალა ფუნქცია მკითხველის ემოციების მოძრაობაში მოყვანისა. ამ ეპიგონურ პოეზიას “ცისფერყანწელებმა” პროტესტის ნიშნად დაუპირისპირეს ახალი ლექსი, რომელშიც აქცენტირებული იყო პოეტური სახეების სიახლე, ბრძოლა ახალ გამომხატველობით საშუალებათა გამოყენებისათვის. ეს იყო ბრძოლა ახალი, მდიდარი, მელოდიური ლექსისათვის. ამ ბრძოლაში მეორე უკიდურესობაში ჩაეყარდნენ: ლექსში მისტიციზმისა და ავადმყოფური პალუცინაციების ბურუსი შემუშვეს. განსაკუთრებით ეს შეეხებოდა ვალ-გაფრინდაშვილს.

მათ მიმართეს კუარდიანი რითმებს, ცდილობდნენ არ გაერთიანებინათ სახელი არსებითი სახელთან, გამოეყენებინათ ასონანსები, დისონანსები, ერთი სიტყვით, გამოეყენებინათ ის ცდები, რომლებსაც ატარებდნენ რუსი და ფრანგი სიმბოლისტები ლექსში მხატვრული სიახლის შეტანის მიზნით. ამ ცალმხრივმა ცდებმა ლექსს ზიანიც მიაყენეს —

გამოვიგნეს მისი შინაარსი, მაგრამ ლექსის ტექნიკა მაღალ დონეზე აიყვანეს. მხედველობაში მაქვს მათი პოეზიის პირვანდელი ნიმუშები.

პაოლო ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ლექსის ნოვატორის როლი იკისრა. ის იყო პოეტური ფერწერის ოსტატი, ცნობილია, რომ იგი მხატვრის მაღლიანი ნიჭითაც იყო დაჯილდოებული.

ეკითხულობთ მის ტრიოლეტებს “ქორწილი”, რომელსაც სრულიად არ დაუკარგავს ის ელვარება, ის შუქი, რომლითაც მან პირველ წაკითხვისას გაგვაოცა და გაგვახარა. ტყუილად როდი აქვს მიწერილი ამ ლექსს “ოცნების საღამოები”. ეს ტრიოლეტები მართლაც ნაყოფია იმ საღამოებისა, რომლებიც დამშვიდებულნი იყვნენ ფიქრით და ოცნებით რაღაც ახალზე. საღამო, დამის დიდი ჩრდილი, კაფეები — ბოკემურ ცხოვრებას კი არ ნიშნავდა მხოლოდ. ამ შეხვედრებში, საუბრებში, რომლებიც კაფეში სხდომისას იმართებოდა, პაოლო ფართო ასპარეზს უშლიდა თავის არტისტულ სულს, თავის რაფინირებულ გემოვნებას, რაღაც შთამაგონებელ ძალას პოულობდა მათში.

ანათებს დარბაზს ქაღწულების  
ტანსაცმელები,  
ცეცხლისფრად ელავს ღალის ფარჩა და  
ოქრომკედი,  
ვერცხლის სურებში სჩქევს ღვინო  
და სხვა სასმელები,  
ანათებს დარბაზს ქაღწულების  
ტანსაცმელები...

აქ ყველაფერია თითქოს ამეტყველებული. თეთრი საქორწილო ტანსაცმელები, ღალისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი; აქ ღვინოცაა და სხვა სასმელებიც. მთელი სურათია დახატული ნამდვილი მხატვრის მიერ. ჩვენ “განვიცდით” ამ სურათს, მისი საღებავების ჰარმონიას.

აგიღოთ პაოლოს ადრინდელი ლექსი “ფარშავანგები ქალაქში”, რომელიც 1916 წლით არის დათარიღებული. რით იაყრობს ყურადღებას ახლა ეს ლექსი? ვფიქრობ, რომ ის იყო ახალი სიტყვა ჩვენს პოეზიაში, როგორც მხატვრული ხერხებით, ისე, შეიძლება ითქვას, იდეური გააზრებითაც. ეს იყო ნამდვილი ურბანისტული ლექსი. ქარხნები, მუშები, ცხადია, ხშირად გვხვდებოდა დემოკრატიული მიმართულების პოეტთა ლექსებში, მაგრამ ქალაქური განწყობილება, კაპიტალისტური ქალაქის სული, შინაგანი რიტმი მათში ნაკლებად იგრძნობოდა. მე სრულიადაც არ მსურს პაოლო იაშვილის პოეზიის იდეალიზაცია. მისი შემოქმედება არ იყო დაზღვეული მხატვრული ჩაგვარებისაგან. ის ვერ იცავდა ხშირად მხატვრულ წონასწორობას. აღნიშნულ ლექსში საკმაოდ გვხვდება დეკადენტური პოეზიისათვის დამახასიათებელი ბუნდოვანი გასაშიფრი ადგილები: მაგრამ უდავოა ისიც, რომ კაპიტალისტური ქალაქის აურზა-

ური, დომხალი, ქაოსი, რომელიც მას (ქალაქს) ემუქრება, კარგად არის ასახული. ლექსში ერთგვარად იგრძნობა ვერპარნის სული. ლექსი მრავალფეროვანია მეტრული დინებით, მეტაფორული თქმებით, ახალი და მდიდარი რითმებით. ისეთი ფიგურალური თქმები, როგორცაა:

როგორც ღამსხერეულ შუშების  
მტკერი,  
ისე ელავდა ღურჯი ჯაერი,

ანდა:

საყდრის გეშბათები  
ცას ეშურებიან, ვით ცეცხლის ენები.  
ჟაერში შენიშნეს ჟაერის ანთება.

და მრავალი მიგნებული პოეტური ფრაზა და რითმა, მაშინ მთელ აღმოჩენას უდრიდა, ახალი იყო. ლექსში მკითხველს აყრუებდა “ქარხნების ყვირილი”, “ცხენების ცახცახით ქროლვა”, მას თვალს სჭრიდა “სადღესასწაულო დროშების ფრიალი”, “ოქროს და ძვირფასი ქვის შუშაბანდები”, “ჟაერის ანთება”, “ხმაურობითა და სიგიჟით აესებული ქალაქი”, “ცხელი ორთქლი”, “წითელი ფარშაევანგები”.

ალიტერაციას წინათაც მიმართავენ ქართული პოეზიის დიდი წარმომადგენლები. “ეფუხისტყაოსანში” გამოყენებულ ალიტერაციის შესახებ გამოჩენილ პოეტსა და რუსთაველის შემოქმედების მკვლევარს კონს. ჭიჭინაძეს მთელი წიგნი აქვს გამოქვეყნებული. ცნობილია ბესიკის “ტანო ტატანო” და სხვ. პაოლო იაშვილის ლექსში “ასო ღასი” — ეს ხერხი მკვეთრად არის გამოყენებული. ამ ლექსს სხვა აზრი არაფერი აქვს, თუ არა მუსიკალურ ბგერაზე (“ღ”-ზე) აგებული მელოდიის გადმოცემა. თითონ პაოლო ამ ლექსს შესანიშნავად კითხულობდა, ყოველ სიტყვაში ხაზს უსვამდა “ღ”-ს.

ღეიღას თვალები ელავდნენ ბნელიდან,  
ღედოფალს ახლავდნ მხეველნი  
მცველებად;  
ყვაილიც მწველია ღეიღას ხელიდან,  
ღალღანი ღამღიღან ეღვარე  
გველებად.

პაოლო თავისი ბუნებით ნამღვილი ეპიკურელი იყო. მისი ახოვანება, მისი ბრიალა თვალები უფრო ჰედონისტური განწყობილების გამოძახებული იყო, ვიდრე მოშვებული, მიბნედილი, დაღვრემილი განწყობილებისა, თუმცა სვედა რაღაც მოუხედავზე მისთვის უცხო როდი იყო. მან მშვენიერად გამოხატა თავისი თავი სონეტში “ავტოპორტრეტი”, ამ ლექსში ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ პაოლოს სურათს — როგორც ფიზიკურს, ისე სულიერს. “ამპარტაევანი და ყოველთვის პირგაპარსული”,

“ლამაზ რითმისთვის ერთი წუთით ჩაფიქრებული” — მართლაც ასეთად გვესახებოდა ის. არც ამ სტრიქონში — “მათრობს ხაშხაშის სურნელება ძველი სპარსული” — არის მოგონილი რამ. სულ მცირე ხნით მან თავის თავზე სცადა ოპიუმის გამანადგურებელი ძალა. ცდა გამოწვეული იყო უფრო ცნობისმოყვარეობით, სურვილით: თავის თავზე შეემოწმებინა ის ზეგაე-  
ლენა, რასაც ოპიუმს მიაწერდნენ. ეს იყო პირველ ხანებში, როგორც ეთქვით, როცა “საქართველოში არ იწამეს მისი ღენდობა”, როცა პაოლო ეფექტური გამოსკვლებითაც გახმაურდა და თავისი ბუნტარული, ფეთქე-  
ბადი ლექსებითაც. ზემოთ აღენიშნე, რომ პაოლო ბუნებით, შინაგანი ხედვით და განცდით სრულიად არ უარყოფდა დიდტრადიციას ქართული პოეზიისას. შექსპირისა და დანტეს უარყოფა — ეს იყო არტისტული უესტი, ერთგვარი ნიღაბი და, კიმეორებთ, ხერხი, გამოყენებული იმი-  
სათვის, რათა შებრძოლებოდა მუხეუმების მტკვერს, მოწოდებულ ისტო-  
რიზმს. იქ, სადღაც გულის სიღრმეში, ქვეცნობიერ სამყაროში კი იგი “ალავერდს გადადიოდა რუსთაველთან” და პოლონელ ხალხს ასე მიმარ-  
თავდა:

ამაყო ძმებო! სალამი წმინდა  
სალამი გრძნულ რუსთაველისა.

საინტერესო პოეტურ მოვლენას წარმოადგენდაქს “უეცარი ლექსი —  
პოლონეთს” მაშინდელ ვითარებაში. ის დაიწერა 1917 წელს, მაშინ, როცა  
ბოლო მოედო თვითმპყრობელობას. აღსანიშნავია ლექსის პოლიტიკური  
ქდერადობა. იგი ნათელჰყოფს რომ “ცისფერყანწელთა” ჯგუფის ხელმძღ-  
ვანელი პაოლო იაშვილი არ იყო მოკლებული საზოგადოებრივ აღდოს,  
რომ მის მკერდში მოქალაქის და წრფელი პატრიოტის გული ცემდა, რომ  
მისი გული დაჯილდოებული იყო უფაქიზესი გრძნობით, — ხალხთამეგობ-  
რობის გრძნობით, უმღეროდა ამ მეგობრულ კავშირს, რასაც ამტკიცებდა  
პოლონელი და ქართველი ხალხების ბედის ერთიანობა.

ქართველი ერი და პოლონეთი, —  
ორი გვირგვინი და ორი კენესა!  
ჩვენ გვაწვალებდა ოცნება ერთი  
და ჩვენ მოველით ერთსაირ მხესა.

თუ რა მზეს მოელოდა პოეტი — ეს ნათელი გახდა საქართველოში  
საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას, როცა ის აღფრთოვანებული  
შეეგება ამ ხელისუფლებას. ამაზე შემდეგ.

1917 წელსვე დაწერა მან ღირსშესანიშნავი ლექსი “წითელი ხარი”.  
მაშინაც ეწერდი და ახლაც მგონია, რომ ამ ლექსში პაოლომ გამოხატა  
თავისი პოლიტიკური მაქსიმალიზმი; ამას არც ფარავდა. ამ ლექსში  
მთავარია საზოგადოებრივი პერსპექტივა, რომელსაც პაოლო ითვალის-  
წინებდა, განიცდიდა. საერთოდ ის იყო მეტად დაუდევარი, ძლიერი ემო-

ციების მქონე, მშფოთვარე, მაშინდელი დაქაობებული სინამდვილის მოძულე და ახალი ჰორიზონტების მაძიებელი ადამიანი. ის ხომ ქუთაისის გიმნაზიდან გარიცხეს და მგლის ბილეთი მისცეს! შემდეგ იძულებული გახდა ანაპის გიმნაზიაში განეგრძო სწავლა.

ეს შემფოთება სულისა, ეს მოღანღება ახალისა, რაც არ ჰქონდა ჯერ ნათლად წარმოდგენილი, გამოხატა მან ლექსში “წითელი ხარი”. ლექსს ახასიათებს ენერგიული და დინამიკური რიტმი, რითმები, რაც მას მეტად მუსიკალურს ხდის. ლექსი დატირთულია თუმცა ბუნდოვანი, მაგრამ საკმაოდ გაბედული სახეებით. მისი ლექსიკაც ახლებურად ჟღერს. ლექსში იგრძნობა მოლოდინი რომელიღაც ცეცხლის, მზის ნაპერწკალთა, გახურებულ ქაერისა, რომელსაც ნაკვერცხლები სცივია, იგრძნობა, დაუსრულებელი ლტოლვა მზისაკენ. ეს მზიური განწყობილება აძლევს ლექსს თავისებურ შნოსა და იერს. და თითქოს თვითონ იწოდა მზის ნაპერწკლებით, როცა მას კითხულობდა:

გაგიჟება ალით მხარე, ცისკენ  
მიჰქრის კენხით ხარი,  
მიწა რქებით მონათხარი  
ნაკვერცხლებად სცივა ქაერს.  
ხარის ღანდი გაჩნდა ტეერში, ზღვა აღარ  
ჩანს ოქროს მტკერში.  
მიწის ხუნთქვა აქ ფრთებს კერ შლის,  
კერ შლის სურვილს ათასნარს.

რას გულისხმობდა ის ამ წითელ ხარში, რომლის რქებით მონათხარი მიწა ნაკვერცხლებად სცივია ქაერს? მთავარია აქ საერთო განწყობილება. ყოველ შემთხვევაში ლექსში რომ არის მინიშნება რაღაც შეურიგებლობაზე არსებულ სინამდვილესთან – ეს, ეფიქრობ, ცხადი უნდა იყოს.

პაოლო იაშვილს ჰქონდა ადრე დიდი და მწვავე შინაგანი ტკივილები, ვიტყვოდი – დიდი ხევადაც. ეს იცის ყველამ, ვინც მას პირადად იცნობდა და უფრო ახლო იდგა მასთან, როგორც იყვნენ ტიციან ტაბიძე და ნიკ. ნადირაძე. ამ ტკივილს, ამ სევდას ასაზრდოებდა მისი მკვეთრად გამოხატული პატრიოტული განწყობილება, მისი ხალხის ტრაგიკული წარსული. ის სიტყვით როდი იყო პატრიოტი! თავისი უანგარო სიყვარული სამშობლოსადმი პოეტმა დაამტკიცა რევოლუციის პირველ წლებშივე, როცა თურქეთის მაშინდელმა მესვეურებმა ისარგებლეს შინაგანი არეუ-ღარეით და ჩვენს ქვეყანას შემოესივნენ ახალციხის მხარედან. პაოლო და ტიციანი ჩადგნენ იმ მებრძოლთა რიგებში, რომლებიც სისხლით იცავდნენ თავიანთ ქვეყანას შემოსეულ მტრებისაგან.

პაოლოს მრავალი ლექსი, თუ ყველა არა, ბიოგრაფიული ხასიათისაა, მათში სინამდვილეში მომხდარი ამბები არის აყვანილი პოეზიის ღონეზე. ასეთია თუნდაც მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი, რომელიც



ალი არსენიშვილს მიუძღვნა. მაშინ ეს ლექსი დიდ მოწონებას იმსახურებდა, ყოველ შემთხვევაში, მის მეგობრებს შორის მაინც. მაშინ ცოტა ლექსი თუ დაბეჭდილა გაზეთში, რომ ის წინასწარ არ ყოფილიყოს წაკითხული ავტორის მიერ მეგობრების წრეში. იმართებოდა ლექსებით ფარიკაობა, რომლის უფრო ხშირი მონაწილენიც იყვნენ: პ.იაშვილი, ტ.ტაბიძე, გ.ლეონიძე, ნიკ.ნადირაძე და ვალ. გაფრინდაშვილი. ამ ლექსების ჭახაჭუხი ისმოდა არა მხოლოდ ჩვენს ოთახებში, — უფრო ხშირად ქუჩებში, “ქიმერიონში“, განსაკუთრებით კი რუსთაველის პროსპექტზე — განთიადისას, როცა ლექსების მუსიკა უერთდებოდა ბედურების დილის ჟივეჯის, თითქოს ახლაც ჩამესმის ყურში პაოლოს მკაფიო კითხვა თავისი ლექსისა:

ფანტაზია კვალს მატარებელი,  
აყვავებული ტყემლის რტობად;  
შენი სიტყვები უღარებელი  
უკან მისდევდა ქარს ლეკვობად  
და ტოგამოხსნილს მაინც დაგშვენდა  
შენ რეტიანი ლექსით ბარბაცო,  
და მოლიოლი, ძვირფასო, ჩვენთან,  
კით ლონგრინი და ჯარისკაცი.

ამ ლექსის ბიოგრაფია თვით ავტორს აქვს მოცემული მისთვის შემდეგ წამძღვარებულ სტრიქონებში: “ვაგონი, ცხენებით ხუთი გუსარი. აწყურისაკენ“, პაოლო და ტიციანი ცხენოსანთა რაზმში იყვნენ და მონაწილეობას იღებდნენ აწყურთან ბრძოლაში.

პაოლო როდი იყო გამოთიშული საზოგადოებრივ ცხოვრებას მაშინაც კი, როცა ის, ასე ვთქვათ, წმინდად იცავდა დეკადენტური პოეზიის პოზიციებს, იცავდა როგორც ლექსებით, ისე საჯარო გამოსვლებით. პაოლოს პატრიოტულად აქედნობული ლექსი “დაცემულ ბათომს“ იყო გამომხატურება იმ ტრაგიკულ მოვლენებისა, რომელთა ზეგავლენას მაშინ ჩვენი ქვეყანა განიცდიდა. ასკერების მოწოლის შედეგად დაეცა ბათუმი. მინდა ამასთან დაკავშირებით მოვიგონო ერთი ეპიზოდი. ეს იყო მგონი 1918 წელი. ბათუმს საშიშროება მოელოდა. საჭირო იყო მისი დაცვა, ამ დაცვაში მაშინ ქუთაისში მცხოვრებმა პატრიოტულად განწყობილმა, მაგრამ საომრად სრულიად მოუმზადებელმა ახალგაზრდობამაც მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენ რაზმს მეთაურობდა ჩვენი სასიქადულო მწერალი დავით კლდიაშვილი, რაზმი იდგა ხულოსთან. თუ მეხსიერება არ მღალატობს, სწორედ ეს მომენტი აქვს აღბეჭდილი მხატვარ კროტკოვს სურათზე (ის იყო ჩვენი ხატვის მასწავლებელი რეალურ სასწავლებელში, კაცი ფრიად განათლებული და ახალგაზრდობის მოყვარული), რომელიც ოფიცრობამ დ.კლდიაშვილს იუბილეს დროს მიუძღვნა. დავითი განზარებული იყო ახალგაზრდობის პატრიოტული აღგზნებით. მაგრამ, როგორც მხედარმა, ისიც კარგად იცოდა, თუ რისი მაქნისი

ვიყავით, მალე ჩვენი რაზმი შეცვალა ჯარის პატარა ნაწილმა, მაგრამ ფაქტი იყო, რომ ბათუმში დაეცა. ამ ტრაგიკულ ამბავს პაოლო გამოეხმაურა დასახელებული შესანიშნავი ლექსით. საყურადღებოა, რომ პაოლოს ამ ლექსში არ დღაატობდა ოპტიმიზმი, რწმენა, მზიური მღელვა-რება:

ბრძანება ისმის და სმენა, ჩქარა  
გაძაღეთ მზეზე კრიალა ხმლები  
ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა,  
ანდა ბათოთან დავტოვოთ ძველები.  
ადრე ხელთანი ნუ გაიხარებს,  
აღმოსავლეთის ადრეა ტაში, —  
ჩვენ დავიბრუნებთ ბათომის კარებს,  
მწარე იქნება ჩვენი რევანში.

ასეთი ღია ფერებით არის შესრულებული ფინალი ლექსისა. პოეტის წინათგრძნობამ ხორცი შეისხა. 1921 წელს ბათუმში შემოსულმა წითელმა დაშქარმა ქართველ მებრძოლებთან ერთად ბათუმში მშობლიურ სხეულს საბოლოოდ შეუხორცეს. და რა კარგი ახალგაზრდობა გამოეთხოვა იმ დღეებში მშობლიურ მზეს, ლაქვარდებს, შავი ზღვის მშფოთვარე ტალღებს ანაკლიისა და სხვა ფრონტებზე!..

ამავე სამწუხარო, სამგლოვიარო ამბავს გამოეხმაურა ტიცციან ტაბიძე ლექსით "ორი აპრილი", რომელშიც პოეტის უფრო ქვითინი ისმის, ეიდრე იმედის ნაპერწკალი:

ბათომი მისცეს და ორაირზე მოღის  
თათარი,  
ატმის ყვავილით ხისხლიანი სტირის  
აპრილი,  
ყვითელ სტურნის უბედობით ავად  
გამხდარი.

უკანასკნელი აკორდი კი ამ ლექსისა ასე ვღერს:

საკუთარ თავის და ქაღლავს ახალ  
შერცხვენის  
ტანჯული ფიქრით სპულამოდ  
მოვიქანცები.  
ახ, მეგობრებო, ჩემი ხული  
კვარტლია ხხვენის,  
ცრემლით სავსეა ჩემი წილი ჩვენი  
ყანწების.

ჩვენ ისე გვხიბლავს ანტიკური ლიტერატურა, როგორც აღორძინების ლიტერატურა თუ ხელოვნება; ჩვენს სულს ისევე ახარებს, ამაღლებს და წმენდს ნალექისაგან ლაურას, ბეატრიჩეს, ნესტანისა თუ ოფელიას სახეები, როგორც ნატაშა როსტოვასი, ტატიანა ლარინასა თუ ნაზობროლასი. სილამაზის ეს ზეიმი არის კაცობრიობის ბედნიერება და მისი უკვდავებაც. ის, რაც კარგი და მომხიბლავი, ლამაზი და სულის შემპირავი იყო ახლო წარსულში, ახლაც ისეთივე ჩანს. მე მხედველობაში მაქვს პაოლოს შემოქმედების ერთ-ერთი გვირგვინი — “წერილი დედას“, რომელსაც შემორჩენილი აქვს პირვანდელი პოეტური სიტხოველც და პირველი სიყვარულის ძალაც.

შემდეგში დიდმა რუსმა პოეტმა ს.ესენინმა შექმნა აგრეთვე შესანიშნავი ლექსი იმავე სათაურით “წერილი დედას“ და თავის დროზე გახმაურებული ლექსები “ხულიგანი“ და “ხულიგანის აღსარება“. ესენინმა არაფერი იცოდა, ცხადია, პაოლოს დასახელებულ ლექსზე. განწყობილებები და იდეებიც ხშირად თითქოს ატმოსფერულად ერცელდება. თუმცა აღებულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ სათაურების დამთხვევასთან, არამედ ერთგვარ სეედიან განწყობილებასთანაც, რაც გამოწვეული იყო ოცნებით სოფელზე, სოფლის სიწმინდეზე, რაც გამოწვეული იყო ქალაქის აურზაურის გავლენით შექმნილი სულიერი დეპრესიით; გამოწვეული იყო იმ მარტოობით, რასაც განიცდიდა ქალაქში მოხვედრილი პოეტი. ჩვენ ხშირად ვთხოვდით ავტორს წაეკითხა ეს ლექსი და ისიც სიამოვნებით გვისრულებდა თხოვნას. თვითონ უყვარდა იგი, მისი ღირიკული გული ამ ლექსში ფეთქდა უფრო თავისუფლად და კითხვისას მის ხმას ეტყობოდა საოცარი სირბილე და ამასთან ერთად სულიერი მღვლეარება.

პა! კინტოს პროფილი,  
საეჭვო ტარნები,  
და ღვიკუნტები  
ქალაქის ქუჩებში მე — სალახანა.

კინტოსა და ყარაჩოხელის მოტრუფილვე არასდროს არ ყოფილა არც პაოლო და არც მისი ჯგუფის სხვა წევრები. მისი გემოვნება ასეთ ტიპს ვერ ურიგდებოდა, სალახანას კი თავის თავს უწოდებდა მწარე ირონიით. სოფლის სიწმინდეს მოწვევტილი, იგი თითქოს ქალაქში ვერ პოულობდა საყრდენს. რა თქმა უნდა, მის შთაგონებაზე ამ შემთხვევაში გავლენას ახდენდა არა ქუთაისის შედარებით იდილიური ცხოვრება. არა! მის პოეტურ ფანტაზიას არ ასვენებდა, ალბათ, პარიზში მიღებული კომმარული ჩვენებები, მათხოვრები, რომლებიც სენის “ხიდებს ქვეშ მარსელიოზით ხვდებოდნენ დილას“, არ ასვენებდა “ეგროპის ქაოსი“, “სისხლი“, “დანგრეული რეიმსი“, “რეინის ირგვლივ თაობათა გადაშენება“, რომელთაც ის გამოექცა და აქ დაი-

ტირა "სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი", როცა მას ქალაქში აწუხებდა "ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი".

მახსოვს, მაშინ, სერგო კლდიაშვილს ცრემლიც კი მოსდიოდა, როცა ჩვენ ვისმენდით ამ ლექსის ბოლო სტრიქონებს:

დედა! ინახლე  
შენ წმინდა ზახული!  
წადი ფეხშიშველი,  
ქალაქში დაკარგულ შვილისთვის  
ღამე გაათიე.

ღმერთო! აპატიე, —  
მე თუ ვერ მიშველი —  
დედას, რომ დაგინთო ჩემ სივრცე  
სანთელი,

მისთვის, რომ ჩემს გულში  
დაყუჩდეს გრიგალი და კორიანტელი.

ჩვენ ეხედავდით თითქოს პაოლოს გაშიშვლებულ მყეუტქაე გულს, რომელიც ნატრობდა მასში დატრიალებულ "გრიგალისა და კორიანტელის დაყუჩებას".

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ პაოლოს ჰქონდა დეკადენტური ლექსები და მან ამ ლექსებით მიიპყრო ყურადღება, რადგანაც სწორედ ისინი იჭრებოდნენ დისონანსად საზოგადოების მაშინდელ ესთეტიკურ შეხედულებებში. ამ საზოგადოებას ეხამუშებოდა ისეთი სიტყვა პოეზიაში, რაც არ ემთხვეოდა დაკანონებულ ტრადიციებს; ეხამუშებოდა ის სიახლე, რომელიც არღვევდა ლექსის დაკანონებულ ფორმას და გამოოსახველობით საშუალებებს. როცა ახლა ვაფასებთ იმ წლებს, მშფოთვარე, მღელვარე წლებს, ვაფასებთ ისტორიული პოზიციიდან, — არ შეიძლება უარყოფით წვლილი, რომელიც დასახელებულმა ჯგუფმა ქართული პოეზიის განვითარებაში შეიტანა. მაგრამ არ შეიძლება მივაუფიქროთ ის საშიშროებაც, რომელიც მათ შემოქმედებას ემუქრებოდა.

საქმე ისაა, რომ პირველ ხანებში სიმბოლისტებმა ჩვენში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, გვერდი აუარეს მტკივნეულ საზოგადოებრივ საკითხებს, მოვლენებს და ლექსი გაუღინთეს ვიწრო ინდივიდუალისტური განწყობილებებით, რომლებიც სრულიად არ ემთხვეოდა საზოგადოების და, მით უმეტეს, მისი მოწინავე ნაწილის რევოლუციურ განწყობილებას. ისევე როგორც ყველგან, მოდერნიზმმა ჩვენშიც სახეცვლილება განიცადა. იყო გაუბედავი ცდები იმაჟინისტური, დადაისტური ლექსების წერისა. იყო ისეთი შეხედულებებიც, რომლებიც უარყოფდა პოეზიის არსებობის უფლებას. ლექსებშიც მტკიცდებოდა ნიჰილისტური დამოკიდებულება პოეზიასთან, ერთი სიტყვით, იყო თვითუარყოფის საშიშროებაც. ჩვენი პოეზია საფრთხის წინაშე დგებოდა, რაც გამოხატავდა საერ-

თოდ ბურჟუაზიული კულტურის კრიზისს. ამ ჩიხიდან პოეზია გამოიყვანა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ. საბჭოთა ხელისუფლებამ მხატვრულ ლიტერატურას დიდი საპატიო ამოცანა დაუსახა. "ცისფერყანწელები", რომლებიც დეკადანსის მძიმე ტვირთით შეხვდნენ ხალხის ხელისუფლების გამარჯვებას ჩვენში, ერთბაშად არ განიარაღებულან იმისაგან, რაც წარსულიდან მოიტანეს: მათი იდეური პოზიციების დათმობა არ დაემთხვა ემოციურ განიარაღებას, იმ გრძნობების, განწყობილებების ცვლას, რასაც მათი სისხლი და გული კვებავდა. ემოციური სამყარო უფრო ჩამორჩენილი აღმოჩნდა.

— პაოლო იაშვილი თავისი შინაგანი განცდებით უფრო მომზადებული აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების მისაღებად. თუმცა, როგორც აღინიშნა, მის პოეზიაშიც იყო შეჭრილი "ბოროტი ყვაეილების" შხამი, პაოლო იყო ახალი სკოლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ამ სკოლის არსებობის მთელ მანძილზე. თუმცა მიუდგომლობა მოითხოვს ითქვას, რომ როგორც თეორიული, ისე შემოქმედებითი ბრძოლის უმთავრესი სიმძიმე მაინც ტიციან ტაბიძესა და ვალ.გაფრინდაშვილს დააწვა მხრებზე.

— პაოლოს უფრო პირვანდელ ლექსებში შეიმჩნევა ისეთი გამომსახველობითი საშუალებების გამოყენების ცდა, რომლებიც დეკადენტურ პოეზიას ახასიათებს. ასეთებია პოეტებისადმი მიძღვნილი მისი ლექსები, მისი პირვანდელი სონეტები, რომლებშიც ხშირად არის ლაპარაკი თვითმკვლევლობაზე ("და თავს დავიხრჩობ ბნელი დამით ძველ დარაბაზე"), ბოდვაზე ("გადაგვაშენებს ჩვენ ბოდვები მომდგარი ჯარის"), სიმახინჯეზე ("ღურბელით, ჭლექით დღენაკლული, შენი ლაფორგი"), პალუცინაციებზე და სხვ. გულწრფელად უნდა ვაღიაროთ: მაშინ, დეკადენტური პოეზიის ბაცილებით დაავადებულებს, პაოლოს ეს ლექსები უფრო მოგვწონდა და მათი წაკითხვისას მას ხოტბას ვასხამდით.

გატაცებით და გულში ჩამწვდომი ხმით წაგვიკითხავდა ხოლმე ლექსს "ტიციან ტაბიძეს". აღტაცებული მიმართავდა იგი ტიციანს:

მეც შემომხედე შენი ყვითელი ლექსებით სხეულს,  
მეფე და ბავშვო, დადაღული ქაღალას ჯვართი.

ამ ლექსში პაოლოს დაჭერილი აქვს ტიციანის ხასიათის ერთი საოცარი თვისება: საოცარი გულწრფელობა, რაღაც ბავშვური სისპეტაკე სულისა. ტიციანი მართლაც ასეთი იყო.

პაოლო იაშვილი შეეგება თბილისში შემომავალ წითელ ჯარებს მისალმებით, მან პირველმა მიუძღვნა ლექსი ახალ საქართველოს და ეს არც იყო უეცარი ან შედეგი მისი ცვალებადი განწყობილებისა. მას, ისე როგორც ტიციან ტაბიძეს და "ცისფერყანწელთა" ჯგუფის სხვა წევრებს, მანამდეც უახლოესი კავშირი ჰქონდა დამყარებული და ახლო მეგობრობდა ბესო ლომინაძეს, არჩილ მიქაძეს, ლევან ღოღობერიძეს და სხვა

მათივე თაობის კომუნისტებთან. ბესო ლომინაძეს, არჩილ მიქაძესა და ვ.ჯიქიას მეც ვიცნობდი პეტროგრადიდან და კიდევაც ვმეგობრობდი მათ. ლევან ლოლობერიძეს ვიცნობდი ქუთაისიდან. ერთად ვსწავლობდით რევალურ სასწავლებელში. იყო მეტად ნიჭიერი მოწაფე და საოცარი ცელქი, ერთი მოსმენით სწავლობდა გაკეთილს. აღარ მახსოვს, რომელიღაც დაბალ კლასიდან თავი დაანება რევალურ სასწავლებელს და მგონი ელადიკავაკეში გადავიდა სასწავლებლად. მერე სტუდენტი შეეხვედი პეტროგრაღში, სადაც ის რევოლუციურ მუშაობაში იყო ჩაბმული.

ბესო ლომინაძე და, საერთოდ, მთელი ჩვენი სტუდენტობა ახლო, უშუალო მონაწილეობას იღებდა გამოსვლებში, თებერვლის რევოლუციის მომზადებაში. პროკლამაციებს ვებჭდავდით ჰექტოგრაფზე სიმონ ყაუხჩიშვილთან სახლში და შემდეგ მათ ვავრცელებდით უნივერსიტეტში. უნივერსიტეტთან იყენენ დაკავშირებულნი სამედიცინო აკადემიის სტუდენტები: ჩვენი ახლო მეგობარი, პოეზიაზე შეყვარებული არჩილ მიქაძე და შესანიშნავი, მგზნებარე რევოლუციონერი ზალიკო ქიქოძე, რომელმაც შემდეგში თუ არ ვცდები უშუალო მონაწილეობა მიიღო ზამთრის სასახლის აღებაში. კახაკის რამდენი ხმალი მოხვედრია ბრტყლად დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის ჩუმ, მოკრძალებულ ვაღ.ფუტურძეს! ვაღ.ჯიქია დაჯილდოებული იყო როგორც ფიზიკური, ისე სულიერი უტეხობით, მაგრამ მისგან ნაწყენი არავინ მახსოვს. იყო საოცრად გულწივი, რაღაც ბავშვური ხასიათის, გონებაშეხვეილი, მოსწრებული სიტყვის პატრონი. ბესო ლომინაძის წითელი დროშა ნევის პროსპექტზე ყველაზე მაღლა ფრიალებდა, რადგან თვითონ იყო მაღალი, წარმოსადგები, ნამდვილი რომანტიკოსი კომუნისტი, ნათელ მომავალზე მეოცნებე და მისთვის დაუღალავი მებრძოლი; ცხოვრებაში იყო მეტად სადა და უბრალო, უპერეტენზიო. უყვარდა ამხანაგის დახმარება; თბილისშიც, როცა ხელმძღვანელი პოსტი ეჭირა, ცხოვრობდა ერთ ოთახში დედასთან ერთად. ქუჩაში მანქანით გავლილი იშვიათად მინახავს. ზედმიწევნით იცოდა, ისე როგორც არჩილ მიქაძემ, ლიტერატურა. განსაკუთრებით გატაცებული იყენენ მთაკოვსკის პოეზიით.

ამ შესანიშნავ ადამიანებთან, მხურვალე გულის პატრონ ახალგაზრდებთან მეგობრობდნენ მაშინ განსაკუთრებით პაოლო იაშვილი და ტიცციან ტაბიძე, რამაც, უნდა ვიფიქროთ, ნაყოფი გამოიღო. უნდა გულწრფელად ვადიაროთ, რომ, თუ პირველ ხანებში ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი ვერ გაერკვა პოლიტიკურ ვითარებაში და მაშინდელ ხელისუფლებასთან კარგ ურთიერთობაში იყო, რადგანაც მასში ეროვნული დამოუკიდებლობის დამცველს ხედავდა, შემდეგში პოლიტიკური ცხოვრების განვითარებამ ეს ახალგაზრდობა ბურანიდან გამოიყვანა და თანდათან ჩაუქრო რწმენა არსებული ხელისუფლებისადმი. იგი ახალი გზების ძიებას შეუდგა, გზებისა, რომლებმაც კომუნისტურ მსოფლმხედველობამდე მიიყვანა. თანდათანობით გარდაქმნის

ეს პროცესი მშვენიერად აქვს ასახული ალ. ქუთათელს თავის რომან "პირისპირში", რომელშიც მთელი ეპოქაა მოცემული და ამით არის ის ღირსშესანიშნავე მოვლენა ქართულ ლიტერატურაში.

ამ თანდათანობითი გარდაქმნის პროცესს არ აცდა პაოლო იაშვილი და იგი აღტაცებული ლექსით შეხვდა სასახლის თავზე წითელი დროშის აფრიალებას; მინდა გავიხსენო ადგილები ამ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ლექსიდან, რომელშიც გამოსახულება ჰპოვა ჩვენი საზოგადოების ნაწილის სულისკვეთებამ:

მაშ, ავაფეთქოთ ახალ ნაღებით  
ძველი ქვეყანა დახავსებული.  
მზად არის თოფი! მზად არის ხმალი!  
მტრებს ჩვენ ვეყოფით მარტო კბილებით  
დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი.  
წითელ რუსეთის დამპობილებით.

აღსანიშნავია, რომ ამ დეკლარაციული ხასიათის ლექსში ავტორი სრულიად არ უარყოფს წარსულს, რასაც ბევრი მაშინდელი გზასაცდენილი შემოქმედი შლიდა ხალხის ცხოვრებიდან. არა! პოეტი ჩვენი ხალხის წარსულს უწოდებდა ლეგენდარულს, თამამად ამბობდა "მზემ მოგაფინა ოქროს ფარჩები"-ო.

დეკადენტური განწყობილებები ინერციით განაგრძობენ ცხოვრებას პაოლოს ლექსებში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში. შემდეგ კი იწყება თანდათანობითი დაძლევა საკუთარ თავში წარსული დეკადენტური ნაშთებისა, იწყება სოციალისტური მშენებლობის ზეგავლენით. ეს გარდაქმნა არ იყო ადვილი, არ ჩატარებულა უმტკივნეულოდ. ძველ შინაგან სამყაროსთან შებრძოლებამ ზოგიერთი დროებით ჩამოაშორა პოეზიის ფრონტს, ზოგიერთში ამ პროცესმა რთული ხასიათი მიიღო. ასე იყო თუ ისე, როგორც ცნობილია, პაოლომ, ტიცვიანმა და ყველაზე ორთოდოქსმა სიმბოლისტმაც კი, როგორც იყო ვალ-გაფრინდაშვილი (მე არაფერს ელაპარაკობ გ. ლეონიძეზე, როგორც ჩვენს შორის მყოფზე, რომელსაც ნაკლებად ახასიათებდა დაცემულობის გამომხატველი პოეზიის თავისებურებანი და არც სხვა ცოცხალ ჩემს მეგობრებზე), და აგრეთვე ნიკ. მიწიშვილმა საკმაოდ რთული გზა განეულეს, ძლიერი შინაგანი წინააღმდეგობანი დაძლიეს და რეალიზმის პოზიციებზე დადგნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე ხანებში, 1921 წელს, თვით მწერალთა შორის მოხდა განხეთქილება, დაარსდა ახალი მწერლობის კავშირი; ინიციატორები იყვნენ ისევ და ისევ პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე და პავლე ინგოროყვა. ახალი

მწერლობის კავშირის დაარსება თავისთავად კარგად გამოხატავდა ტენდენციას, რომელიც “ცისფერყანწელთა” პოეზიას განსაზღვრავდა. მართალია კავშირს დიდხანს არ უარსებია, კოტე მაყაშვილის თაოსნობით და ავტორიტეტით ისევე მოხდა ლიტერატურული ძალების კონსოლიდაცია. დამახასიათებელია, რომ ახალი მწერლობის კავშირის თავმჯდომარედ იმავე პაოლოს რჩევით არჩეულ იქნა მაშინ უკვე სახელმწიფოებრივი ახალგაზრდა მეცნიერი და დახვეწილი გემოვნებით აღჭურვილი პავლე ინგოროყვა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პაოლო იყო დიდი პატივისმცემელი პავლე ინგოროყვასი, უყვარდა ის, როგორც ახალი პოეზიის ერთ-ერთი მუბაირახტრე, იშვიათი სტილის პატრონი. ეს თავისი სიყვარული და ღრმა პატივისცემა მან გამოხატა ლექსით, რომელიც პავლე ინგოროყვას მიუძღვნა. მახსოვს მწერლების სასახლე. ზამთარი. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ოქროს ნაპერწკლები ბლუჯა-ბლუჯა ცვიოდა. ბუხარს შემოსხდომილთ აქ გაგვაცნო პაოლომ ეს ლექსი. და იმ ნაპერწკლებივით ელავდა ლექსი, რომელსაც ავტორი დიდი შთაგონებით კითხულობდა:

გაღმეტებით, ტანჯულ ღლეებით  
წარსული ჰკივის უკუღმართული,  
ჩვენ კი უტკბილეს სამოთხეებით  
გვინდა გავმართოთ მხარე ქართული.

მიწა მსუქანი სისხლის დაღვეით  
შენ შეგვათვისე — იმედია  
და გულში გივლის მკივან ალივით,  
შენ რუსთაველის მერიდიანი.

ლექსი თავდება ასე:

ჰმავ ინგორუყო! პოეტო ადრე  
და მერე დარდო წარსულ დიდების,  
გულს პოეზია იჭკვებით ანგრევს  
და გულს — დააყრობა პირამიდების.

ჩვენ, მსმენელებს, ლექსი მოგვეწონა, რამდენადაც მასში დაჭკერილია პავლე ინგოროყვას სულიერი სამყარო. იგი ჩვენთვისაც იყო “პოეტი ადრე და მერე დარდი წარსულ დიდების”.

ზემოთ აღვნიშნე, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდნენ მაშინ “ცისფერყანწელთა” ჯგუფის წევრები ლექსის ისეთ სამკაულს, ისეთ მაორგანიზებელ ძალას, როგორიცაა რითმა. პაოლომ ვალერიან გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში ასეთი რითმა გამოიყენა: დერიდახოლებს — გადააყოლებს. აი მთელი სტროფი:



გაახელ თვალებს, მოცხად იტყვი: ახ  
უკაცრავად!  
ჩამოხსნი ფრთხილად თეთრ ნაბადს და  
დერიდახოლებს,  
და თუ ლაკონი იმის თითებს  
ლაუკაწრავად, —  
ათ კოცნას თვალი ათ მარგალიტს  
გადააყოლებს.

მე ახლაც არ ვიცი კარგად, რას ნიშნავს “დერიდახოლებს”, მაგრამ  
მაშინ თვითონ პაოლოც და ჩვენც ურიად გახარებულნი ვიყავით ახალი  
რითმის აღმოჩენით.

ასე განხმარდა მაშინ მისი ლექსი “როგორც აფრის ტკაცუნის”, რო-  
მელიც ემყარებოდა, შეიძლება ითქვას, კარგად მოცემნილ რითმებს: ტკა-  
ცუნის — გაქკაცური, დასტური — ალადასტური და კეთილშობილურ სურ-  
ვილს:

მინდა მიწას მარჩენალს  
ქონდეს მშვიდი ძილი;  
ქაგდეს ვაჟის გაჩენა  
მხის ამოსვლას დილის.

და რამდენი ლაპარაკი იყო ჩვენს შორის ვალ. გაფრინდაშვილის  
მიერ პირველად გამოყენებულ რითმაზე: რაინდს — მაინც. ეს აღმოჩენას  
უდრიდა. შემდეგ ამ რითმამ ხელიდან ხელში გადასვლა დაიწყო.

პაოლო ზემო იმერეთიდან იყო. მისი მშობლიური სოფელია არგვე-  
თი. ის ყოველთვის გატაცებით ლაპარაკობდა იმერეთზე, მის დაუეციყარ  
პეიზაჟებზე, მოხუცებზე თეთრი წვერებით, რომლებიც ძველი ეკლესიე-  
ბის კედლებზე დახატულ მოციქულებს მოაგონებდნენ. უყვარდა ნიკო  
ლორთქიფანიძისა და დავით კლდიაშვილის იმერეთი, მშობლიური სო-  
ფელი და ქუთაისი, სადაც მან ახალი პოეზიის კარი შეაღო, და რა გულ-  
წრფელად უმღერა მან აკაკის ქუთაისს, არგვეთს, ნიკ.ლორთქიფანიძესა  
და დ.კლდიაშვილს! პაოლო ყოველთვის მოწინააღმდეგეობით და სიყვარულით  
გაიხსენებდა ხოლმე ნ.ლორთქიფანიძის სახელს; მეგობრობდა მას. მე-  
გობრებითურთ ეწვია დავით კლდიაშვილს სიმონეთში. ეს წვეულება  
ცოცხლად აქვს აწერილი სერგო კლდიაშვილს თავის მოგონებებში მამა-  
ზე, და მე მინდა კიდევ გაეახსენო მკითხველს გემოვნებით დაწერილი  
ლექსი პაოლოს ნიკოლორთქიფანიძეზე, რომელშიც ასე მოხდენილად,  
არტიტულად აქვს დახატული ავტორის მწერლის პორტრეტი, — მისი  
პოეტური სული, ადამიანური კეთილშობილება, მისი იშვიათი პროფილი...

ზარ მოედვარე, ვით სტევარი,  
ემორჩილები მზეს ღა იაღონს,  
მომეცი ნება როგორც მწვეარი  
ღექსი გაჩქო ბუნებით ბატონს.

ღექსი მართლაც მწვეარივით არის მოქნილი და გრაციოზულიც. დავით კლდიაშვილის სამყარო კი მოათავსა სულ ორ სტროფში, რომელთა წაკითხვისას არ შეიძლება არ წარმოგიდგეთ მის შემოქმედებაში გაცოცხლებული იმერეთი.

შენში გაცოცხლდა იმერეთი თავის  
მაჭრებით,  
მე კუმზერ ბოსტნებს, ვიწრო შარებს,  
შემის ბოგიერებს.  
აგერ, ირინე შეწერილმანეს ატლენს  
ვაჭრობით.  
მღვდელი ზოხიშე ღამშუელ ჯორს  
შობობიანებს.  
თაელა და კაღო, გაღესილი ჩქარი  
ნამგალი,  
ღობეში ღირი უღლიანი ღირიანებს  
შწარედ,  
და სოღომონი, გაცრეცილი მზნე  
მაჭანკალი,  
ჭიმქართან ყვირის: "მაინძელი, გამოღი/  
გარეთ!"

ღექსში ყურადღებას იქცევს ყოველი დეტალი, ყოველი სიტყვიერი საღებავი, რომელიც იმერეთის სურათს ცოცხლად აღადგენს. პაოლოს საყვარელი ადამიანი იყო გერონტი ქიქოძე, რომელიც ასეთივე თბილი გრძნობით პასუხობდა ხოლმე მას.

ციხფერყანწელთა შორის საოცარი თბილი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ღელი ჯაფარიძესთან. დიდი პატივისმცემელი იყო მისი მამის და, საერთოდ, ოჯახის; ღელის ეზუმრებოდა, "აწვალეზბდა", ხანდა-ხან წონასწორობიდან გამოჰყავდა, შემდეგ დაუყვავებდა, მოუფერებოდა, აღერსით მოაჯადოვებდა, უყვარდა ღელის ღექსი "მატარებლიდან", რომელიც საერთოდ დიდი მოწონებით სარგებლობდა მეგობრებს შორის, იგი ზეპირად იცოდა და ხშირად კითხულობდა თავისი რიხიანი ხმით:

... რის ნიშანი ხარ, ავის, კარგისა?  
მაგრამ რას ვჩივი: ჩემი მარკიზა  
ღღეს იქ ლაქტოვე, იმ მხარეზედა,  
რიონი,  
ხვირი,  
აჯამეთი  
აუ, ყვირილა!

ნუთუ ამ დამამ ჩემი გული ააგვირილა?  
ცაცხლიან ყვაილს ღამწვარ გულში მაინც არ  
გრილა...

გამოტოვებდა სტრიქონებს და ზარივით რეკდა:

ღინ, ღარი-ღან  
ღინ, რეზე-ღან  
ო, ჩქარა, ჩქარა შემანქანე ნუ გვიანდები,  
ფიქრიან ტყეში მაშინებენ ავი ღანდები.

შემდეგ დამსწრეთ მოგვიწოდებდა რომ ერთად გვესადილა. სუფრაზე განაგრძობდა ექსპრომტად თქმას ლექსებისას, მას აკყვებოდა ტიცციანი, ვალერიანი, გოგლა და იწყებოდა ლექსების წარღვნა. ამ მშვენიერად შეწყობილი ორკესტრის ღირიყორი მზიური პაოლო იყო.

პაოლოში სიმბოლისტ პოეტებიდან ყველაზე მეტ ინტერესს იწვევდა არტურ რემბო. უფრო ხშირად მასზე ჰქონდა საუბარი. თარგმნა მისი "მთერალი ხომალდი", რომელსაც ხშირად იტყოდა ხოლმე ზეპირად. რემბოს მიუძღვნა აგრეთვე ლექსი, რომელშიაც მან გამოხატა დამოკიდებულება კაპიტალისტურ ევროპასთან, თავისი პროტესტი, მართალია, არა მებრძოლი, მაგრამ მაინც შენიღბული პროტესტი. ეს ლექსი დათარიღებულია 1920 წლით და იგი თავდება ასეთი სტროფით:

ტირილის ღროა! და ქვეყანა მოღის  
ღარობით,  
ძველი ევროპის ხქელი ფაშვი ღღეს  
იფატრება.  
გამარჯვებული ხეტიალთ, ჩხუბით,  
უკპრობით,  
არტურ მართალი! გვინდა შენთან  
ღაბინაღრება.

უეჭველია, პაოლო უფრო რემბოსთან პოულობდა სულიერ ნათესაობას; ისეთივე ბობოქარი, დაუდგარი და მეოცნებე პროტესტანტი იყო; მასავეთ უყვარდა "ხეტიალი", თითქოსდა პრაქტიკული საქმიანობა. პაოლო სრულიად არ წააგავდა ხასიათით ტიცციანს: ისინი ერთმანეთს აე-

სებდნენ. ტიცციანს ერთი წუთით არ შეეძლო ეცხოვრა პოეზიის ატმოსფეროს გარეშე, პოეზია და საერთოდ ლიტერატურა წარმოადგენდა მის ქანებადს, იმით სუნთქავდა, იმით ცხოვრობდა. ყველგან და ყოველ დროს ლიტერატურის საკითხებზე შეეძლო ესაუბრა. მის რკალში იყო მოქცეული და იყო მეტად ერუდირებული. ახლა, როცა მისი სტატიებისა და ლექსების წიგნები გამოვიდა, ტიცციანი კიდევ უფრო გაიზარდა მკითხველთა თვალში, მას მეტი მიმდევრები და თაყვანისმცემლები აღმოუჩნდა, მისი სულიერი ტკივილები, მისი ემოციები უფრო მომხიბლავნი აღმოჩნდნენ. გერონტი ქიქოძემ წაიკითხა სტატიების ეს წიგნი და გაზარებულია მითხრა: ტიცციანი რომ შესანიშნავი პოეტი იყო ვიცოდი, მაგრამ რა მოაზროვნე ყოფილა, რა ფაქიზი გემოვნება ჰქონია, რამდენი რამ სცოდნიაო! შეიძლება ითქვას, ტიცციანს წუთიც არ ჰქონია ცხოვრებაში, რომ არ ყოფილიყო შთაგონებული პოეზიით, ორფეოსის ხმით, პაოლო კი... მისი სურათი ზედმიწევნით სიზუსტით არის დახატული ირ. აბაშიძის ცნობილ ლექსში, პაოლო იაშვილს რომ მიუძღვნა. მას შეეძლო თვეობით გაშორებოდა თბილისს, წასულიყო სანადიროდ, მეგობრებში გაეტარებინა დრო. როგორც ვთქვით, ნამდვილი ეპიკურელი იყო. რა სიმართლეა სიტყვებში, რომლებითაც ი. აბაშიძე მიმართავს ტრაგიკულად დაღუპულ პაოლოს: “წლობით შეგეძლო გემიჯნურა, გეგრძნო, გელოთა, მუდამ ზეიმად, მუდამ ღხინად გამზადებული. ძმობის შემეკერელი, სუფრის თაეი, ბეჭის დამჭრელი, გადაყოლილი მორღს და მართლს... შაი, ღელასა! ასე გიცნობდა, თუ გიცნობდა, სადმე ქართულელი”. პაოლო მართლაც “ამქვეყნიური ნექტრით იყო დამთერალი”. დიდ დროს ფლანგავდა, რამდენი შთაგონებული წუთი გაუშვა ხელიდან, რამდენი ოცნება დარჩა ხორცტუხსნელი. დარდიმანდი და ოქროპირი, მომღბენი, რომელიც მოხდენილ სიტყვებს უხვად ფანტავდა, შეუდარებელი თამადა, სუფრის მშვენება — ასეთი იყო პაოლო ცხოვრებაში. მისი ექსპრომტები, ქართულად და რუსულად თქმული, სუფრაზე გაოცებას იწვევდნენ დამსწრეთა შორის, ასეთ ბრწყინვალე, მაგრამ წარმატებულ დიდებაში ეხარჯებოდა ძვირფასი დრო და იქნება ესეც არის იმის მიზეზი, რომ მოცულობით არც თუ ისე დიდი პოეტური მემკვიდრეობა დატოვა.

პაოლოს ჰყავდა შესანიშნავი ძმები. მათ შორის ერთი უფროსი, მიშა, პროფესიით ექიმი, იმპერიალისტური ომის დროს ფრონტზე ნამყოფი, მეტად ხუშარა იყო, იცოდა ამბის შესანიშნავად მოყოლა. როცა ის ჰყვებოდა რაიმე სახუმარო ამბავს, სუფრა სიცილისაგან ზანზარებდა, თვითონ პაოლო, თუმცა მას მრავალჯერ ჰქონდა მოსმენილი მიშას მიერ ნაამბობი, მაინც პანიკით ხარხარებდა. ცოტას შევსწრებივარ ისეთ სუფრას პაოლოსთან, რომ აქარ ყოფილიყო ზორბა, გულკეთილი, გულუხვი მიშა, და თავისი ენამოსწრებული ოხუნჯობით დამსწრეთა შორის მხიარულების ცეცხლი არ გაეჩაღებინოს. პაოლოსაც მეტად უყვარდა მიშა, და კიდევაც დაუთმო მას კუთვნილი ადგილი თავის მზიურ ლექსში “სამასი არგვეთელი”. სათაურიც რომ შესანიშნავი მისცა ამ ლექსს! ასოცი-

აციით გვაგონებს სამას არაგველს. ამით პოეტმა სამას არგვეთელს იგივე ფუნქცია დააკისრა შრომის ფრონტზე, რაც სამასმა არაგველმა შეასრულა კრწანისის ველზე — ჩვენი ხალხის ცხოვრების ყველაზე უფრო ტრაგიკულ ჟამს. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ პაოლოს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ვლ.ჯიქიასთან, რომელიც მაშინ, როგორც ინიჟინერი, რიონჰესის მშენებლობას ხელმძღვანელობდა. ჯიქია იყო მეტად პატრიოტულად განწყობილი ადამიანი, ოცნებობდა თავისი ქვეყნის აყვავებაზე, ღიდ გეგმებს სახავედა. ჩვენი ქვეყნის წელში გამართვის საწინდარს ხელავედა უფრო ინდუსტრიალიზაციაში, ვიდრე ფოროხოხლებისა და მანდარინების გაშენებაში.

ეს იყო მისი პირადული აზრი, რომელიც გამიზიარა, როგორც ძველ პეტროგრაფულ მეგობარს, ქუთაისში ყოფნისას. ასფალტით ფარავდა ქუთაის-წყალტუბოს გზატკეცილს, ასეთივე გეგმა ჰქონდა ქუთაის-გელათის მიმართ. აი, ეს ვალოდია ჯიქია არის ასე ცოცხლად წარმოდგენილი იმავე ლექსში “სამას არგვეთელს”. ასე რომ, ეს ლექსიც ბიოგრაფიული ხასიათისაა. პაოლომ მაშინ მართლაც იღვა თავზე, ჩამოეყვანა რიონჰესის მშენებლობაზე “სამასი არგვეთელი”. მას ხშირად იტაცებდა ასეთი პრაქტიკული საქმიანობა, რაც იძულებულს ხდიდა დაეწყებისათვის მიეცა შემოქმედებითი მუშაობა. თუმცა სიმართლე მოითხოვს, ითქვას, რომ თავისი შთაგონება მან უფრო დაძაბა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში — 1933, 1934, 1935 და 1936 წლებში, თითქოს ტრაგიკული დღის მოახლოებას გრძნობდა. და თავის პრაქტიკულ საქმიანობას, რაც პატრიოტული განწყობილებით იყო მხოლოდ ნაკარნახევი, თავის შემოქმედებაშიც ასახავედა. ასეთია მისი მთელი რიგი ლექსებისა, სადაც მან ასახა როგორც კოლხილის დაშრობის, ისე სამგორის მშენებლობის პროცესები. თითქოსდა პროზაული ამბები მას მაღალ მხატვრულ დონეზე აყვავდა. არა მხოლოდ იმერული ნატურმორტები არის ჯადოსნური ფუნჯით დახატული (“ხომ გახსოვს ტყემაღში ფარგა და ხორკლიანი კიტრები”), არამედ ასე თამაშობს ავტორის პოეტური ფანტაზია:

ხუბი ჯარად მიდიან,  
შორს — თოვლის მთები  
ღანან — ოცნებით,  
თითქოს ჰაერში ჰკილია,  
მიტკაღის პირსახოცები...

ასეთ პლასტიკურ სახეში აქვს წარმოდგენილი პოეტს თოვლიანი მთები, ანდა:

მთვარე კი თეთრი ბტივით  
ცაში ვარსკვლავებს კენკავდა.

ასეთ კონკრეტულ სახეში არის წარმოსახული მთვარის მოძრაობა ცაზე (ვარსკლავები ხომ მართლაც ნაკლებად ჩანან მთვარის შუქზე); ან რა უბრალო, ძალდაუტანებელ და პოეტურ დიალოგში (ჯიქიასა და აერორს შორის) არის ასახული დიდი პრობლემა, მშენებლობის სამუშაო ძალით უზრუნველყოფის პრობლემა. და რა სულიერი სიმშვიდე, ბუნებასთან შერწყმის სურათია გაშლილი ლექსში, რომელიც მშობლიურ სოფელში ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებებით არის ნაქარნახევი. თუმცა ამ ლექსში უკვე იგრძნობა ის სეკდა, მსუსხავი სეკდა, რამაც თავისი გამოსავალი ჰპოვა მის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში “წერილი კოლაუ ნადირაძეს”. “ზემოურ რთველში” პაოლომ მისთვის ჩვეული ელვარე საღებადებით დახატა რთველის ცოცხალი სურათები, მარანი, რომლის “ყაერის ჭერში ოქროს დანა გაურჭვია დილის მზესა”. საკმარისია მარტო ერთი სტროფი მოვიყვანოთ ამ ლექსიდან, რომ წარმოვიდგინოთ შემოდგომის მომხიბვლელი, კონკრეტული, ხილვადი, რეალური სურათი:

მზეა, ქარიც... ფიცხი ჩაღა  
 ნაფუძარში აიშალა,  
 მიუხვეტა ყანის ღობეს;  
 აესებულა ჯოგით ჭაღა,  
 და მწყემსები ხმა წკრიაღა  
 გერიტს ესვრიან ფილთა თოფებს.

ან ავიღოთ მისი “არგვეთის ღამეები”, რომელშიც ასეთი ცოცხალი საღებადებით და მეტაფორული სახეებით არის დახატული არგვეთის ღამის ცა:

ცაზე კერცხლის შერცხლები  
 სხედან ღურჯ ბუდეებში,  
 მთვარე ცივად ეცემა  
 შქერის ტყეში გამართულ ტოტების  
 ბაღეებში,  
 მთვარე – თეთრი ხოხობი  
 გაუხირა ტოტებში...

უკანასკნელი ორი სტრიქონი, მაინც იმდენად ცხოველყოფილი აღმოჩნდა, რომ ოდნავი ცვლილებებით სხვა ლექსებშიც მოიპოვა ბინა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ 1922, 1923, 1924, 1925 და შემდეგ წლებში, ვიდრე 1934 წლამდე, პაოლოს შემოქმედებითი მუშაობის ინტენსიობა შენელებული ჩანს. პირველ წლებში როგორც პაოლოს, ისე სხვა “ცისფერყანწელთა” მუშაობა, როგორც ვთქვით, განპირობებული იყო, ახალი გზების ძიებით, სოციალისტური რეალიზმის პირობებზე გადასვლისათვის წარმოებული ბრძოლით. “რუბიკონისა” და “ბახტრიონის” ფურცლებზე, რომელთაც ტიცვიან ტაბიძე და გიორგი ჯეონიძე რედაქტორობდა, ხდებოდა ამ გზების მოსინჯვა, იდეოლოგიური შეიარა-

ღება. თვითონ ჯგუფის შიგნით არ იყო ყველაფერი დალაგებული. მიმდინარეობდა შინაგანი ბრძოლა, რაც ხშირად მწვავე ხასიათს ღებულობდა.

1922-1923 წლებში შექმნილი მცირერიცხოვანი ლექსებიდან მინდა გამოიყო ლექსები "ლილი მეუნარგიას" და "ოვანეს თუმანიანს".

პირველმა ლექსმა ყურადღება მიიპყრო თავისი სინაზით, გულწრფელობით, ბუნებრიობით, ლილი – იონა მეუნარგიას ქალიშვილი – ტუბერკულოზით გარდაიცვალა. ლილი პატარა ანგელოზივით ყავდა პაოლოს წარმოდგენილი. ლილის სიკვდილმა ის მეტად შეაწუხა, სულიერი წონასწორობა დაუკარგა. მოწყვნილი დადიოდა, გული ტკიოდა და ეს ტკივილი ლექსში ჩააქსოვა:

პატარა ბალიშს დაეცა ცრემლი,  
პატარა ფილტვებს მიჰარა ქლექი და  
ზველა.  
ჩამოწვდი, როგორც ყვაილი ტყემლის  
შენ რომ იყავი იღუპალი და ჭიანჭველა.  
შენ ბავშვობიდან გელოდნენ ცაში,  
ჩვენც მოგედოდი, განსობა უფრო ძნელია.  
მაგრამ მე მჯერა თავის საბანში  
შენ მიგიღებენ ბეატრიჩე და ოფელია.

ასე გაუდენტა პოეტმა ლექსი ცრემლით და გარდაცვლილს ბეატრიჩესთან და ოფელიასთან, ქალის ამ უკვდავ სახეებთან მიუჩინა ბინა.

ახლო კავშირი ჰქონდათ დამყარებული პაოლოს, ტიცციანს, ვალერიანს, გოგლას, კოლაუს და სხვებს დიდ სომეხ მწერალ ოვანეს თუმანიანთან. საერთოდ პაოლო, ტიცციანი და გოგლა იმ ხანებში იყვნენ მეგობრობის ნამდვილი მინდიები. ცნობილია მათი მეგობრული ურთიერთობა ნ.ტიხონოვთან, ბ.პასტერნაკთან, პ.ანტოკოლსკისთან, ს.ესენინთან და სხვებთან. ეს მეგობრობა, გამოჩენილ რუს პოეტებთან, შემდეგში სხვებმა განაგრძეს, რამაც დიდი საქმე შეასრულა. როგორც ცნობილია, ნ.ტიხონოვმა, ბ.პასტერნაკმა, პ.ანტოკოლსკიმ დიდი ამაგი დასდეს ქართულ პოეზიას, მისი საუკეთესო ნიმუშები რუსულ ენაზე თარგმნეს და მკითხველთა ფართო ფენების საკუთრებად აქციეს. ეს იყო თავდადებული შრომის ნაყოფი.

ს.ესენინმა ვერ მოასწრო ამ დიდ საქმეში ჩაბმვა, თუმცა ამის სურვილი ჰქონდა. ესენინთან განსაკუთრებით მეგობრობდა ტიცციან ტაბიძე, ესენინი იყო მისი ხშირი სტუმარი ბინაზე – გრიბოედოვის ქუჩაზე. შეთრობისას ესენინი თავის გულს ლექსებად ღვრიდა. იყო წარმოსადგეი შეხედულების, ხუჭუჭა, ქერა, ნამდვილი პოეტური ბუნების. ამ მხრივ ტიცციანს წააგავდა. ალბათ გულმა გული იცნო. ესენინის ცნობილ შესანიშნავ ლექსს "Поетам Грузии" ტიცციანმა, 1926 წელს, უპასუხა ლექსით, რომელშიც მკაფიოდ და მხატვრული ძალით გამოხატა პოეტის სულიერი მღვლეარება, რადაც ბოკემური სევდა, რომელიც ასე ახასიათებდა ესენინის ადრინდელ პოე-

ზიას. ამ ლექსის ყოველი სტრიქონი მაშინაც და ახლაც ჟრუანტელს მგერის ხოლმე წაკითხვისას. როცა პოეტი მიმართავს ესენინს: “გდიოდა ლექსი, შენ როგორც სისხლი, მოურჩენელი გულის იარა”, “და გულში სტირის შენი ანდერძი, სადღეგრძელოში გვახსოვდე მარად. წითელ ღვინოში – შენ პურის კერძი წამოიზრდები სისხლის ტომარად”, – ამით ის გამოთქვამდა თავის გულისნაღებს, თავისი სისხლის ღუდილს. როცა ტიცციანმა გაიგო ესენინის თვითმკვლელობის ამბავი – სახე შეეცვალა; თითქოს დამბლა დაეცაო, დაემხო და აქვითინდა, იმიტომ, რომ ის გრძნობდა, ესენინის სახით რუსულმა პოეზიამ დიდი დანაკლისი განიცადა, ახლო მეგობარი დაჰკარგა. იგი წერდა: “ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორღენს”.

დიდი პატივისცემით სარგებლობდა, როგორც ვთქვით, ოვანეს თუმანიანი, საერთოდ, “ცისფერყანწველების“ და, პირველ რიგში, პაოლოსა და ტიცციანის მხრივ. მახსოვს სადილი, რომელიც ოვანეს თუმანიანმა გამართა და რომელზედაც თითქმის ყველა “ცისფერყანწველი“ იყო მიწვეული. ო.თუმანიანი ცხოვრობდა დაეითაშვილის ქუჩაზე. ისეთი სუფრა ჰქონდა, რომ იტყვიან ჩიტის რძე არ აკლდა. და იყო სიტყვები... სიტყვები ძმობაზე, ისტორიულ მეგობრობაზე სომეხ და ქართველ ხალხებს შორის. ბევრი რამ ითქვა იმ დამღუპველ, გამთიშველ პოლიტიკაზე, რომელსაც საქართველოსა და სომხეთში მაშინდელი ხელისუფალნი ატარებდნენ და რომელიც სამარცხეინო ომით დაგვირგვინდა. სიტყვებს სცელიდა ლექსები და ისევ ფიცი ძმობაზე... დიდი პოეტისა და მოქალაქის სიკედლის მიუძღვნა პაოლომ 1923 წელს თავისი ლექსი. საერთოდ მისი ყოველი ლექსი იყო ნაყოფი სიყვარულის, გატაცების, ღრმა პატივისცემის, ასეთი იყო ეს ლექსიც:

როგორც მღალაი თაფლის სანთელი,  
აენთე ღარიბ სომხეთის მთაზე,  
და ძმობის კვალი შენგან ნათელი,  
სასპარეზოდ შემოგვთავაზე.

პაოლო, როგორც ვთქვით, ფართო დიაპაზონის მოქალაქე იყო. უშუალო მონაწილეობას იღებდა ყოველ ახალ წამოწყებაში, ხალხის კულტურის განვითარებაში, მშვენივრად იცოდა ფერწერითი მხატვრობა. მხატვართა შორის მისი დიდი სიყვარულით სარგებლობდა ფიროსმანი, ლადო გუდიაშვილი, შალვა ქიქოძე. საერთოდ ეს მხატვრები იდგნენ მაშინაც “ცისფერყანწველთა“ ყურადღების ცენტრში. მათი მხატვრული ნაწარმოებები იწვევდნენ აღტაცებას. გიორგი ლეონიძე მასალებს აგროვებდა ფიროსმანზე. კახეთში წასულ შალვა დადიანს სთხოვა მოეწოდებინა იქედან ცნობები ფიროსმანზე, თუ ასეთს წააწყდებოდა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, შალვა დადიანმა კიდევაც მომწერა წერილი ფიროსმანზე, რომელიც, არ მახსოვს, “ბახტრიონში“ თუ “რუბიკონში“ დაიბეჭდა.



პაოლო იყო დიდი მოყვარული სცენისა. მგონი ქუთაისში, როგორც სცენისმოყვარემ, კიდევაც მიიღო მონაწილეობა "ღალატში", რომელიც ვიღაცის დახმარების მიხნით დაიდგა, თბილისში იგი ახლო მონაწილეობას იღებდა თეატრალურ ცხოვრებაში. ცნობილია მისი როლი ახალი საბჭოთა ქართული თეატრის შექმნაში, მისი აღტაცებულ სიტყვა, რომლითაც ის მიესალმა კოტე მარჯანიშვილს 1922 წ. 23 ნოემბერს "ცხერის წყაროს" პირველი წარმოდგენის დროს. პაოლო გვერდში ამოუდგა კ.მარჯანიშვილს და მასთან ერთად ჩაება ბრძოლაში ქართული თეატრის აღორძინებისათვის, ქართული საბჭოთა თეატრის დამკვიდრებისათვის. პიტსაგას პატარა ლუქანი (ახლანდელი ხატა ვაჩნაძის ქუჩაზე) იყო მაშინ ჩვენი შესაკრები ადგილი. ამ ლუქნის ხშირი სტუმრები ვიყავით როგორც ჩვენს, ისე მსახიობები (ვეჩე ჯიქია, მიშა ლორთქიფანიძე, უმ.ჩხეიძე, აკ.ვასაძე და სხვ.), კოტე მარჯანიშვილი, შალვა დადიანი და სუძბაძეშვილი-იუჟინიცი, როცა ის თბილისს ეწვია. აქ სუფრაზე შლიდა და აწყობდა დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი თავის მომავალ დადგმების გეგმებს, სთხოვდა მწერლებს პიესებს — ორიგინალურს, ეინაიდანო, ამბობდა, ეროვნული რეპერტუარის გარეშე ნაციონალური თეატრი არ შეიქმნებაო. ახლო კაეშირი იყო გაბმული თეატრის მუშაკთა და მწერლებს შორის. კოტე მარჯანიშვილის ყოველი სპექტაკლი ეს იყო ღღესასწაული, სახეიმო სანახაობა. პაოლოც, რომელიც სახეიმო განწყობილების იშვიათი გამომხატველი იყო, სახეგაბრწყინებული ესწრებოდა კოტეს სპექტაკლებს. შემდეგში როგორღაც ურთიერთობა კოტე მარჯანიშვილსა და პაოლოს შორის ოდნავ გაცივდა. თუ წინათ მჭიდრო კაეშირი დამყარებული იყო არა მხოლოდ თეატრის კედლებს შიგნით, არამედ ყოველდღიურ ყოფაში, შემდეგში ეს კაეშირი შენულდა. არა მგონია, თითქოს ამის მიზეზი ყოფილიყოს ორ თეატრს შორის გაჩაღებული გამწვავებული ბრძოლა, რაც ჩშირად სცილდებოდა შემოქმედებით საკითხებს და სულ სხვა სუეროში გადადიოდა. ყოველ შემთხვევაში პაოლო ბოლომდე დარჩა დიდი დამყასებელი კოტე მარჯანიშვილის ღვაწლისა, როგორც ახალი ქართული თეატრის ფუძემდებლისა, დარჩა მისი რეჟისორული მთავონების ჭეშმარიტი პატრიისმცემელი. ამის დამადასტურებელია ის პატარა ლექსი, რომელიც მიუძღვნა პოეტმა დიდ რეჟისორსა და რომელიც დათარიღებულია 1934 წლით:

როცა ცხენები, ყინვის სკვესავი,  
მიქროდნენ თოვლზე მკერდებშიშლილი,  
უეცრად შემხვდა ღამის მზესავით  
ნამდვილი კოტე მარჯანიშვილი.  
საყვედურისთვის არ იყო მოცლა,  
არც ვიგონებდით დამლაღვ ჭორებს,  
და ქართველურმა მხურვალე კონსამ  
გადაგუჭვდა ერთიმეორეს.

როგორც ეხედაეთ, ამ ლექსიდანაც კარგად ჩანს, რომ მათ შორის იყო რაღაც გაუგებრობა, დაირღვა მჭიდრო კავშირი, წინათ რომ არსებობდა, ლექსში ლაპარაკია “დამღალავ ჭორებზე”, “ნამდვილ კოტე მარჯანიშვილზე”, და სხვ. ამ მხრივ ეს ლექსი ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მასში რაღაც ნართაულით, მაგრამ მაინც არის ასახული გარკვეული საფეხური ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი კუთხისა, რომ მათ შორის მოხდა რაღაც გათიშვა და ლექსი ამ მხრივ სინამდვილეს გამოხატავს. ამას ადასტურებს პაოლოს წერილიც, რომლითაც მან სანდრო ახმეტელს მიმართა. ეს წერილი ამჟამად ინახება რუსთაველის სახელობის თეატრის მუზეუმში ხელნაწერის სახით.

### კვირვასო ამხანაგო, და კეპო სავა!

მოგმართავ შენ პირადად, აგრეთვე როგორც კორპორაცია “ღურუჯის” წევრს და მეთაურთაგანს. შენთვის გასაკებია ამ ბარათის მიზანი. იგი გამოწვეულია გამოსარკვევად იმ გაუგებრობისა, რომელიც დამყარდა ჩემსა და კორპორაციას შორის და შეიძლება ითქვას “ცისფერყანწელების” და ღურუჯის შორის. ერთ დიდ დამსახურებად ქართული ხელოვნების წინაშე მე და ყველა ჩემს ამხანაგს მიგვაჩნია “ღურუჯის” აღტაცებული და უეჭვოთ ცნობა მაშინ, როდესაც თქვენს წინააღმდეგ შეიარაღდა ჩვენი საზოგადოება. თქვენი შემოქმედება მე მიმაჩნია ახალი ქართული ხელოვნების დიდ საქმედ, ისევე, როგორც “ცისფერი ყანწელების” მუშაობა. სისტემა თქვენი ბრძოლისა იყო ჩვენთვის ახლობელი და ღვიძლი სისტემა. აგრეთვე ეს თქვენი ნიადაგი და გეზი ჩვენთვის იყო ნათესაური. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ “ღურუჯი” იყო ნაწილი ერთი ესთეტიური ფრონტის, რომლის შთამაგონებელი ვიყავით ჩვენც. ასეთი შეხედულება დამტკიცდა შარშან ჩემი და ჩემი ამხანაგების მეგობრული ბარათებით, რომელნიც ჩვენ მოვათავსეთ თქვენს მიერ გამოცემულ კრებულში.\*

წელს “ღურუჯის” კორპორაციაში მოხდა მნიშვნელოვანი და სამწუხარო ამბავი: კოტე მარჯანიშვილის და რამდენიმე კორპორანტის ჩამოცილება, ეს ამბავი ჩვენთვის მაჩვენებელი იყო “ღურუჯის” ნაწილობრივი კრიზისის, კონფლიქტმა გამოიწვია სიხარული თქვენს მოწინააღმდეგეთა შორის, ჩვენ არ ვიყავით მონაწილენი ამ სიხარულისა.

იგულისხმება ჟურნალი “ღურუჯი”.

ყველა ჩვენთაგანი მომხრე იყო "ზავის", მიუხედავად ამისა, რომ კოტე მარჯანიშვილის ჩემდამი დამოკიდებულება საკმაოდ გულცივია და ჩემის ფიქრით, თავიდანვე ასეთი იყო, მე მაინც მიმაჩნია მარჯანიშვილი ჩემი გონებით დიდ ხელოვანათ. მე აგრეთვე ვფიქრობ, რომ ის ჯერ კიდევ საჭირო იყო თქვენი თეატრისათვისაც, და რაც უფრო საგულისხმოა, თქვენ ყველა იყავით საჭირო მარჯანიშვილისათვის. ამ კონფლიქტში მე არ მეშინია თქვენი ბედის. მე მაწუხებს კ.მარჯანიშვილის მარტოობა, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ კოტე მარჯანიშვილი ვერ შექმნის სხვა კოლექტივს, რომელთანაც დაამკვიდრებს პარმონიულ მუშაობას. ამ მოსაზრებით ჩვენ ვიყავით მომხრენი "ზავისა". თუ ეს ზავი არ მოხდა, კ.მარჯანიშვილი იძულებული იქნება საქართველო დასტოვოს.

გვაქვს თუ არა ჩვენ უფლება დამშვიდებით შეეურიგდით ამ სამწუხარო შედეგს კონფლიქტისას?

მე მჯერა, რომ მარჯანიშვილის და "ღურუჯის" კონფლიქტი არ არის გამოწვეული მხატვრული უთანხმოებით. აქ ალბათ ადგილი აქვს უფრო მდობალ და ადამიანურ მიზეზებს. მით უფრო საჭირო იყო მათი გადალახვა. მე არსებითად არ ვეხები საკითხს, არ ვეძებ ვისი ბრალი მეტია. ამას მნიშვნელობა არა აქვს...

მარჯანიშვილის და რამოდენიმე კორპორანტის წასვლის შემდეგ მე დიდის ინტერესით მოედინოდი რუსთაველის თეატრში; შეიძლება დამტკიცდეს, რომ არასოდეს მე და "ყანწელები" ისე ხშირად არ ვყოფილვართ რუსთაველის თეატრში როგორც წელს.

მომწონს და მახარებს "ზაკმუკის" დადგმა, მომწონს და მახარებს ირაკლის და უშანგის დიდი წარმატება, ახმეტელის მხატვრული გემოვნების მთლიანობა და რაც ყველაზე საბედნიეროა, ახმეტელის ავტორიტეტი, მაგარი ხელები და დისციპლინის სიმტკიცე.

მაგრამ არ გეთანხმებით "ამერიკელი ძიას" დადგმაში, "ღურუჯის" სიძლიერე ორ მომენტშია: ერთი "მაგარი ძიობა", და მეორე კორპორაცია, როგორც მხატვრული სკოლა. მეორე მომენტის მიხედვით თქვენ "ძია" არ უნდა დაგედგათ. ეს არის "Соглашателство". ასეთი შეცდომები ჩვენც გვექონდა უკანასკნელ წლებში და სწორედ ეს იწვევდა ყველაზე მეტს კრიზისებს "ყანწელებში", ამ პიესისთვის არ ღირდა ფანტაზიის და ენერჯის გაფლანგვა.

ეს მე ეთქვი აშკარად. ალბათ ეს იყო მიზეზი ჩვენს შორის გაუგებრობის დამყარებისა და მხოლოდ ამისთვის ნუ იქნება ჩვენს შორის უბრობა.

"ღურუჯმა" რომ უკანასკნელი კრიზისი განიცადოს, დალუპავს პირს რომ იდგეს, მე მაინც ვილაპარაკებ შეცდომებზე.

მე აშკარად მინდა გითხრა, ძვირფასო საშა და ყველა კორპორანტს, რომ ჩემი ვითომდა გულცივობა "ღურუჯისადმი" გამოწვეულია თქვენი იჭენეულობით.

ჩემი შეხედულება მე არავისაგან დამიძალადია, რადგან არა ვარ ჩვეუ-  
ლი დაეფარო მართალი, მით უფრო მხატვრულ საკითხებში. ეს არის  
ყველაყერი, რაც მომაგონდა. მე იმედი მაქვს ამ ნიადაგზე გვექნება კიდევ  
პირადი საუბარი. აღზათ მაშინ გამოვარკვეთ ყველა გაუგებრობას. ჩემ-  
ში ძველებურად რჩება რწმენა "ღურჯუისადმი". სიყვარული კი ახლა  
შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე როდესმე.

გილოცაეთ ქართული თეატრის დღეს.

შენი და მთელი თეატრის კორპორაციის  
ძმა და მეგობარი პაოლო იაშვილი.

3 იანვარი, 1927 წ.

სრულ სიმართლეს წერს პაოლო. პირველ ხანებში პაოლო და ტი-  
ციანი მართლაც "ზავის" მომხრენი იყვნენ. როცა ამ ზავის დამყარება არ  
მოხერხდა, ისინი, განსაკუთრებით ტიციანი, უფრო ახმეტელს ამოუდგ-  
ნენ მხარში. ამას სხვა მიზეზები ედგა სარჩულად, პაოლო იაშვილი მოყ-  
ვანილ წერილში თითქმის არაფერს ამბობს თავის როლზე და ინიციატი-  
ვაზე, რაც მან კოტე მარჯანიშვილის ქართულ თეატრში მოწვევის საქ-  
მეში გამოიჩინა. პაოლო, როგორც მეგობრის მოყვარული ადამიანი,  
ერთგვარი იჭკითაც ჩყო შეპყრობილი; არ სიამოვნებდა მაინცდამაინც,  
როცა სიყვარულში, ვთქვათ, ტიციანისადმი, სხვა ვინმე დაუწყებდა შე-  
ჯიბრებას. ამ ეჭვის შედეგი უნდა იყოს ის ადგილი წერილისა, სადაც  
კოტე მარჯანიშვილის გულცივობაზე ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში,  
ეს არ შეიძლება ითქვას იმ ურთიერთობაზე, რომელიც მათ შორის არ-  
სებობდა, ვიდრე რუსთაველის სახელობის თეატრში განხეთქილება მოხ-  
დებოდა. პაოლოს, ტიციანს და ყველა "ცისყურყანწილს" კოტეს სიყვა-  
რულში ვერაინ შეედაეებოდა. პირიქით, ესენი ედგნენ მხარში, როცა  
მის (კოტეს) წინააღმდეგ საზოგადოების ერთმა ნაწილმა გაილაშქრა. თუ  
არ ვცდები, 1924 წელს საერთო დეკლარაციითაც კი გამოვიდნენ პრესა-  
ში. პაოლოს და მის მეგობრებს, განსაკუთრებით ტიციანს, როგორც  
სიახლის მაძიებელს, ლიტერატურასა თუ თეატრალურ ხელოვნებაში,  
არ შეეძლოთ ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელსა და დიდ შთა-  
გონებულ ოსტატს არ მიმხრობოდნენ. ამას ამტკიცებდნენ როგორც თა-  
ვიანთ სტატიებში, ისე გამართულ დისკუსიებებში, გამოსვლებში. ასედაც  
მოხდა. ურთიერთობას მათ შორის შემდეგში დაეტყო ერთგვარი სიცივე,  
ბზარი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც პაოლო, ისე ტიციანი  
ბოლომდე დიდი პატივისმცემელნი იყვნენ კ.მარჯანიშვილის განუმეო-  
რებელი, ჯადოქრული რეჟისორული ოსტატობისა. სხვანაირად არც შე-  
იძლებოდა. ამას ადასტურებს თუნდაც ტიციან ტაბიძის აღტაცებული  
წერილი, რომელიც დაწერა მან კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების  
გამო. მომყავს ადგილი ამ წერილიდან: "... არის მეორე ოსტატი, რომე-  
ლიც ცხოვრობს თავისი შემოქმედებით. რომელიც განუწყვეტელი შე-

მოქმედების ჟრუანტილივით თრთის, რომლის გათიშვა შეუძლებელია მისი კმნილებებიდან. მას აქვს მოზვაეებული მეწყერის შთაგონება, და თუ ზეკად წამოვიდა, არ გაჩერდება, სხვასაც გაიტანს და თვითონაც ჩაინთქმება. ამ მეორე ბუნების ოსტატები იყენენ — კოტე მარჯანიშვილი და ლალო მესხიშვილი“. მთელი ეს წერილი დაწერილია ტიცციანისათვის ჩვეული ტემპერამენტით, გულწრფელი სიყვარულით და იმის გათვალისწინებითა და გრძნობით, რაც კოტე მარჯანიშვილმა, თეატრალური ხელოვნების ამ დიდმა ნოვატორმა ქართული საბჭოთა თეატრის შექმნაში შეასრულა.

ადრე პაოლო ბოქემური ცხოვრების ერთი კოლორიტული წარმომადგენელი იყო. როგორც ეთქვით, ბოქემა მისთვის მდიდარი სულის გამომზეურების ერთი საშუალება იყო მხოლოდ. მისი პოეტური უცნაურობანი, მისი შეუზღუდავი ფანტაზია აქ პოულობდა გამოსაყვალს... და ადვილად პოულობდა საერთო ენას ბოქემის ნიჭიერ წარმომადგენლებთან, ისეთ პოეტებთან, რომელთა შთაგონებას ნაწილობრივ მაინც ბოქემა ასაზრდოებდა. ერთი ასეთი დიდად ნიჭიერი პოეტი იყო ეთიმ გურჯი. ის გაეციანით ოცდახუთიან წლებში. მახსოვს ვერისბაღი, სადაც საცურაო აუზი იყო მოწყობილი. იქ იყო რესტორანი, ეთიმ გურჯი მისი ხშირი სტუმარი იყო, შემდეგ იქვე ცხოვრობდა ერთ-ერთ პატარა ოთახში. პაოლო მასთან შეხვედრისას თავის სტიქიამო გრძნობდა თავს. თვითონ ეთიმო იყო მეტად მოკარძალეული, ჩუმი, თვემდაბალი, ძალიან პატარა წარმოდგენისა საკუთარ თავზე. ერთი დამე, როგორც იტყვიან, ამ ბაღში დაკამსხერიეთ და გარიჟრაჟს, მტკერის ტალღების შრიალს საარის დუღუნით შეეხვდით. მე იყო ეთიმის ნაცნობი, მისი ნიჭის პატივისმცემელ მედუღუკეთა დასი — მზის პირველ სხივებს რომ ასეთი ტყბილი ხმების აჟღერებით შეეხდა. ცხოველი ნიაკით დარხნულ ასეთ გარიჟრაჟს უხდებოდა ექსპრომტი, რომელიც პაოლომ ეთიმს მიუძღვნა. პაოლო ხომ ექსპრომტების ღმერთი იყო. ის არც წერდა თავის ექსპრომტებს, იქვე კმნიდა და ზეპირად ამბობდა, და განა ბევრ მოფიქრებულ, თავზე დათენებულ დამის მანძილზე შექმნილ ლექსს შეუძლია გაუტოლდეს მათ თავისი ღრმა განცდით, სინამდვილის მოსწრებული ასახვით, ფრთიანი თქმებით, თვით ობიექტის შინაგანი ცხოვრების თუ მისი შემოქმედების ნიშანდობლივი თვისებების გადმოცემით?

მესმის მისი ცრემლიანი ღაღადი:

— დასწერად არ მაქვს ხუფთა ქაღალდი.  
ვერ მაჩუკა საქართველომ კაღამი,  
რომ დავეწერო მისთვის გულის საღამი.

მე არა მაქვს საკუთარი ბინაო,

მე წუხელი ქვაზე დაშეძინაო.

მაგრამ მშველის ხითბო რუსთაველისო,

აღბათ ახლაც მონატრებით მელისო.

ეთიმის ნამდვილი ბუნება არის გადმოცემული ამ ლექსში – პოეტურად, სიწრფელით, მოხდენილად მონახული თქმებით. ეთიმი შემდეგში, მგონი 1928 წელს, უფრო ახლოს გამაცნო ი. გრიშაშვილმა, მაშინ ვხელმძღვანელობდი გამომცემლობა “შრომას“. გამოვეცი ი. გრიშაშვილის მიერ რედაქტირებული ეთიმის ლექსების პატარა კრებული. ოთახში ძალით შემომყავდა. ერიდებოდა თავისი განუყრელი ნაბდითა და ნაბდის ქუდით შემოსვლა. არც ჰქონორარის მიღება უნდოდა; ასეთი თავმდაბალი კაცი, ისიც პოეტი, არ შემხვედრია!

1924 წლით მხოლოდ ერთი ლექსია დათარიღებული. ეს ლექსი პაოლომ დაწერა ლენინის გარდაცვალების გამო. იგი მაჩხენებს ამ მგლოვიარე წელს – დიადს თავის მწუხარებაში. თბილისი ცივ ბურუსში იყო გახვეული. ცნობამ ლენინის გარდაცვალების შესახებ ჟურნალტელევიტით დაუარა ქალაქს. გლოვის ზარი დადგა ქუჩებში. ქალაქის მთავარი ქუჩები კ. მარჯანიშვილმა შავი ძაბებში ჩასვა. საგანგებოდ იყო მორთული სასახლე (ახლანდელი პიონერთა სასახლე). ლენინის დიდი სურათის ქვეშ საპატიო ყარაულში იდგნენ პარტიის გამოჩენილი მოღვაწენი. დაკრძალვის წუთებში გაისმა მატარებელთა გაბმული გუგუნის, შეჩერდა მოძრაობა. ქუჩაში ხალხი მდუმარედ იდგა თავდახრილი. პაოლომ ეს წუთები ასახა თავის ლექსში, ასახა იმ ტემპერამენტით, რაც მისი შემოქმედების თვისებას წარმოადგენს.

ღვას პოეზია საპატიო ერთგულ დარაჯად.

მეექვსე ღამე! ჩანს თბილისი ვით

სასაულაო.

უნდა სიჩუმე გამოცხადდეს ერთი საათით...

იწყებს მაღალ რეგისტრებში პოეტი ლექსს, რომელშიც აქსოვს მთელ თავის შინაგან ტკივილს და იმ მწუხარებას, რასაც ხალხი განიცდიდა. შემდეგ პოეტი შთაგონებული სტრიქონებით აღწერს სულიერ შემუშოვებას, რაც ლენინის სიკვდილმა გამოიწვია გერმანიის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების მუშებში და ლექსს ასეთი აწეული შეძახილით ამთავრებს:

ამხანაგებო, ჩაღვა წუთით ოქტომბრის

ქარი,

ვიმღეროთ ერთად, პოეტებო, მარში

გლოვისა.

და იმღერა კიდევ. როცა პაოლოს ლექსს ვკითხულობ, ახლაც ისე ვგრძნობ, თითქოს პლანეტამ მართლაც შეაჩერა იმ წუთებში სრბოლა და მავთულები დაწყდნენ სამგლოვიარო ცნობის გადმოცემისას. ისეთი ძალით არის განცდილი პოეტის მიერ ის წუსებები, რომ ვუიქრობ,

ვერავითარ აღწერით ვერ წარმოიდგენს მკითხველი, იმ დღეებს ისე თვალნათლივ, როგორც აღნიშნული ლექსის წაკითხვით. ასეთია ჯადოსნური გაელენა მხატვრული სიტყვისა ადამიანზე.

პაოლო საოცარი გამომგონებელი იყო. მისი უანტაზია ყოველთვის ინტენსიურად მუშაობდა. რას არ გამოიგონებდა, ვისი თავგადასავალი არ იცოდა! ამბებს იშვიათი გატაცებით ჰყვებოდა. არ შეიძლებოდა მსმენელის ყურადღება არ მიეპყრო. კვაჭის ტიპის შექმნაში პაოლომ, აღი არსენიშვილმა და ტიცციანმა საკმაო დახმარება აღმოუჩინეს ჩვენს გამოჩენილ მწერალს მიხ.ჯავახიშვილს ასეთი ამბების მოყოლით.

ჩვენყოველთვის გვაოცებდა პაოლოს შემოქმედებითი “გარდაქმნა”. გვაოცებდა მისი ლექსები, რომლებიც ელენე ღარიანის უსუველონიმით ქვეყნდებოდა. რამდენი წმინდა ქალური განცდა, ხილვა, სინაზე შექპონდა მათში! ამ ლექსებში ის ასახავდა როგორც ვნებიანი ქალის შინაგან სამყაროს, ისე ქალის უმანკო სწრაფვასა და ოცნებას.

ოცდახუთიანი წლები პაოლოსათვის ნაკლებად ნაყოფიერი იყო. საერთოდ, ამ წლებში “ცისფერყანწელთა” ჯგუფი მწვავე შინაგან კრიზისს განიცდიდა. ეს კრიზისი საკმაო ხანს გაგრძელდა. ჯგუფის ახალი წევრები დაჟინებით მოითხოვდნენ სრულ გარდაქმნას, დამოუკიდებლად გამოსვლას. ხშირად ვიკრიბებოდით და ამ საკითხზე ვახდენდით აზრთა გაცვლა-გამოცვლას. რამდენჯერმე კიდეც იქნა მიღებული დადგენილება ცალკე კრებულის გამოცემის თაობაზე. მასალების შეგროვებაც დაეიწყო, ამ მასალებიდან არქივში მხოლოდ კოლაჟ ნადირაძის პატარა ლექსი (“ყუგას” სახელწოდებით) და ლაღო გუდიაშვილის სურათების ფოტოები შემომრჩა. კრებულის გამოცემა არ მოხერხდა. პირადად პაოლო, ჯგუფის ხელმძღვანელი, არ იჩენდა მაინცდამაინც ღიდ პათოსს კრებულის ცალკე გამოსვლის გამო. ის თავისი მხატვრული აღღოთი გრძნობდა, რომ ამის დრო უკვე წასული იყო. პირდაპირ ამბობდა შეკრებებზე: ჩვენ ერთხელ უკვე მოვახდინეთ გარდატეხა პოეზიაში, მოვახდინეთ ერთგვარი რევოლუცია და მიაპიტობა იქნება ჩვენის მხრივ ახლა მეორე რევოლუციის მოხდენის ცდას შეუუღგეთო. ამისათვის სხვები არიან მოწოდებულნი. ამ შინაგანმა ბრძოლამ, ახალი გზების ძიებამ კარგა ხანს გასტანა. რომ ჯგუფის შიგნით უკმაყოფილონიც იყვნენ, ამის დამადასტურებელია ის რეცენზია, რომელიც, არ მახსოვს რომელ წელს, დაწერა ჩვენმა მეგობარმა რაჟდენ გვეტაძემ გაზეთ “ბარრიკადის” (N4) შესახებ. ამ რეცენზიაში სრულიად გაქიაქებული იყო ის მასალა, რომელიც “ბარრიკადის” აღნიშნულ ნომერში გამოქვეყნდა. ამ რეცენზიას აქტორი ასე ათაეებს: “საერთოდ “ბარრიკადი” გადამღერებულია და მის ფურცლებს საკმევლის სუნი უდის”. რაჟდენი მაშინ განაწყენებული იყო და ეს წყნა ამკარად, საჯაროდ აგრძნობინა თავის ყოფილ მეგობრებს. იქნება პაოლო მართალიც იყო, როცა არ იბრძოდა მაინცდამაინც ახალი ჟურნალის გამოცემისათვის. მასალაც არაფერი მოუცია. მინდა მკითხველს გავაცნო ორი დოკუმენტი,

რომელიც ხელთ შემომრჩა და ამ ჯგუფის შინაგან მერყეობაზე და ახალი გზის ძიებაზე მიგვიბრუნებდა. ერთი დღე იწინააღმდეგებოდა ჩემს მიერ. აი რა წერია ამ დადგენილებაში, რომელიც ერთ-ერთ სხდომაზე მიგვიღია უკვე 30-იან წლებში:

“შედგა სალიტერატურო დაჯგუფების “ცისფერ ყანწელების“ საერთო კრება, რომელზედაც განხილულ იქნა ჯგუფის წარსული და მომავალი მუშაობის ძირითადი საკითხები. კრებაზე მიღებული იქნა შემდეგი დადგენილება:

1. საჭიროდ იქნეს ცნობილი ჯგუფის ლიტერატურული და ორგანიზაციული პრაქტიკის ძირითადი გადასინჯვა, — რეკონსტრუქციული პერიოდის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

2. შეცვლილი იქნეს ჯგუფის სახელწოდება, რომელიც არ გამოხატავს თანამედროვე ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების იმ გაგებას, რომელიც ამჟამად ახასიათებს ჯგუფში შემავალ მწერლებს.

3. ა.წ. (ეს წელი არ მახსოვს) ნოემბრისათვის გამოცემულ იქნას ჯგუფის ლიტერატურული კრებული, რომელშიაც მოთავსდება ჯგუფის წევრთა შემოქმედებითი ნიმუშები, აგებული ახალი, სოციალისტური ცხოვრების თემატიკაზე და რომლებშიც, კერძოდ, საკვებით ჩამოყალიბებული იქნება ის ლიტერატურული პრინციპები, რომელნიც საფუძვლად დაედება ჯგუფის მომავალ მუშაობას და რომელნიც ძირითადად შემდეგში გამოიხატება:

1924 წელს გამოქვეყნებულ დეკლარაციაში ეს ჯგუფი, დადგა რა საბჭოთა ნიადაგზე, როგორც შემოქმედებით, ისე პრაქტიკული საქმიანობით, განუხრელად მიდიოდა თანამგზავრული ლიტერატურის გზით. დღეს, რეკონსტრუქციულ პირობებში, როცა წარმოებს კაპიტალიზმის ნაშთის, კულაკობის ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე და, ამასთან დაკავშირებით, კლასობრივი ბრძოლა ჩვენში მეტად გამწვავდა, ჯგუფი საჭიროდ და აუცილებლად თელის ძველი გზის რევიზიას, ვინაიდან თანამგზავრობა უკვე აღარ გამოიხატავს მასში შემავალი წევრების იდეური და შემოქმედებითი საქმიანობის არსს. აღიარებს რა შეცდომებს წერილბურჟუაზიულ გადახრების პერიოდში, ჯგუფი შეეცდება მომავალში ამ შეცდომების აღმოფხვრას პროლეტარული ლიტერატურის დახმარებით, ამხანაგური ზეგავლენით, რათა გახდეს მისი მოკავშირე თავისი შემოქმედებით.

ორი სამყაროს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, კაპიტალიზმის ნაშთებსა და სოციალიზმის სისტემებს შორის გამძაფრებულ ბრძოლაში, მთელი ჩვენი ძალღონით და შეგნებით ვდგევართ უკანასკნელის, მუშათა კლასის მოწინავე პოზიციაზე, კაპიტალიზმის შესაფლავის პროლეტარიატის საამაყო ბარიკადებზე“.

ასეთი კრებული, როგორც ცნობილია, არ გამოცემულა. ჩანდა, რომ შინაგანი კრიზისი ძლიერდებოდა, ცხოვრება უკვე აღარ მოითხოვდა ჯგუფის ცალკე ორგანოთი გამოსვლას. ამას კარგად გრძნობდა პაოლო.



მან უფრო კარგად აუღო ალღო სინამდვილეს და ჯგუფის ცალკე გამოსვლას გულგრილად უყურებდა, უაზრობადაც თვლიდა. მართლაც, ის თავიდან ბოლომდე მართალი იყო.

გამწილი სოციალისტური მშენებლობა ამ ხანებში მოითხოვდა შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციას და არა ჯგუფების პოზიციების გაძლიერებას. უნაყოფო შინაგანი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა პაოლოსა და ტიციანის ხაზმა (ტიციანი ძირითადად მას ემხრობოდა). ერთ-ერთ კრებაზე მიღებულ იქნა დადგენილება ჯგუფის ლიკვიდაციის შესახებ.

აი ეს დადგენილებაც, რომელიც დაწერილია ალი არსენიშვილის ხელით. "ლიტერატურული ჯგუფი", აღიარებს რა:

1. რომ მისი სახელწოდება და ლიტერატურული პრაქტიკა (პირველი პერიოდი – 1916-1923) აღნიშნავდა ობიექტურად წერილ-ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ ბაზაზე აღმოცენებულ ესთეტიკურ-ინდივიდუალისტურ იდეოლოგიის გამოვლინებას;

2. რომ საქართველოს ოქტომბრის მიერ შექმნილმა და შემდეგ გარმაეებულმა გიგანტურმა სოციალურმა გარდაქმნამ ჯგუფის მერმინდელ პრაქტიკას ნაწილობრივ მისცა ახალი შინაარსი;

3. რომ თანამედროვე რევოლუციური პერიოდის შინაარსის მისაწვდომად და მისი ანარეკლის მოსაცემად, საჭიროა სხვა შემოქმედებითი მეთოდები, რომელიც იჭედება მოწინავე რევოლუციურ ლიტერატურის მთლიან ფრონტზე და, რომ მომავლის დაუფლებისათვის "ცისფერ ყანწელების" განვლილი იდეოლოგიურ-მხატვრული გზები დაძველებული და უეარგისია;

ადგანს

"გაუქმებულ იქნას "ცისფერ ყანწელების" ლიტერატურული ჯგუფის არსებობა, რათა სრული საშუალება მიეცეს მის მონაწილეებს, მეტი ტემპებით განაგრძონ თავისი ფსიქოიდეოლოგიური გარდაქმნა დამკვერელი ეპოქის პერიოდში უშუალოდ ჩაბმისათვის".

ეს დადგენილება, თუ არ ვცდები, მიღებულ იქნა 1931-32 წლებში. ამით ფიქსირებულ იქნა საქმის ნამდვილი მდგომარეობა: "ცისფერ-ყანწელების" ჯგუფი აღარ იყო, აღარ იყო ის შინაგანი ამხანაგური დისციპლინა, ის ურთიერთგაგება, რაც წინა ხანებში არსებობდა და რაც იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა ამ ხანებში. ფაქტიურად პაოლო მოწყდა ამ ჯგუფს. მას შეეძლო დიდი ხნით გასცლოდა თბილისს, გატაცებული მონადირე იყო. უყვარდა ნანადირევით გამასპინძლება. მონადირის რომანტიკა მშვენიერად არის გადმოცემული ირ.აბაშიძის დაწმენდილ ლექსების რკალში "მონადირის ღამეები":

სველი ხე მოკყვა გადაბმულ შიშინს,  
ვით ტყის ნადირთა უცნაურ ამბებს,  
და შეპებრებიც უყუფდნენ შიშით  
კოცონის ირგვლივ გაწოლილ ღანღებს,

ტყეში კი ისევ ტკაცუნით სკამდა  
ნადირი ნადირს, რკოსა და ზეზილს,  
ბერმუხის უკან მგლის თვალი ჩანდა,  
მურყანის უკან – ფოცხვერის ფეხი.

და ღაემკვანა ეს ღამე ქორწილს,  
ბრუნავდა ცეცხლზე მწვალების ჯარა,  
შამფურებს სტეხდა ნადირის ხორცი  
და ჩინჩნლებს ჰყრიდა მამხალის გვარად.

ასეთი მოხდენილი, ძლიერი რეალისტური ფერებით, კონკრეტული სახეებით აქვს გაშლილი ირ.აბაშიძეს მონადირის ღამისთვის სურათი, რომელიც თითქოს დეეკაცების პურ-მარილს მოგვეგონებს. ამ სურათში ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ: მთელმდარე მეძებრებს, კოცონის გარშემო გაწოლილ ლანდებს რომ უყეფენ, ფოცხვერის ფეხს, მწვალების ჯარას, ნადირთა ხორცს, შამფურებს რომ სტეხდა.

პაოლო იაშვილის ლექსი “ღებღაჩაის ღამე” შთაგონებულია აგრეთვე ღამით, რომელიც მან კოლაუ ნადირაძესთან ერთად ნადირობაში გაატარა. ოღონდ ამ ლექსში პოეტი გატაცებულია არა იმდენად მონადირის ღამის აღწერით, რამდენადაც თავისი ლირიკული მღვლეარების გადმოცემით. ეს ღამე მისთვის აღსანიშნავია იმიტომ, რომ მან თვალი მოჰკრა თურქი მასპინძლის ასულს, რომელმაც “უკვე განთიადს გაუღო კარი”, პოეტი განაგრძობს:

შემომატქერდა,  
გული აძვერდა,  
როგორც ასკერთა  
ბრძოლაში მიწა,  
შებრუნდა, როგორც თევზი ფაცერთან  
და მოშრიადე ჭილობზე მიწვა.

ამ ლექსში, გარდა ლირიკული მღვლეარებისა, განწყობილებას ქმნის ლექსის მგლოდიურობა, რაც მოყოლებულ ოთხ რითმას ემყარება: შემომატქერდა, აძვერდა, ასკერთა – ფაცერთან.

აღსანიშნავია ლექსები, რომლებშიც პაოლომ გამოხატა თავისი გაგება პოეზიისა, გვაუწყვა, თუ რას განიცდის პოეტი შემოქმედების დროს, თუ როგორ მიმდინარეობს ეს მეტად რთული პროცესი. ეს ლექსებია: “პოეზია”, “პოეზიის ინჟინერებს”, “პოეტის საქმე”. პოეტი სრულიად არ იზიარებს იმ აზრს, თითქოს ლექსი იყოს შედეგი იოლი შემოქმედებითი პროცესისა, რომელიც უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. არა! ლექსი არის

შედგები დაძაბული შემოქმედებისა, რომელსაც თან ახლავს სიტყვასთან ბრძოლით გამოწვეული ტანჯვა, ძიება, სულიერი შფოთვა, იმედის გაბრწყინება და მისი ჩაქრობა, მიზნის მიღწევა — შექმნა ლექსისა, რაც დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს და რომელიც “ღარჩება წმინდა, როგორც ჰეპელა”. ავტორისათვის “არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი, როგორც პოეტის შთაგონებით დასწეულება“, იმიტომ, რომ მასთან დაკავშირებულია შთაგონების ცეცხლში გახვევა. პაოლოს გაგებით, პოეტს იმდენი თვალი უნდა ჰქონდეს, რომ ყველა ნახოს, იმდენი გული, რომ ყველა იგრძნოს. ლექსის შექმნა მისთვის ერთი წლის სიცოცხლეს უდრის.

რამდენი ლექსი დაიწერა, იმდენი წელი  
ჩამოწერა ჩემს ცხოვრებას, ვით აღამიანს.

ასეთ ძნელ, რთულ და მტკივნეულ პროცესად ესახება პოეტს შემოქმედებით პროცესი, როცა სიტყვა კვიმატი შემოახურებს და “სისხლი, აზრი, სული” იქცევიან “იმის მონებად”. ეს პროცესი, ეს ჭიდილი სიტყვასთან ალბათ განცდილი აქვს ყველა ჭეშმარიტ პოეტს.

ლექსი “პოეტის საქმე” დათარიღებულია 1931 წლით, როცა პაოლოს უკვე საბოლოოდ დაძლეული ჰქონდა დეკადენტური პოეზიის რეციდივები და რეალიზმის პრინციპებს ადგა. იგი პოეზიას მიზნად უსახავს აქოს შრომა და მიწა, ნატრობს ძალას, რომელიც ლექსებით უნდა გადმოაღაგოს, მისი სურვილია “ყოველი დღის საქმეს შეეხოს“, აზრი, რომ მხატვრული ლიტერატურა არ შეიძლება მოწვევითი იყოს სინამდვილეს, რომ ხელოვნება საერთოდ ცხოვრებას უნდა ასახავდეს და იყოს ერთ-ერთი სინამდვილე ცხოვრების გარდასაქმნელად, რომ მას დაკისრებული აქვს სინამდვილის შეცნობის ფუნქციაც, კიდევ უფრო მკაფიოდ არის გატარებული ლექსში “პოეზიის ინჟინრებს“, ამ ლექსში პაოლო სავსებით თანამედროვეობის პოზიციაზე დგას, იგი პირდაპირ ამბობს:

გავტყდეთ აშკარად, გუშინ ნაშენი  
დღევანდელისთვის უკვე ქველია.

მას უკუღმართ საქმედ მიაჩნია, როდესაც პოეტი “ჟინით ისევ დანგრეულ ღობეებს იცავს“. მისთვის ქალაქი უკვე აღარ წარმოადგენს რაღაც ქაოსის ნაკრებს, რომელიც სულს უხუთავდა და კომმარულ ხილვებში ხვევდა მის პოეტურ ფანტაზიას წინათ. ახლა მას იზიდავს მაღალი ქარხნის მილი, რომლიდანაც “იფეთქებს გუნდი შაეი შაშვების“, მას იტაცებს “მდინარეების ყოველი წვეთი“, რომელიც “გადაიტყევა წკრიალა შუქად“, მისთვის — “რა შეედრება როცა სვანეთში მატარებელი ატორტმანდება“, “როცა კახეთის დაზვიერთულ ზეარებს ეედარ აუკა ჭურჭელით გლენი“.

პოეტში დიდ შემოქმედებით სიზარულს იწვევს, როცა — “თვალს ხედავს მომავალს საესეს, რომელსაც სარდლად მიუძღვის შრომა” და ალტაცებით ამბობს:

რაა ბადალი, როდესაც მცხეთას  
მიბაჯენს სახლებს, ჩვენი თბილისი.

ამის თაობაზე, თბილის-მცხეთის ერთმანეთთან მიბაჯენის თაობაზე, პაოლოს წერილიც კი ჰქონდა გამოქვეყნებული.

ლექსში “პოეტი და მოქალაქე” პაოლო გულწრფელად ამბობდა:

“ნუთუ პოეტებს გვეპატიება აზნაურული გაზარმაცება, ამხანაგებო, ნუ გეზარებათ ჩამოცილება ძველი ფესვების”. ეს იყო დეკლარაციული განცხადება, რომლითაც პოეტი გამოვიდა 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მაგრამ შემოქმედებითმა პრაქტიკამ ნათელჰყო, რომ “ძველი ფესვების ჩამოცილება” არც ისე ადვილი გახდა. “ძველი ფესვების ჩამოცილების” პროცესში ჯგუფმა მერყეობის, შეცდომების ძნელი გზა განელო, ეიდრე საბჭოთა პოეზიის ფრონტზე მოწინავე პოზიციაზე დადგებოდა.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში პაოლომ შემოქმედებით ბიოგრაფიაში მეტი სიცხოველე შეიტანა. მის შთამაგონებლად გადაიქცა ის დიდი სამუშაოები, რომლებიც კოლხეთის დაბლობზე და სამგორის ველზე გაიშალა. კოლხეთის დაშრობის საქმეს მან ლექსების მთელი ციკლი მიუძღვნა და საყურადღებოა, რომ ყველა ეს ლექსი დათარიღებულია მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლით — 1937 წლით. ამ ლექსებში ჩვენ ვხვდებით პაოლოს შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ფრიად ელკარე, გაბედულ, უეცარ, საკმაოდ მდიდარ პოეტურ სახეებს, ნათელ მეტაფორულ თქმებს; ჩვენ ვხვდებით კოლხეთის დაჭაობებულ ადგილებს, “სადაც ყვავილებს ციება ღუნავს”, “მღუღარე საპონს ჰგავს ტბორზე ტბორი”, “სადაც რიონის გაშლილ კალაპოტს დახრჩობილივით მოჰყვება მორი”, სადაც “შავი ჭაობიდან დახსნილ მიწაზე ვხვდებით, ბალახის წვეტიან ფირუზს”. პოეტი უმღერის და აღიღებს ჭაობიდან განთავისუფლებულ ყორათს, კოლხეთის პირველ მოსახლეს, რიონს, რომელმაც იცვალა კალაპოტი, მალთაყვას, ებრაელს, რომელიც კოლხიდაში დასახლდა, რომელსაც “ლხინზე ეძახის ჩვენი ქვეყანა” და მოუწოდებს მას:

წინ წაუქეზი მზიარულ სახით,  
აჩვენე მამებს სასახობა  
ნიჭიერ ხალხის, საყურელ ხალხის,  
ღლებდნიერი ახალთაობა,  
ადგა, დაიძრა შენი სოფელი,  
დატოვა მწარე ბედის ხსენება,  
თქვენს სულს აანთებს მიწა მშობელი  
და ზედ მოსავლის აღმოცენება.

სოციალისტური მშენებლობის პათოსით არის გამსჭვალული როგორც აღნიშნული ლექსი, ისე სამგორის სარწყავი არხების გაყვანისადმი მიძღვნილი ლექსები.

უკანასკნელ წლებში შექმნა პაოლომ ერთი თავისი საუკეთესო ლექსთაგანი — "ღირიკული მისამართებიდან", რომელიც დღეს კიდევ მეტი ძალით ელავს.

მოსვენრობა ვერაფერმა ვეღარ გაზარა,  
გამოჩნდი იმ დროს, იჭვები რომ შეხადებთან.  
ნუ გეშინია, ჩემო კარგო, თმაში ქაღარა —  
ეს სინათლეა, სიყვარულს რომ შემატებია.

ეს ლექსი დღეს ყველამ იცის. ეს არის ჰიმნი, რომელიც ასე შთაგონებულად მიუძღვნა სიყვარულს, სიმღერა შესანიშნავი, დაუეციყარ მეტაფორაშია გაშლილი.

ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ მისი მხატვრული ტალანტი, ინდივიდუალური მონაცემები და თვისებები, არამედ საზოგადოებრივი ვითარება, რომელშიც ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, გაბატონებული საზოგადოებრივი ესთეტიკური გემოვნება და სხვა ობიექტური გარემოებანი, რომლებიც პირდაპირ და ქვეცნობიერად გაელენას ახდენენ მწერლის შემოქმედებაზე. თაობამ, რომელსაც პაოლო ეკუთვნოდა, მეტად რთული შემოქმედებითი გზა განეწყო. ასევე შეიძლება ითქვას მომდევნო თაობებზე, რომლებმაც სინარული წუთებიც იგემეს და არა მხოლოდ მატერიალური სიღუბჭირით (ეს ადვილი ასატანია), არამედ მორალური შემოფოთებით გამოწვეული სიმწარეც; ყოველ შემთხვევაში, ეჭვი არაყის უნდა შეეპაროს იმ ჭეშმარიტებაში, რომ მწერალთა ეს თაობები თავისი მხატვრული სიტყვით გულწრფელად ემსახურებოდნენ თავის დროს, საბჭოთა სინამდვილეს. როცა საზოგადოებრივი ინტერესები ამას მოითხოვდა, ისინი შეგნებულად თმობდნენ პირადულ პოზიციებს და მოწადინებული იყვნენ მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ ხალხთან, მის სადღეისო მოთხოვნილებებთან. მთლიანი კოლექტივიზაციის პერიოდმა, ინდუსტრიალიზაციის დიდმა ხუთწლეულებმა, სამამულო ომმა, ომის შემდგომმა აღმშენებლობითმა პერიოდმა ჩვენს მწერლობას უკარნახა დამდგარიყო საბრძოლო ფრონტის მოწინავე პოზიციებზე, შემოქმედებითი სიმძიმე გადაეტანა სამოქალაქო მოტივებზე, მხატვრული შუქი მოეფინა საკითხებზე, რომლებიც დღის წესრიგში იდგნენ. იმის გამო, რომ მწერლები ერთგვარად მოკლებულნი იყვნენ შინაგან თავისუფლებას და ყოველთვის გრძნობდნენ საწერ მაგიდასთან უხილავ ცენზორს, ბევრი დაიწერა, რამაც დროს ვერ გაუძლო, რაც დროის მტკვერმა დაფარა. მაგრამ ამ თაობას მაინც თამამად შეუძლია იამაყოს იმ წელიწადით, რაც მან ქართული ლიტერატურის საგანძურში შეიტანა, შეუძლია იამაყოს თავისი ბრძოლით, რომელიც მან მეტად მძიმე პირობებში გადაიტანა.

ჩვენში გაჩნდნენ თავისებური "რევიზიონისტები", რომლებიც ხელაღებით უარყოფდნენ პოეტების იმ თაობებს, რომელთა შემოქმედებითი ენერგია ამოდ არ დამშრალა და ეგრეთ წოდებული მეზრძოლი, პუბლიცისტური პოეზია ღირიკული მღელვარებით გაათბეს. ეს "რევიზიონიზმი" თავს იჩენს არა იმდენად თეორიული ხასიათის წერილებსა თუ საჯარო დისკუსიებზე, არამედ პოეტურ შემოქმედებაში, როცა ესა თუ ის აეტორი შეგნებულად გაურბის სრულიად მოქალაქეობრივ პათოსით გაუღენთილ პოეზიას და ქმნის ლექსებს, რომლებიც გადმოგვცემენ ვიწრო პირადულ განცდებს, მოკლებულთ ფართო რეზონანსს, ლექსებს, რომლებიც მოკლებულნი არიან საზოგადოებრივ მხურვალეობას, ტემპერამენტს, აქცენტს. პაოლო იაშვილი არ ეკუთვნოდა ასეთი ტიპის პოეტს, თავისი შემოქმედების ბოლო პერიოდში მაინც. ამ პერიოდში შექმნილი ყოველი ლექსი თანამედროვეობით, იმ სინამდვილის ჰაერით სუნთქავს, რომელშიც ის ცხოვრობდა. სინამდვილის რეალისტურად აღქმის ამ გზას დაადგა პოეტი, რომელსაც ძეაღსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ფრანგული სიმბოლიზმის "შხამი", თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სინამდვილის რეალისტური ხილვა პაოლოსთვის არც ადრინდელ პერიოდში იყო უცხო. გავიხსენოთ თუნდაც მისი მშვენიერი ლექსი "ევროპაში", რომელშიც პაოლოსთვის ჩვეული პოეტური ენერგიით არის აღდგენილი პირველი მსოფლიო ომის შემაძრწუნებელი სურათი, სამყაროს ქაოსი. ეს ის დრო იყო, როცა:

მათხოვრები სენის ხიდის ქვეშ  
მარსელიოზით ხვდებოდნენ დიღას.  
პარიზელები ყვაილებით, პატარა ჯვრებით  
გზავნიდნენ ბავშვებს პერლანუზის სასაფლაოზე.  
გამოვექეცი ევროპის ქაოსს,

სისხლს,

დანგრეულ რეიმისის ტაძარს,  
უზარმაზარ ტანკების ქშენას,  
რეინის ირგვლივ თაობათა გადაშენებას.  
ვიგონებ მართლა ჟრუანტელით  
ღამანშის სრუტეს, —  
იქ ჩალაგებულ ატლანტიკის ანთებულ გემებს,  
შოტლანდიაში

ენახე თეთრი ძროხების ჯოგო

და გავიღიე ვით ნახევრად გაგიჟებულმა.  
გამოვექეცი ევროპის წარღვენას.

გამანადგურებელი ომის საშინელება მოხდენილი პოეტური ხილვით არის გადმოცემული ამ ლექსში, რომელიც ასეთი ნაღვლიანი აკორდით თავდება:

პარიზში ღამრჩა ერთი საფლავი,  
ლევიონის ორღენის წვერი,  
აღმოსავლეთში განთქმული გმირი,  
და ქუთაისში გაღამტანი რევოლუციის  
მკედარი მარნასთან,

პერლამეზე გასვენებული  
ბუჭუტა აბაშიძე

ბუჭუტა აბაშიძეს იხსენიებს გერონტი ქიქოძე მშვენიერ წერილში, რომელიც მან პაოლოს მიუძღვნა. ათი-თერთმეტი წლის ვიქნებოდი, როცა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ვსწავლობდი. ჩვენ, ბავშვები აღტაცებულნი ვიყავით აპოლონური სილამაზით შექმულ ბუჭუტა აბაშიძით, რომელიც მაშინ ხსენებული სასწავლებლის უფროსი კლასელი იყო. ჩვენ არაფერი ვიცოდით, თუ როგორი იყო ბუჭუტას სულიერი სამყარო. მაგრამ ყველას ხიბლავდა მისი გარეგნული მშვენიება. ის იყო ქართველი ვაჟკაცის ფიზიკური სილამაზის განსახიერება. მაღალი, ფართომხარბეჭიანი, გაბედული, საოცარი ფიზიკური ღონით აღჭურვილი, ლელოს შეუცვლელი ფალაქანი. მახსოვს, მოწაფეები დაიყოფოდნენ ჯგუფებად: ზემო და ქვემო იმერლები, ან იმერლები და გურულები, და ა.შ. და იწყებოდა ბურთაობა. საკმარისი იყო ბუჭუტა აბაშიძეს ჩაეგდო ბურთი ხელში და ლელოც გატანილი აღმოჩნდებოდა მის მიერ. ვინ მიეკარებოდა, ვინ დაეწეოდა, ვინ შეაჩერებდა!

შემდეგში პაოლო მას პარიზში გაცნობოდა. ისიც აღტაცებული გვიყვებოდა ცალკეულ ეპიზოდებს ბუჭუტას ცხოვრებიდან. სიყვარულით ახსენებდა ხოლმე ჩვენთან მას, რომელიც დაიღუპა მარნაზე ბრძოლაში, და ამ შესანიშნავმა ქართველმა ახალგაზრდამ საუკუნო განსასვენებელი პარიზში ჰპოვა. მოგონებათა უჭკნობი ყვავილებით ამკობდა ხოლმე პაოლო ამ შორეულ საფლავს.

მინდა მოვიგონო ერთი ეპიზოდი პაოლოს ცხოვრებიდან, რომელიც ასე კარგად ახასიათებს მის ადამიანურ ბუნებას. მძიმე დრო იყო. პურის ნაკლებობა იგრძნობოდა. რამდენიმე ამხანაგმა თავი შეეიყარეთ (შემადგენლობა კარგად აღარ მახსოვს), და გადავწყვიტეთ, პუშკინის ქუჩაზე მდებარე "სიმპატიასში" გვესადილნა. პაოლომ იქვე გვერდით მდებარე დუქანში თორნის პური იყიდა, "სიმპატიასში" ჩასასვლელთან უეცრად პაოლოს ვიდაცამ პური გამოგლიჯა ხელიდან და გაქცევა დააპირა, პაოლომ დაიჭირა პურის წამრთმევი. იგი მათხოვარი აღმოჩნდა, პაოლოს შეეცოდა, არა თუ არ გაუჯავრდა, მათხოვარი სასადილოში ჩაიყვანა, კარგად ასადილა, მიუაღერსა და ისე გაუშვა, პურიც თან გაატანა.

მათხოვრების გაუხარებელ ცხოვრებაზე დაწერა პაოლომ შესანიშნავი მოთხრობა "ყურადი ბუშტები", რომელშიც მან ბელეტრისტული

თხრობის მშვენიერი უნარი გამოაჩინა. მოთხრობა, კიდრე მას დაბეჭდავდა, ჩვენს წრეში წაიკითხა და წარუშლელი შთაბეჭდილებაც მოახდინა.

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მოთხრობამ "როგორ ცხოვრობს მათხოვარი ლეონტი კაჩერგა". სულ პატარა შტრიხებით პაოლო ხატავს ცხოვრებისაგან გათელილი, დაბეჩავებული ადამიანის პორტრეტს, ადამიანისა, რომლის "დიდი ცხვირი ჰგავს მსხვილ მწიფე ხენდროს", და რომელსაც "თმა აქვს ჭაღარა", როგორც გაურეცხავი თეთრი მატყლი, ტურნებთან თმა ისეა გაყვითლებული თამბაქოს ბოლით, როგორც ოქრო.

ლეონტი კაჩერგას სახე მუდამ შეშინებულია, თვალებიდან ყოველთვის წყალი მოსდის. ფულს არაეის სთხოვს, თუმცა დგას ქუჩაში სამათხოვროდ. მისი კისერი რბილი და ჩაუანგებულია, როგორც ხეზე ამოსული აბედის სოკო. პაოლოს მეტად ღირიკული საღებავებით, ადამიანის მოყვარული გულით აქვს აღწერილი კაჩერგას ტრაგიკული ბედი, კაჩერგისა, რომელშიც მძიმე და გაუნარელ ცხოვრებას ვერ ჩაუკლავს მამობრივი სიყვარული გაუბედურებული ქალიშვილისადმი, რომელსაც პატარა ბავშვი გარდაეცვალა. ლეონტი კაჩერგამ "ბალიშიდან აიღო შვილიშვილის გაციებული და გამხდარი ცხედარი, მუნჯივით ატირდა და მიუტანა დედას ბავშვი", მან თვითონ გაიღო ბავშვის თეთრი კუბო მხარზე და სასაფლაოზე წაიღო. მამას მისდევდა ქალიშვილი, მხოლოდ დედა. "კაჩერგამ თვითონ გათხარა მიწა და დამარხა იქ შვილიშვილი, უკანასკნელი სიმდიდრე". განაშენებულმა კაჩერგამ მტკეპარში გადაეარღნით მოიპოვა სამუდამო სიმშვიდე. არ შეიძლება ამ მოთხრობის დამშვიდებით წაიკითხვა. ისეთი პოეტური თრთოლვით და ლაკონური, გამჭვირვალე ენით არის იგი დაწერილი.

საყურადღებოა პაოლოს ცდა, დაწერა ეპიური ნაწარმოები, პოემა. თემად აიღო ალიოშა ჯაფარიძის რევოლუციური გზებით აღესილი ცხოვრება. უნდა ითქვას, რომ პაოლო დიდი პატივისმცემელი იყო სახელოვანი რევოლუციონერის, უყვარდა ცალკეული ეპიზოდების მოყოლა მისი მდიდარი ცხოვრებიდან. პოემის დასაწყისი გატაცებით წაიკითხა თავის განუყრელ მეგობრების წრეში. მეგობრებმა მოუწონეს პოემის შესავალი და სთხოვეს, განეგრძო მუშაობა პოემაზე. მაგრამ აფორიაქებულ პაოლოს უკვე აღარ მიუწევდა გული პოემისაკენ. იგი თითქოს თავის თავში ჩაიკეტა. ჩამოშორდა კიდევაც თავის განუყრელ მეგობარს, თავისი სიამის ძმას ტიცციანსაც კი, ხაერდოვან თვალებში განუშორებელი სევდა ჩაუდგა; იშვიათად თუ ეხვდებოდათ, ისიც მწერალთა სასახლეში ან მანჩაბლის ქუჩაზე. ასე ზეზეურად ჩაქრა მისი მჩქეფარე სიცოცხლე.

არ შეიძლება წაიშალოს მეხსიერებიდან პაოლო, რომელმაც პირველად წაგვიკითხა თავისი "თბილისი", ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი მათ შორის, რომლებიც ჩვენს დედაქალაქზე არის დაწერილი. ამ ლექსსაც აეტორი საოცარი შთაგონებით კითხულობდა, უყვარდა და გრძნობდა მის მხატვრულ სინატიფეს, ძალას:



ჩემი ქალქო არ ღამაკელი  
შენ ხიზარული მზიხგან ფერილი,  
თაუზე გაღვია, როგორც კანკელი,  
ცა მოელვარე და აუღერილი.

რომ იტყვიან, გაგიყვებით უყვარდა თბილისი: მას პოეზიის ქალაქს უწოდებდა და ეს კიდევაც თქვა ამ ლექსში; “ღიღი სატახტო ხარ პოეტებისო”. პარიზი და თბილისი მას პოეზიის ქალაქებად ჰქონდა წარმოდგენილი.

უკანასკნელ ხანებში კიდევ ერთი ლექსი წაიკითხა თავის ძველ მეგობართა წრეში. ეს იყო პამფლეტი “ანდრე ჟიდს – მოღალატეს”, რომელშიც ჟიდისადმი მიმართული წყველა ზიზღით არის გამსჭვალული. ეს არის პამფლეტური პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში; მართლაც, პაოლო გაბრაზებული იყო ანდრე ჟიდის რაღაც საქციელით და ეს სიძულეილი მისდამი შესანიშნავად გამოხატა თავის ლექსში. ბოლოს, პაოლოს რაღაც სეველა შემოაწეა, მარტოობა იგრძნო, პირველ ხანებში არაეინ იცოდა, რა აწუხებდა, რა შინაგან ტკივილს განიცდიდა. მის მზიურ გულს რომ სეველა ღრღნიდა, რაღაც აწვალებდა, ამას ნათელყოფს მისი საუკეთესო ლექსი, ვიტყვოდი, ერთ-ერთი შედეგური მისი შემოქმედებისა. ეს არის ლექსი “წერილი კოლაუ ნადირაძეს”, ლექსი მეტად ავტობიოგრაფიული ხასიათისა, ლექსი, რომელიც პაოლოს გვიხატავს არა როგორც დარდიმანდს, თითქოსდა უდარდელს, არამედ როგორც ტრაგიკულ პიროვნებას. ეს ლექსი გაისმის როგორც ღირიკული აღსარება, როგორც ქეითინი აღამიანისა, რომელსაც მარტოობაში ეხუთება სული. ლექსი ამჟღავნებს, რომ პოეტს რაღაც გაორება უგრძენია. ავტორი ჩივის, რომ მას “მოუძებნეს მკერდი ქორებმა”, რომ “გულში გრძნობს იმათ ნისკარტს წვეტიანს”, არა! ამ სტროფის მოყოლით გადმოცემა არ შეიძლება. ის მთლიანად უნდა გაეახსენოთ მკითხველს:

ქართულად ვთარგმნი პუშკინის აპბაეს,  
ახლა ჯერშია მისი “ციგნები”,  
მაგრამ ხიჩუმე საუბარს აბამს:  
“მარტო ხარ, მარტო, მარტოც იქნები!”  
კეითხულობ შოთას, ვაჟას და საბას  
და ჯერ მშველიან მათი წიგნებიც,  
ენეები... თაუამდე ვიხურავ საბანს,  
მესმის “მარტო ხარ, მარტოც იქნები!”

ვერც შოთას, ვერც ვაჟას, ვერც საბას წიგნები ვეღარ შეველიან, ის წიგნები, რომელთა წაკითხვისას წინათ ის ყოველთვის სულიერ შევებას განიცდიდა. სასოწარკვეთილი ის თავისთავს ეძალება თითქოს, “თავამდე იხურავს საბანს”, მაგრამ თავისთავთან დარჩენილი უფრო მწვავედ

გრძნობს მარტოობის სიცივეს. ის იგონებს რომანტიკულ საუბრებს ბაღში, რომელთა მსგავსი, როგორც ჩანს, უკანასკნელ ხანებში აღარ ჰქონდა, თხოვს თავის უახლოეს მეგობარს კოლაუ ნადირაძეს აცნობოს: “ჩემს სადღეგრძელოს თუ ისევ სვამენო”. როგორც ჩანს, მას ღარღარ წაჰყვებოდა თან ჯგუფის მდგომარეობა, აწუხებდა ფიქრი იმაზე, ხომ არ დაინგრა პოეტების დასიო: ჩვენს ცამეტს ვინმე ხომ არ გამოაქლდაო. ამ ცამეტში იყვნენ: პაოლო იაშვილი, ტიცციან ტაბიძე, ვალ-გაფრინდაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ნიკ. მიწისძვნილი, ა. არსენიშვილი, ივ. ვიფიანი, გ. ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, მე და სხვ. როცა აღნიშნული ლექსი დაიწერა (1934 წ.), ყველანი ცოცხლები იყვნენ, დღეს კი პირველ შვიდს ჩვენი მწერლობა აღარ ითვლის თავის რიგებში. პოეტი იგონებს შაშველსაც კი, რომლებიც ბაღში ჭახჭახებდნენ და ღარდს მისცემია: მათი საკენკი თუ ღარჩა ბაღშიო. პოეტი თხოვს თავის მეგობარს, რომელიც მაშინ მის გვერდით ცხოვრობდა ჯაფარიძის ქუჩაზე, მაცნობე:

თუ ჩემს მეღვას დაეტყო გაზრდა  
და ისევ არის ზემო სკები,  
თუ შენ და ნინა ხშირად ხართ მასთან,  
არ ივიწყებენ ამხანაგები,  
თუ ზაფხულამდე უჩემოდ გასტანს,  
ისევ ვუყვარვარ თუ კვამლები.

სამი წლის შემდეგ მან უკანასკნელი წერილი თავის საყვარელ მეღვას გაუგზავნა და მისი სიყვარულით, უკურნებელი ღარდით გაშორდა ამ ქვეყანას. რა შინაგან ტკივილს, ტანჯვას, სასოწარკვეთილებას განიცდიდა, რომ პატარა გოგონას სიყვარულმა ვერ შეაყვარებინა გადაწყვეტილება! შეუძლებელია ამ ლექსის დამშვიდებით წაკითხვა, შეუძლებელია მან ყოველი მკითხველი არ შეაჟრუოლოს, არ დააფიქროს, — მის გულში მღელვარება არ აღძრას, იმდენად ადამიანური, ემოციური და ღირსიკული სითბოთია იგი გაჟღერებული.

აღნიშნულ ლექსში საბაბ არის მოხსენებული. პაოლო საბას დიდი თავყვანისმცემელი იყო. წელი არ მახსოვს, მოსკოვში ვიყავით: პაოლო, ტიცციანი, გოგლა და მე. პაოლომ დაიჩქმა: ესეხვიატსკოვში წავიდეთო. ყველანი წავედით. იქ გაგვაცნო პაოლომ თავისი ძიზანი. იქნება საბას საფლავი ვიპოვოთ და მძობლიურ მიწაში ჩავასვენოთო. დიდხანს ვეძებეთ. პაოლომ სულ ერთიანად დაიკაწრა ხელები ძეძვებში: იქნებ საფლავის ქვა ვიპოვოო. მაშინ ცდა უშედეგო აღმოჩნდა. საყურადღებოა თვითონ ფაქტი: პაოლოს უნდოდა ხანუკეარი საფლავის აღმოჩენა და საბას ნეშტის გადმოსვენება ჩვენში.

მახსოვს ერთ-ერთი უკანასკნელი შეხვედრა პაოლოსთან. როცა ის თავის სტიქიაში გრძნობდა თავს, როცა ის ჩვეულებრივი ხალხისით, სიცოცხლისმოყვარეობით, გონებამხვილობით, მჭკვერმეტყველებით ანციფრებდა ყველას. ეს იყო გიორგი ლეონიძესთან, როცა პაოლო დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც ის ქართველ დელეგაციასთან ერთად მთავრობას

შეხედა. სუფრას, რომელიც გულუხვმა და სტუმართმოყვარე მასპინძელმა გააწყო, უსხდნენ: ჩვენი ჯგუფის თითქმის ყველა წევრი, არჩილ მიქაძე, მსახიობი შურა თოიძე, ს.ესენინის მეუღლე (ლ.ტოლსტოის შვილიშვილი) და სხვები. სუფრა გ.ლენინიძემ ს.ესენინის მეუღლის საპატივცემულოდ გააწყო. თამადად, ცხადია, პაოლო იქნა არჩეული. ჩვენ მას პაოლოს ვეძახდით. ეს სწყინდა — პაულე დამიძახეთო. იმ დამეს მართლაც რომ იშვიათი თამადა იყო. მისი სიტყვები მაშხალბიებით ჰყრიდა ჩინჩხლებს. ის რაღაც ექსტაზში იყო შესული. მთავრობის სადღეგრძელო თქვა. რამდენი სიტყვა მომისმენია მის შესახებ, მაგრამ ასეთი — არასოდეს. ეს იყო სიტყვა აღფრთოვანებული, აღტაცებული, ხატოვანი, მეტად ემოციური, ღრმა შინაარსიანი. შემდეგ ასეთი პაოლო აღარ მინახავს. ის თანდათან მოიცილა რაღაც დარდმა. მის სახეზე იშვიათად თუ მოკვრავდით თეაღს იმ დიმილა, რომელიც ასე ამშვენებდა, თითქოს ჩაქრა მასში სიცოცხლის ლამპარი, პოეზიის ეროსი. ეთხოვდით, გამოეცა თავისი ლექსების წიგნი. ამ მხრივ ის მეტად დიდ მოთხოვნილებებს უყენებდა თავის თავს. დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა. წინააღმდეგი იყო წიგნის გამოცემისა. არც იცოდა სად და როდის დაიბეჭდა მისი ლექსები. ამ მხრივ მას ნამდვილად პოეტური დაუდევრობა ახასიათებდა, შემდეგ შალვა დემეტრაძეს სთხოვა, მოეყარა თავი მისი ლექსებისათვის. შალვამ ეს თხოვნა სიყვარულით შეუსრულა. პაოლომ გადახედა შეკრებილ ლექსებს, მათში შესწორებები შეიტანა, მაგრამ შემდეგში მის მიერვე შესწორებული ეს ცალი დაიკარგა. კარგა დრომ განვლო... შალვა დემეტრაძემ დასაფასებელი შრომა გასწია. ისევ შეკრიბა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული ლექსები, რომლებიც კიდევაც გამოსცა გამომცემლობა "სახჭოთა მწერალმა".

პაოლოს, ისე როგორც ტიცციანს, ფართო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული გამოჩენილ რუს პოეტებთან, რომელთა რიცხვში შედიოდნენ ბ.პასტერნაკი, ნ.ტიხონოვი, პ.ანტოკოლსკი, ანდრეი ბელი და სხვ. მინდა მოვიყვანო ბ.პასტერნაკის წერილი პაოლოსადმი. მას გარკვეული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, გარდა იმისა, რომ პაოლოსი და ბ.პასტერნაკის მეგობრული ურთიერთობის ხასიათს გვაცნობს. აი რას წერს ბ.პასტერნაკი (მომყავს შემოკლებით): "ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო პაოლო! გადიან კვირები, რომლებიც იქცევიან თვეებად, და თუ ასე გაგრძელდა შემდეგშიც, თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებთ, რომ მე დაცხადდი თუ არა აქ ტბასთან, იმ წამშივე მიეყავი ხელი წერილის წერას თქვენთან. მე რამდენიმე წერილი დაეიწყე და მათი მოცულობის გამო თანმიმდევრობით შევაჩერე წერა. წერილები გამომდიოდა ხან გამოკვლევებად ურალის ისტორიაზე, ხან ცდებად, მომეთხრო თქვენთვის (!) თუ რა არის საქართველო.

საოცარია: მოვეწყვეთ თუ არა აქ ჩვენ, მეორედ დაეიწყეთ განცდა თქვენთან გატარებული ზაფხულისა. ასეთი ძალითა და მთლიანობით განცდა პირველი შემთხვევაა ჩვენს ცხოვრებაში. ეს გამომუდგანდა პირველსავე დილას, როცა ჩვენ გავიდვიძეთ ჩვენს სამოთახიან, აივნიან ბინაში, რომელიც პარტიის ურალის საოლქო კომიტეტმა გვითავაზა. ჩვენ

წავედით ტბაზე და დაეინახეთ ასკერისიანი ტყე იმ ნაპირზე, ხოლო ფიჭვები და არყის ხეები ამ ნაპირზე, დაეინახეთ წყალი, ღრუბლები, დაზგრეულ სასაფლაოს საფლავეები, ჩრდილოეთის ღარიბი, ჩვეულებრივი გამა. ჩვენ არაფერს ვადარებთ ერთმანეთს. ჩვენ არ ვადარებთ ბუნებას, ჩვენ არ ვადარებთ ხალხს. ჩვენ უბრალოთ, თითქოს შეთანხმებული ვყოფილიყოთ, ერთხმად დაეასახელებთ კოჯორი, ხოლო შემდეგ მოვიგონეთ თბილისი, ოქროყანა, ქობულეთი, წაღვერი და ბაკურიანი... მე საოცარი ძალით ვიგრძენი ის, რომ ყოველივე ეს თქვენ გარს გარტყიათ ახლა და თქვენ ყველაფერს ხედავთ.

იმითომ, რომ ეს მხოლოდ კაკასიის სამხრეთი როდია, ე.ი. ეს არის სილამაზე, რომელიც ყოველთვის უძიროა და ყველგან თავებრუდამხვევი. ესენი არიან არა მხოლოდ ტიციანი და შანშიაშვილი, ნადირაძე და მიწისილი, გაფრინდაშვილი და ლეონიძე, — შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც არ საჭიროებენ შედარებას იმისათვის, რომ დარწმუნდეთ მათს შეუდარებლობაში... ეს არის ქვეყანა, რომელსაც თავის არსებობაში არ განუცდია წყვეტილი; ქვეყანა, რომელიც ამჟამად არსებობს დედამიწაზე და არ გადასულა სრულყოფილი აბსტრაქციის სფეროში, ქვეყანა განუმეორებელი ფერისა და ყოველდღეამური სინამდვილისა...

სწორედ ასეთ შუქში დაეინახეთ ჩვენ ახლა საქართველო და გაცეხებას მივეცით იმის გამო, რაც თქვენთან განეცადეთ, განეცადეთ როგორც წარმოუდგენელი და ლეგენდა. ახ, ალბათ მე ამას ვგრძნობდი წინასწარ, როცა ვიბნეოდი და ვერ ეპოულობდი სიტყვას მ.ჯავახიშვილთან საუბარში საქართველოსა და მის ფორმაზე...

სწორედ ამითომ გწერ წერილს წერილზე და თანამიმდევრობით ვანადგურებ მათ. ეს აღარ არის თავისუფალი მიწერ-მოწერის საგანი. მე სწორედ ეს მოგონებები დამეუფლენ საესეებით: ეს მოგონებები მწერენ მე, როგორც ამას ტიციანი იტყვოდა...

რაც არ უნდა გავიფიქრო ახლა, მე საქართველოს ვეღარ ავეუელი გვერდს ჩემს უახლოეს შრომაში, და ყოველივე ეს (თუ სახელდობრ რა — ამის გათვალისწინება ძნელია) დაჯგუფდება თქვენი შესანიშნავი სამშობლოს გარშემო, როგორც მოთხრობა ჩემი ცხოვრების ნაწილზე, რომელიც მაიკოესკისთან არის დაკავშირებული“.

მეტად ღრმად განიცადა პაოლოს სიკვდილი მისმა კარის მეზობელმა მაშინ, უახლოესმა მეგობარმა კოლაუ ნადირაძემ, რომელსაც ვკუთვნის პაოლოსადმი მიძღვნილი შესანიშნავი ლექსი, რომელშიც ავტორი ასეთი გამოტანჯული სტრიქონებით მიმართავს ადრესატს:

პაოლო, ჩემო ხისხლი და ხორცი,  
დაე, მე მომხვედეს მრისხნავი მუხი!  
მინდა მაგ თვალზე ცრემლი მოგზობო  
და მწარედ დაღლილს დაგბანი ფუხი!

კეთილშობილებისა და მეგობრობის ცეცხლში დაფერფლილ პოეტის გულს სჯერა, რომ "საქართველო მაინც მიგვიღებს მომღერალ გედებს დაღწილ ფრთებით". მაშინ დაელეწა ფრთები ამ მართლაც და არწივს, როცა ის ღაღად დაფრინავდა ქართული პოეზიის ცაზე. მის ახლო მეგობრებს დატირების საშუალებაც არ ჰქონდათ.

უნდა ითქვას, რომ პაოლოს გაცილებით მეტი სახელი ჰქონდა სიცოცხლეში. შეიძლება ამ სახელს ზრდიდა თვითონ მისი პიროვნება — მეტად კოლორიტული, მეტად თვალსაჩინო, მეტად ბობოქარი, რაღაც ფანტასტიკური და მართლაც პოეტური ბიოგრაფიის მქონე. შეიძლება! ყოველ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ჩვენს წინ მდებარე მისი ლექსების წიგნში იგრძნობა მაღალი სულიერი კულტურა, მხურვალე გულის ფეთქება, მხატვრული სიფაქიზე და გამჭვირვალობა და ის ადამიანური სითბო, სიკეთე, რაც პაოლოს თვისება იყო და რისი ფლობაც საერთოდ ადამიანის ბედნიერებას წარმოადგენს. მის ორიგინალურ შემოქმედებით მემკვიდრეობას კიდევ უფრო ამდიდრებს "ბადაღ, თანატოლ პწკარებით" ქართულად თქმული პუშკინი, საბავშვო ლექსები. მინდა ვირწმუნო, რომ მშობლიური ხალხი იამაყებს მისი "მდიდარი წიგნითა", რომ ის კმაყოფილებით დახურავს ამ წიგნს "როგორც ძილისთვის თვალებს". პაოლო იაშვილი ეს იშვიათი მოვლენაა ახალ ქართულ პოეზიაში, მართლაც რომ:

დაჯდა, დაწერა, დახატა  
და მოკვდა, როგორც მშრომელი.

1960.

# პალერიან ბაზრინდაუვილი

## პოეტები წერის დროს

(ეპსაროები)

... პაოლო იაშვილი. "ქიპერიონში" ზის. ტუჩებს ისწორებს ენით. ის უფრო ხშირად ღღე სწერს თავის ლექსებს, როდესაც აღუღებელია პაერი. წერის დროს ისწრებს ამხანაგებს და მას არ სჭირდება მარტოობა იმისათვის, რომ დასწეროს "წერილი ღედას". კალმისტარი და მელანი უფრო ადელეებს, ვიდრე ფანქარი. შეიძლება გენიოსია, შეიძლება უბრალო მოშაირეა. ხმაურს არ ერიდება და უყვარს პოეტის სახელი, როგორც კეთილშობილი ღერბი. ლამაზი რითმები მოწვენილი აქვს, მაგრამ დაუღალავი აქტიორია. რამოდენიმეთ ნერონია, რომელიც კერც ერთმა მწერალმა ვერ დაგვიხატა. ეს შეეძლო შექსპირს.

1920

## მზის მაქებარი

მაყელისფერი თვალები ჰქონდა. შეგვერემანი იყო, ღამაზ და ოკა-  
ლურ სახეს სუფთად იპარსავდა. იტალიური სტილის ფართოფარულე-  
ბიან ქედს ატარებდა, რომელიც ძალიან შეენოდა. ბრგე და მაღალი ვაჟ-  
კაცი გახლდათ.

მომხიბლავი ადამიანი იყო.

არცერთ უღამაზეს ქალს არ შეეძლო ვინმეს ისე უმალ დაჰყრობა,  
როგორც პაოლო იაშვილს. არ ვიცი, დიპლომატიურად თუ გულწრფე-  
ლად, ჩაგიხუტებდათ და თავს შეგაყვარებდათ. მაგრამ ამას შერჩევით  
სჩადიოდა, ვინმე თუ არ მოსწონდა, ახლოს არ იკარებდა, თვითონაც არ  
ეკარებოდა, ძალიანაც რომ დასჭირებოდა.

ყველა ჩინებულად გრძნობდა პოეტის ამ თვისებას. ამ გულგაშლილ  
და ხელგაშლილ კაცს არავითარი ურთიერთობა არა ჰქონდა მისთვის  
საძულველ პირებთან. რამდენი არამზადა ღააბიჯებს ამ ცოდვილ ღელა-  
მიწაზე!..

პოეზიაზე თეორიული მსჯელობა არ უყვარდა. ტიცციან ტაბიძესავეთ  
ერუდიტი არ ყოფილა, მაგრამ ვერ დაეასახელებ ძველი თაობის მეორე  
პოეტს, რომელიც ისეთი უცთომელი ლიტერატურული გემოვნებით ყო-  
ფილიყო დაჯილდოებული, როგორც პაოლო იაშვილი. რამდენჯერმე  
აღენიშნე, რომ ჩემი გემოვნების ჩამოყალიბებაზე ყველაზე დიდი გავლენა  
ტიციან ტაბიძემ მოახდინა. მიუხედავად ამისა, ჩემთვის უფრო ახლობე-  
ლი იყო პაოლო იაშვილის ერთგულება რეალისტური ქმნილებებისადმი  
ქართულ და უცხოურ ლიტერატურაში. კონკრეტული ნიმუშების შეფა-  
სებისას იგი არასოდეს ცალმხრივობას არ ამჟღავნებდა და არ ცდებოდა.  
რით აიხსნება ეს გარემოება?

პაოლო იაშვილი, მიუხედავად მისი "სიმბოლისტობისა", მიუხედა-  
ვად ფრანგი დეკადენტებისადმი მიძღვნილი (მეტწილად რევოლუციამ-  
დელი) ლექსების სერიისა, თავისი პოეტური მიდრეკილებითა და მეტყვე-  
ლების კულტურით, ამ სკოლას არ ეკუთვნოდა. მისი ქართული ფრაზა  
ემყარებოდა თქმის რეალიზმს (ბ. ვიხენბაუმის გამოთქმამა), ამით იგი  
რადიკალურად უპირისპირდებოდა სიტყვიერი მასალის შინაარსის ლექ-  
სიკურ მერყეობას, საგნობრივ ბუნდოვანებას, ირეალური წარმოდგენე-  
ბისადმი ლტოლვას. მას უფრო აკაკის, ვაჟასა და ჰუმბერტის რეალისტური  
თქმის სამყარო იზიდავდა და მისი ლექსების ნექტარს ქართული ქვეყრის  
სურნელი უფრო ახდოდა, ვიდრე დეკადენტური აბსენტის მომწავლელი  
68

ორთქლი. ასევე, პ. იაშვილის ვიზუალურ ხედვებს ჩვენი ქვეყნის ბუნების ნიშანდობლივი ლანდშაფტები და სანახები კვებადნენ, ხოლო ემოციებს – რაინდული ნადიმები და მოლხენები.

იგი დედამისს სთხოვდა ხახულის ხატის წინაშე ელოცა თავისი ძის სულისათვის და არა ვან ღვიკის ან გოლბენინის ოფორტების წინაშე, თუმცა პარიზში მოდილიანთან მეგობრობდა და მონპარნასზეც ხშირად ყოფილა... ქუთაისელი ყრმად ივიწყებდა, რომ გელათის გუმბათის შინა კედელს ღვთისმშობლის შესანიშნავი ფრესკა ამშვენებდა და მისი ანალოგი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში არ უძებნია. ასეთი ფრესკა იქ არცაა...

ყოველივე ზემოთ თქმული, თუმცა მოკლეა, მაგრამ მკითხველისათვის მაინც გასაგებს ხდის იმ ფაქტს, რატომ თარგმნა ასე შესანიშნავად პაოლო იაშვილმა პუშკინის ლირიკისა და პოემის არაერთი სახასიათო ნიმუში. ჩვენ ორიგინალში ვტკბებით განსაქმული მონოლოგით “ნაზოლმას გრუზიი“... მაგრამ თითქმის კონგენიალურად ჟღერს პ. იაშვილის თარგმანიც:

საქართველოს მთებს ღამის ბინდი  
მიმოჰუნია,  
ხმაურობს ხევი არაგვის ხმაზე,  
ჩემი მოწყენაც იოლია – ის  
ნათელია,  
შენი მშვენებით და შუქით საკვს.  
აღსაკვს შენით, მხოლოდ შენით  
სინემე დაღვა,  
და აღარავინ მიღვიძებს დარღებს,  
და ისევ იწვის ჩემი გული და  
უყვარს, რადგან  
არ შეუძლია რომ არ უყვარღეს.

როცა მწერალთა კავშირში პ. იაშვილმა წაგვიკითხა თავისი პუშკინისეული თარგმანები, მან საერთო ესთეტიკური გაოგნება გამოიწვია. ან რა შეედრება თითქმის ანალოგიური შინაარსის მქონე პოეტური მონოლოგის იაშვილისეული დეკლამაციის მოსმენას:

მე თქვენ მიყვარდით: და ვინ  
იცის, ეს გრძნობა ღიღი  
იქნებ ჩემს სულში ჩარჩენილა  
ვით ნათლის სვეტი,  
მაგრამ მე თქვენი მუშუოთიება არ  
მინდა მითი,  
და თქვენი გულის დაღონებაც არ  
მინდა მეტი.



მე თქვენ მიყვარდით უიშედოდ,  
 უხმოდ, უთქმელად,  
 ხან მოკრძალებით, ხანაც ვიყავ  
 ეპკვით ფარული.  
 მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად,  
 ისე გულწრფელად,  
 რომ ღმერთმა მოგცეთ ასეთივე  
 სხვა სიყვარული.

იგი იდეალური დეკლამატორი იყო, ამ მხრივ ბადალი არ მოეძებნებოდა ქართველ პოეტებს შორის გიორგი ქუჩიშვილის გარდა. მისი მხატვრული კითხვა უბრწყინვალესი ილუსტრაცია იყო ქართული სილაბურტონული ლექსის უნაკლო წარმოქმისადმი ერთგულებისა: უცთომელი იყო მისი აქცენტუაცია, ტაქტის ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი (დაქტილური) რითმების სწორი დაბოლოება, აბსოლუტური და ბუნებრივი ყდერა მთელი ფრაზისა...

და, აქ ვიგონებ რუსული ლექსის დიდი მკვლევარ-თეორეტიკოსის, თვითონ პოეტისა და კოლოსალური მუსიკალური კულტურის მქონე ანდრეი ბელის შთაბეჭდილებას, რომელიც მისმა სმენამ აღიქვა 1927 წელს პაოლო იაშვილის დეკლამაციაზე დაკვირვებისას. იგი წერს: „Громко кричит рот раздрав, свои строчки горгашные, режуши острием дактилических рифм“ (А. Белый, Ветер с Кавказа, 1923, с. 200). ამ დაკვირვებას ავტორი სიტყვა-სიტყვით იმეორებს იქვე, 220 გვერდზე. დაქტილური რითმა კი სილაბურ ლექსს, მაგალითად, იტალიურს, ფრანგულს არ ახასიათებს.

ისიც უნდა გაეიხსენოთ, რომ ა. ბელი, რომან “პეტერბურგის” და “სიმბოლიზმის” ავტორი, ავტორია აგრეთვე პროზაული “სიმფონიებისა” და მონუმენტური, ნახევრად, თეორიულ-მუსიკალური ნაშრომისა “გოეთე და შტაინერი (მეტნერის საპასუხოდ)“.

მკითხველმა, აგრეთვე, უნდა იცოდეს, რომ ანდრეი ბელიმ საქართველოში ყოფნისას კარგად შეიგრძნო ჩვენი ხალხის უძველესი კულტურის სიღიაღე და მნიშვნელობა. და ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ტიცთან ტაბიძის, პაოლო იაშვილისა და პავლე ინგოროყვას ინფორმაციებმა, მის მიერ ქართული არქიტექტურული ძეგლების გაცნობამ, რაც დასახელებულ პირთა დამსახურებაა. ამან დააწერინა ა. ბელის: “Кровь Грузии — старое очень вино, настоявшееся на глубоких страданиях; мы еще в шкурах ходили, а Грузия — выстрадала” (с. 62) და აქვე გვ. 191: “Да, Грузия переполнилась культурой, когда мы как звери, блуждали в лесах; они старшие; нам надо учиться во многом у них”.

აქვე ვიგონებ ერთ ლეტალს: ანდრეი ბელიმ პაოლო იაშვილს უსაჩუქრა თავისი ტრილოგიის "მოსკოვის" მესამე ტომი "ნიღბები" შემდეგი წარწერით: "Дорогому Паоло Яшвили с горячей любовью и с воспоминанием о днях проведенных в Грузии. Автор. Москва. 11 мая 33 года."

ეს რომანი პაოლო იაშვილმა მე მანუქა და დაუმატა:

— ასეთი სტილით დაწერილი პროზის წასაკითხად არ მცალია. რეზუსების გაშიფრვა შენი საქმეა, წაიღე, მომიძღვნია!

ა. ბელის ეს რომანი ახლაც ჩემთან ინახება...

ქართულ ლიტერატურაში ნაკლებად მოიძიებნება შემოქმედებითი პროცესის ისეთი ტირანული ზეგაეღვნა პოეტის შინაგან არსებაზე, როგორც ეს გადმოცემულია პაოლო იაშვილის ლექსში "პოეზია" (1926). ამ მხატვრული ქმნილების პათოსი სრულიად მცდარად იყო ახსნილი მასში დეკადენტური სულისკვეთების აღმოჩენის მიზნით. სულიერი ტკივილების ვიბრაციითაა აღსაესე არა მარტო რომანტიკოსი ბაირონის ან ბარათაშვილის ლირიკული პიესები, არამედ რეალისტი პუშკინის ან ვაჟა-ფშაველას არაერთი ღაღადისი — დიდი პოეტის ემოციები არ თავსდება წინასწარ დადგენილ რუბრიკებში. ენახვით თვითონ "პოეზიის" ტექსტი:

გაგიჟება ხეობს, თუ გათავდა  
სიტყვის მადანი,  
და თვალთა დათხრა, თუ მზეხ  
ქებით ვეღარ დახვდები,  
ლექსო, გულიდან ხორცად რომ  
ხარ გამონატანი,  
თუ უნაპიროდ, სამუდამოდ არ  
გამაღლები.  
არი მკვლელობა, არი ომი, არი  
ხანძარი,

მიწისძვრა, ჭირი, ტყეში ყოფნა  
მარად თულებად,  
მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო  
უზარმაზარი,  
როგორც პოეტის შთაგონებით  
დასწეულება.

დიღის ქალაქში ბუერის მხგავსი  
ჩემი სხეული  
და ხალხი ამბობს: "ეს კაცია  
ლექის მწერალი",

მაგრამ ვინ იცის, რა ტეცხლშია  
გამოხვეული  
ეს ჩემი ტვინი, დასაქვევი, ტვინი  
ვერანი.

რამდენი თვალი უნდა მქონდეს,  
რომ ყველა ენახო,  
რამდენი გული უნდა მედგას, რომ  
ვიგრძნო ყველა,  
რამდენი სახე მე თვით უნდა  
გაუპარტახო,  
რომ ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა,  
როგორც პეპელა.

შემომახურებს სიკვდილივით  
ხიტყვა კვიტი,  
და სისხლი, აზრი, ხული იქცუნენ  
იმის მონებად,  
გავიდა ღამე, მოასკლება კარს  
განთიადი,  
აღარ ხარ კაცი, აღარც ჩონჩხი,  
ხარ მოგონება.

რამდენი ლექსი დაიწერა, იმდენი  
წელი  
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას ვით  
აღამიანს.  
და თუ ეს ლექსი უნდა იყოს  
უკანასკნელი.  
მაშინ ეს ძორი ყვაეებისთვის  
გასატანია.

ამ შედეგის მხატვრული ძალა იმდენად ღიღია, რომ იგი დასაბამს  
პოულობს "სულო ბოროტოს" ავტორის გმინებაში! და ეს ფაქტი მჭევრ-  
მეტყველურად ასაბუთებს იმ აზრს, რომ უმაღლესი ემოციური თრთოლა  
სკოლურ რუბრიკებში არ ეტევა. ანაზღეულად მოვარდნილი ღრმა განც-  
დის მანიფესტაციის უამს შემოქმედი წინასწარ აკეთებულ ნორმების  
მიხედვით არაფერს ქმნის. თეორიულ წანამძღვრებზე ფიქრის ღროს  
შთაგონების დემონს თვალები დახუჭული აქვს.

...მწერალთა კავშირში პუშკინის ლექსების წაკითხვის შემდეგ პა-  
ოლომ ყველა იქ დამსწრე პუშკინისავე სახელობის ქუჩაზე, მოედნის

მეორე მხარეს მდებარე რესტორან "სიმპათიაში" მიგვიპატიეთა. ნახევარ-სარდაფის კედლები ფიროსმანის ვიღაც უგეანო მიმღეარს აღექსანდრე მაკედონელის, პლატონის, სოკრატეს, რუსთაველის, არისტოტელეს და სხვათა ვეება "პორტრეტებით" მოეხატა, რაც პ. იაშვილს საბაბს აძლევდა, ვითომ სერიოზული, მაგრამ დამცინავი კილოთი ელაპარაკა მათ შესახებ. ტიცციან ტაბიძეც ასეთივე ტონით "ამართლებდა" რესტორნის კედლის დამამშვენებელს:

— არ დაივიწყოთ, ამხანაგებო, რომ ეს ახლად მოვლენილი ფიროსმანი განათლებული კაცი ყოფილა: პლატონის სახე იმიტომ დაუნატავს, რომ ამ ბერძენს ეკუთვნის ნაწარმოები "ლზინის" სათაურით! ჩვენც მოვილზინოთ...

სამწუხაროა, რომ ტიცციანის და მისი მეგობრის ხუმრობის არც ერთი მომსწრე ამჟამად ცოცხალი არაა. მოგონებებში ხომ არ შეუტანია იგი ტრაპეზის რომელსამე მონაწილეს?

საერთოდ, პაოლო იაშვილის სტიქია სანადიმო ბაღებსა, ნახევარ-სარდაფებსა და სასტუმროებში მოლზენითაც გამოიხატებოდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო ერთი შემთხვევა:

ერთხელ, 1935 თუ 1936 წელს, გაზაფხულზე, პაოლო იაშვილმა, ტიცციან ტაბიძემ და გიორგი ლეონიძემ ღრის გასატარებლად კახეთში წამიყვანეს. გომბორი არ გადაგვიღახავს, სართიჭალის სასაღილოში დაერჩით.

— დედას ლევანა მოსებნეთ, თბილისელი ძმები ეპატიუებით. — დააეღა სასაღილოს პატრონს პაოლომ.

სასაღილოში გრძელი მაგიდები იყო ჩამწყკრივებული, ნახევრად ფარღალალა ღუქანს მიწური იატაკი ჰქონდა.

სად იყო, სად არა, მალე დედას ლევანაც გამოჩნდა. თხელი, საშუალო ტანის მამაკაცი იყო, მოგრძო სახისა; ნიკაპამდე დაშვებული, წვრილად შეკრეჭილი უღვაშებით. თუშური ქუდი ეხურა, ძალზე ღინჯი და მშრომელი გლეხის ტიპს მოგაგონებდათ. იფიქრებდით, ეს-ესაა ეზოში ოჯახურ საქმიანობას მოაცდინესო.

სტუმრები მეფურად შეეგებნენ მას. დედას ლევანამ ღინჯად შეიფერა შეხვედრის სახეიმი რიტუალი.

პაოლო იაშვილის მარცხენა იდლიაში შეყუყული შეეცქეროდი ჩვენი პოეტების ნადიმს, რომელშიც ასე ნათლად გამოსჭვიოდა ქართული ლზინის ყველა შესანიშნავი თვისება: სმაში თავდაჭერილობა (მართო პაოლო ცლიდა ვეება ფიალას) და ჩინებული მჭევრმეტყველება, რასაც ლექსების ზეპირად წარმოთქმა, ექსპრომტები და დედას ლევანას შეუღარებელი ტენორი აკვირგვინებდა.

არ ვიცი, სადმე თუა შენახული კახელი სახალხო მომღერლის ხმის ჩანაწერი ფირფიტაზე, თუმცა ამაში დასანანი არაფერია. აკი ეანო სარაჯიშვილის სიმღერას უმოწყალოდ ამახინჯებს დღემდე შემორჩენილი მისი ხმის ფონოჩანაწერები.

დედას ლევანა შეუღარებულ piano-ს ფლობდა, არაჩვეულებრივად მიმზიდველი იყო მისი ხმის ქართული ტემბრი, რიტმული თრთოლა გაბმული სიმღერისა. თანმიმდევრული და არაძლიერი რეგისტრები დედას ლევანას ვოკალისა თითქოს ელევსინის მისტერიების მონაწილე მენადების რიტმული როკვისთვის იყო გამიზნული, იმ მენადებისათვის, რომლის ერთ-ერთი ტიპური ფიგურა ქვაში აქვს გამოკვეთილი პერგამონის გენიალურ მოქანდაკეს სკოპასს ბაქნელი ქალწულის სახით...

დედას ლევანას ყოველი სიმღერის დამთავრების შემდეგ პაოლო წამოდგებოდა, მისკენ გასწევდა და ფეხზე მდგარნი, ორივენი მხრებზე ეამბორებოდნენ ერთმანეთს.

კახური ეოკალისა და იშვიათი ღვინის ემბაზში თითქოს ხელახლა ინათლებოდნენ ქართველი პოეტები!

...ერთი სიმღერა უიღბლო სიყვარულის გამოტირილი იყო. დღესაც არ ვიცი, ფოლკლორული წარმოშობისა იყო თუ თვითონ მომღერლის მიერ შეთხზული. დაეიხსომე მხროლოდ სიმღერის დასასრული – სეგდიანად, მაგრამ თაფლივით ტკბილად გაქიმული ბოლო ნოტი...

სიმღერის დასასრულს პაოლო იაშვილმა წითელი ღვინით საესე დიდი ფიალა უმაჯო იატაკზე დაანარცხა და თავი ჩაქინღრა. დედას ლევანას ბოლო სიმღერამ თუ ააფეთქა მისი "ტვინი ვერანი" – აკი სიყუხიზლის ჟამს პოეტის არსებას დარდითა და სიმძიმით აესებს ხოლმე წუთისო-ფეელი.

პაოლო იაშვილი თავდახრილი იჯდა მაგიდასთან, სასადილოს იატაკზე სპირაღურ რკალუბად მიფინებოდა წითელი ღვინის წერილი ნაკალები, ტიცვიან ტაბიძე და გიორგი ლეონიძე სასადილოს პატრონს უთვლიდნენ ფურს.

დედას ლევანას კი ვერაეინ გაუბედაუდა რისამე შეთავაზებას...

# ლადო გუდიაშვილი

## მოგონებების წიგნი

უდიდესი სიყვარული და მეგობრობა მაკავშირებდა ტიცციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, ეალერიან გაფრინდაშვილთან...

არ მაეცივლება ტიცციანის სახე, მისი ღიღრონი თვალები.

არ მაეცივლება პაოლო იაშვილი — მის გულში ხომ მზე ღუღღა! საოცარი მეგობრობა იცოდნენ. არაფერს არ დაზოგავდნენ, ოღონდ ადამიანისათვის დახმარების ხელი გაეწვდინათ და მხნეობა მიეცათ. არ იცოდნენ შური...

უხაროდ ახალი ნიჭის გამოჩენა. ღიღი გულის პატრონები იყვნენ. ყოველთვის მალეღებებს მათი მოგონება და შემოქმედებით ძალას მძატებს. ბედნიერად კთვლი თავს, რომ ბედმა ამ ადამიანებთან შემახვედრა...

მუდამ მრავალფეროვანნი, მუდამ მოულოდნელნი, მუდამ აფორიაკებულნი და საინტერესონი იყვნენ ისინი.

იმ პერიოდში თბილისში მართლაც ბევრი თავშესაფარი ადგილი იყო, რომელთაც “კაფეებს” ეძახდნენ.

მახსოვს, გოლოვინის პროსპექტზე, იქ, სადაც ახლა ბორჯომის წყლები იყიდება, იყო კაფე, რომელსაც ერქვა “უანტასტიკური ყავახანა”, ანუ პოეტების საამქრო: აქ თავს იყრიდნენ პოეტები, მწერლები, მსახიობები, რეჟისორები, მოდიოდნენ მხატვრებიც... აქ ეწყობოდა შეხვედრები მოსკოველ მწერლებთან, მაიაკოვსკისთან, კამენსკისთან... და ყველაფერს ამას ტონს “ცისფერყანწელები” აძლევდნენ. იმართებოდა დისკუტები, იყო ერთი აურზაური, სიწყნარე კი, არასოდეს. ვაკეთებდით შეხვედრების მონაწილეთა ჩანახატებს, კარიკატურებს, პორტრეტებს... ეს ხალხისათვის. საერთოდ კი, მწერლების თხოვნით, მე, კირილე ზდანევიჩმა და ზიგა ვალიშევსკიმ ამ კაფეს კედლებიც მოეხატეთ. მაგრამ, ისე, როგორც ბევრი რამ მაშინდელი, ეს მხატვრობაც დაიკარგა...

სხვაც ბევრი ასეთი კაფე იყო თბილისში. მაგალითად, “ძმური ნუგეში”, “არგონავტთა იაღქანი” და სხვა, მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც იყო “ქიმერიონი”, ეს კაფე მდებარეობდა რუსთაველის თეატრის ახლანდელ ქვეშოთა ფოიეში. მისი გახსნის ინიციატივაც “ცისფერყანწელთა” ჯგუფს ეკუთვნოდა. ყველა იმ სატკივარს შორის, რომლებიც კი ოდესმე ცხოვრების გზაზე შემხვედრია, ერთ-ერთი ისიცაა, რომ ხელოვნების ეს შესანიშნავი ძეგლი (ეგულისხმობთ “ქიმერიონის” მოხატულ კედლებს) ყოველად უაზროდ გაქრა და დაიკარგა... აქ ეწყობოდა ლიტერატურული შეხვედრები, მწერლები კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს.

შემდეგ გამოდიოდნენ იმ დროის გამოჩენილი მომღერლები და მოცეკვა-  
ეები. საერთოდ, ეს კაფე ძალიან თვალწარმტაცი სანახავე იყო. შადრევ-  
ნებს ირგვლივ, მაგიდებს შორის, თავისუფლად დასეირნობდნენ სქელები  
და ხანდახან სუფრაზე მოტანილ მწვანე სასმელებს დასვამდნენ ხოლმე...

კაფესთვის რომ მეტი ეშხი და სილამაზე მიგვეცა, გადავწყვიტეთ  
მისი კედლები ფრესკული პრინციპით მოგვეხატა. იმ ხანებში თბილისში  
იმყოფებოდა ცნობილი რუსი მხატვარი სერგეი სუდეიკინი. მან ჯერ  
რევოლუციამდე დასტოვა პეტერბურგი, შემდეგ მსახურობდა არმიაში,  
აეად გახდა და საქართველოში ჩამოვიდა. დაუახლოვდა ქართველ მწერ-  
ლებსა და მხატვრებს. ჩვენთან ერთად ატარებდა მთელ დღეებს. გამოუე-  
ნაც მოაწყო. ბევრი სურათი აქვს შექმნილი თბილისის და, საერთოდ,  
საქართველოს თემებზე. ბოლოს პარიზში წავიდა.

პაოლოს ინიციატივით "ქიმერიონის" მოხატვაში სუდეიკინმაც დი-  
დი მონაწილეობა მიიღო... მოხატა კაფეში ჩასასვლელი კიბის მარცხენა  
მხარე. მისი თემა იყო "ქართველი პოეტები" და ეპიზოდები ძველი თბი-  
ლისის ცხოვრებიდან. დახატა თავისი ავტოპორტრეტიც.

ყველამ გატაცებით დაიწყო მუშაობა. მოპირდაპირე კედელზე მე  
დავხატე "სტეპკოს დუქანი" და "ღარაჯი მელა". დარბაზის შიდა კედელი  
დაფარული იყო ღავით კაკაბაძის ნახატებით, რომელთაც საერთო თემა  
ქკონდათ — გაზაფხული. დანარჩენი კედლები მოხატეს კირილე ზდანე-  
ვიჩმა და პოლონელმა მხატვარმა ზიგმუნდ ეალიშევსკიმ.

# სერგო კლდიაშვილი

## პაოლო იაშვილი

პაოლო იაშვილმა 18 წლის ასაკში დაიწყო ჟურნალ "ოქროს ეერძის" გამოცემა. იმდროინდელი კანონით პაოლო ჯერ კიდევ არ ყოფილა სრულწლოვანი, ამის გამო უფლება არ ჰქონდა ჟურნალის ოფიციალური რედაქტორი ყოფილიყო. გვარი, რომელიც ჟურნალის რედაქტორად არის გამოცხადებული (ბესარიონ ჯაიანი) ფიქტიურია. იგი მხატვრული ლიტერატურის მოყვარული ერთი ქართველი ინტელიგენტი იყო, რომელიც მხოლოდ რედაქტორობაზე აწერდა ხელს, ხოლო სარედაქციო საქმეში სხვა არაფერი ეკითხებოდა. ჟურნალის ფაქტიური ხელმძღვანელი, მისი წარმმართველი და ტონის მიმცემი თერამეტი წლის პაოლო იაშვილი იყო.

"ოქროს ეერძის" მხოლოდ ოთხი ნომერი გამოვიდა.

როცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაიგეს ნამდვილი რედაქტორის ვინაობა, ჟურნალი აკრძალეს. ამ დროს ახალგაზრდა პაოლო უკვე "არასაიმიდლო" ითვლებოდა. ერთი მონარქისტი პედაგოგის ხულიგნური განცხადების გამო, რომელმაც ქართული ენა ძაღლის ენად გამოაცხადა, მოწაფეებმა დემონსტრაცია მოაწყვეს. პედაგოგის წინააღმდეგ მოწყობილ დემონსტრაციაში აქტიური მონაწილეობისათვის პაოლო, მაშინ მეშვიდე კლასის მოწაფე, გიმნაზიიდან გარიცხეს. იგი იძულებული გახდა ანაპაში წასულიყო, სადაც დაასრულა საშუალო სასწავლებელი.

ამ დროს პაოლო უკვე წერდა ლექსებს ქართულ და რუსულ ენებზე.

"ოქროს ეერძმა", მართალია დიდხანს ვერ იარსება, მაგრამ, თავისი არსებობის ხანმოკლე დროშიც საკმაო და საპატიო სახელი მოიპოვა.

ჭაბუკმა პაოლომ ხელმძღვანელის დიდი უნარი გამოიჩინა. მან თანამშრომლებად მიიზიდა როგორც ძველი და ახალი თაობის უკვე ცნობილი მწერლები, ისე ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტები. მათ შორის იყვნენ: გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ტიცინან ტაბიძე, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, კოლაუ ნადირაძე, კონსტანტინე გამსახურდია, ჯაჯუ ჯორჯიკია, ნიკო ლორთქიფანიძე, ლადო და გრიგოლ ჯაფარიძეები, მეც, თქვენი მონამორჩილი და მრავალი სხვანი.

არა, არაეითარი მანიფესტი და წინათქმანი არ უძლიოდა "ოქროს ეერძს", მაგრამ მისი პოეზიით, პროზით და კრიტიკული წერილებით აშკარად იგრძნობოდა, რომ ჟურნალი მოწინავე პოზიციებზე იდგა.



ეს ის დრო იყო, როცა ქართული მხატვრული სიტყვის კორიფეთა-  
გან მხოლოდ სამი-ოთხი კაციღა იყო ცოცხალი, მათაც უკვე დაესრულე-  
ბინათ თავიანთი სათქმელი და ერის წინაშე მოხდელი ჰქონდათ ვალი.

ცხრაას ცამეტი წლის მიწურულში პაოლო იაშვილი პარიზში გაემ-  
გზავრა. მისი მიზანი იყო პარიზის უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში  
შესვლა, რომ სრულყოფილად დაუფლებოდა გრაფიკას. პაოლო ხომ  
შესანიშნავად ხატავდა. მისი სურათებიდან, სამწუხაროდ, რამდენიმე  
ნახატიღა დარჩა.

პაოლო საფრანგეთში გაემგზავრა, ჩვენ, მისი თანამშრომელი და  
მეგობარი ახალგაზრდები კი რუსეთის უნივერსიტეტში წავედით, და  
რამდენიმე ხნით ქუთაისში თითქოს ჩაჩუმდა მწერლობის ხმა.

პარიზში ყოფნის პერიოდში ბევრი დავწერილებითი ცნობები არ  
დარჩენილა. ზოგჯერ პაოლო იქაურობაზე სიტყვას რომ ჩამოაგდებდა და  
გვიამბობდა, მხოლოდ ის შეგვიძლია დღეს გავიხსენოთ. იყო კიდე ერთი  
წერილი, ილია ზდანევიჩის მიერ ოციან წლებში თავისი ძმისთვის –  
კირილე ზდანევიჩისთვის გამოგზავნილი. ეს წერილი დაიკარგა და ახლა  
მხოლოდ მისი შინაარსი შეიძლება გავიხსენოთ. პოეტისა და პროზაიკო-  
სის, პარიზელ მხატვრებსა და მწერლებს შორის კარგად ცნობილი ილია  
ზდანევიჩის წერილი დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო: წარმოიდგი-  
ნეთ, დღემდე ახსოვთ აქ პაოლო. არც ისე დიდი ხნის წინათ, მე და ჩემი  
ცოლი (შენ ის ჯერ არ გინახავს, როცა ჩამოხვალ გაიცნობ და დარწმუ-  
ნებულნი ვარ, დამეგობრდებით) (ილიას ცოლი ზანგის ქალი იყო. – ს. კ.)  
კაფეში შევედით. იქ ენახე ფრანსის კარკო. საუბარში მას ზოგი რამ  
გაუხსენებია წარსული წლებიდან, გაუხსენებია პაოლო იაშვილი და და-  
ახლოებით ასეთი რამ უთქვამს: ბევრი მინახავს ამ კაფეში, მრავალი  
მათგანი აღარ მახსოვს, იმ ქართველი მომხიბვლელი გარეგნობის ახალ-  
გაზრდის დაეიწყება კი არ შეიძლება. ის აქ კითხულობდა თავის და თავი-  
სი მეგობრის ლექსებს. შინაარსი არ მესმოდა, მაგრამ მის ხმაში და მის  
საოცარ თვალებში მე ვკითხულობდი და კიდეც მესმოდა ჭეშმარიტი  
პოეზია. პო, ის პოეტი იყო, ჭეშმარიტი პოეტი!

ეს წერილი კირილე ზდანევიჩის პაოლომ გამოართვა. შემდეგ ის  
გადასცა შალვა აფხაიძეს, რომელიც “ყანწელების” არქივს აგროვებდა.  
ბოლოს კი, ბინაში გაჩენილი ხანძრის გამო, არქივი მთლიანად დაიღუპა.

არ ვიცი, რატომ ეწერ ამ მოგონებებს? განა არ აჯობებს, ის წლები  
გავიხსენო, რომელიც მან საქართველოში გაატარა? ეს მცირედი მოგო-  
ნება იქნებ სწორედ იმისათვის იყოს საჭირო, რომ პაოლოს იმ ამბებზე  
გადაესულიყავი, რომელიც მის დაეაყვაცებასა და იმ დროს ეხება, როცა  
მისმა დიდმა ტალანტმა იჩინა თავი.

როგორც ზემოთ ვთქვით, პაოლო იაშვილი 1913 წელს გაემგზავრა  
პარიზში. ამ დროს პარიზი მექა და მედინა იყო პოეტებისა და განსაკუთ-  
რებით მხატვრებისათვის. პარიზში თავს იყრიდნენ უმთავრესად ახალ-  
გაზრდები, ახალი იდეების მქონე, ახალი სიტყვითა და ფუნჯით მეოცნე-

ბენი. თავისუფალ საათებში ისინი თავს იყრიდნენ ერთხელვე ამოჩემებულ კაფეში, რომელიც ამ მეოცნებეთა კლუბს წარმოადგენდა. აქ უახლოვდებოდნენ ისინი ერთმანეთს, აქ იკრებდნენ ძალას, აქ ყალიბდებოდა მათი აზრები მხატვრულ სიტყვასა და ხელოვნებაზე.

სიცოცხლით საესე პაოლო, ბუნებრივია, უცბადვე ეზიარა ამ ატმოსფეროს და მალე აქაურების ყურადღებაც მიიპყრო.

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ფრანსის კარკო თავის შესანიშნავ წიგნში — “მონმარტრიდან ლათინურ კვარტალამდე“, სადაც ამ კაფეების საერთო სურათს გვაძლევს და ცალკეულ პორტრეტებსაც ხატავს, ერთ ადგილზე გაკვრით მოიხსენიებს ახალგაზრდა პოეტს, რომელიც ძალიან მიაგავს პაოლოს. კარკოს დასახელებული არა მყავს პაოლო, მაგრამ იღია ზღანვეიჩის მიერ გამოგზავნილი წერილი გვაუჩქრებინებს, რომ ის ახალგაზრდა პოეტი ნამდვილად პაოლო უნდა იყოს.

პარიზში პ. იაშვილი დიდხანს არ დარჩენილა. მსოფლიო ომი დაიწყო და იძულებული გახდა ერთი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულიყო.

მაგრამ ეს დროც დიდად ნაყოფიერი გამოდგა მისთვის. ის ბრუნდებოდა სამშობლოში რაღაც უეცრად დაეაჟაკებულ, ახალი აზრებითა და განცდებით საესე, ამასთანავე, ცოდნით ლატვირთული. ბრუნდებოდა სამშობლოში და თან მოჰქონდა ის განცდები და სულიერი სამყარო, რომელიც მაშინ ახასიათებდა აფორიაქებულ ევროპას.

გაიხსენეთ მისი ლექსი “ევროპა“ და უმაღლვე იგრძნობთ, რა უჩვეულ გონცდებით მოეშურებოდა პოეტი საქართველოში. ის შემოფოთება, რომლითაც მოცული იყო მსოფლიო, ისმის ამ ლექსის თითოეულ სტრიქონში, და მთელი ლექსი, ქართული ლექსთაწყობისათვის ჯერ სრულიად უჩვეულო და უცნობი რიტმითა და ფორმით დაწერილი, დიდი ზარის გუგუნად ისმის.

საქართველოში დაბრუნებული პაოლო იაშვილი უკვე აღარ არის ის მეოცნებე, როგორც სამშობლოდან გამგზავრებამდე იყო. ეს ის დროა, როცა გადატყდა ძველი ცხოვრების ხერხემალი და ის ახალი დრო დადგა, რომელიც მსოფლიოს გადახალისებას უსწრებდა წინ, როცა ოქტომბრის რევოლუციას მსოფლიოში უდიდესი ძვრები უნდა მოეხდინა. მაგრამ პაოლო იაშვილი პოლიტიკოსი არ არის. ის პოეტია და მისი მეამბოხე სული პოეზიაში ჰპოვებს ასპარეზს.

აკაკი წერეთელი ახლად გარდაცვლილი იყო. მეცხრამეტე საუკუნის სხვა დიდ წარმომადგენლებს უკვე მოთაყებული ჰქონდათ თავიანთი სათქმელი. ყრუდ ისმოდა მწერლობაში, განსაკუთრებით პოეზიაში, გაბედული, ახალი სიტყვა. პირველი მსოფლიო ომით შეძრწუნებული იყო რუსეთი და საქართველო.

ეს ის დრო არის, ის მშფოთქარე ეპოქა, როცა დაიწყო ჟურნალ “ცისფერი ყანწების“ გამოცემა: ეს ჟურნალი ჯერ კიდევ საესეებით ჩამოყალიბებული არ იყო, ჯერ კიდევ არ ჰქონდა გარკვეული, რა გზას უნდა

დასდგომოდა ქართული მწერლობა, განსაკუთრებით პოეზია. მხოლოდ იყო მინიმუმები, რომ ახალი გზით უნდა წარმართულიყო ჩვენი ლიტერატურა. ჟურნალში თანამშრომლობდნენ როგორც ძველი თაობის წარმომადგენლები, ისე ახალი თაობის პოეტები. ძალი „ცისფერყანწელები“ გაეძიჯნენ უფროს თაობას და მათი მწერლური სახეც სწორედ ამ დროიდან იკეფებოდა.

“ცისფერყანწელები“ ჩვენი ქართული კლასიკური ლიტერატურის გულწრფელი ქომაგები ხდებიან. თუ დასაწყისში ერთგვარად უარყოფდნენ ჩვენს კლასიკურ მემკვიდრეობას, შემდეგ თანდათან ამ კლასიკას მაღლა სწევენ. ისინი იყენებენ პირველნი, რომლებმაც თამამად და გაბედულად აღნიშნეს ღ. გურამიძეილისა და ვაჟა-ფშაველას პოეზიის, ილიას პროზის, აკაკის ლექსისა და სხვათა მაღალი ღირსებები. ის წერილები, რომლებიც დაბეჭდილია “მეოცნებე ნიამორების“ ნომრებში და, რომლებიც ეკუთვნიან ვალერიან გაფრინდაშვილს, სახდრო ცირეკიძეს, ტიცინ ტაბიძეს და სხვებს, ისეთ მაღალ შეუასებას აძლევენ ქართულ კლასიკურ მწერლობას, რომ ყანწელებს მოწინააღმდეგეებიც კი საყვედურობდნენ, — გადამეტებული ხომ არ არისო.

საკვირველია, მაგრამ ასე მოხდა, პაოლოს თავის სიცოცხლეში არ გამოუცია საკუთარი ლექსების კრებული, უფრო საკვირველი ის არის, რომ ჯერ კიდევ მაინც არ აპირებდა კრებულად მათ გამოცემას.

გატაცებული მეოცნებე პოეზიის ატმოსფეროთი ცხოვრობდა და არც ცდილობდა თავისი ლექსები მკითხველისათვის მიეწოდებინა. მისი ლექსები უმთავრესად ჟურნალებსა და გაზეთებში იბეჭდებოდა. მაგრამ მკითხველმა უნდა იცოდეს როგორი გაჭირვებით ღებულობდნენ რედაქციები ლექსებს პაოლოსგან. მას თითქოს დროც არ ჰყოფნიდა, რომ თავისი ფიქრები და პოეტური განცდები ქაღალდზე გადაეტანა და რედაქციებში მიეტანა.

პაოლო იაშვილის დაღუპვის დღიდან პოეზიის მოყვარულებს მისი პოეზია გულში ჰყავდათ შეხიზნული, ჩუმად კითხულობდნენ მის ლექსებს.

პაოლოს ლექსები მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა. პირველად ცალკე კრებულად 1959 წელს დაიბეჭდა. ჩვენ ამას დიდად უნდა ვუმაღლოდეთ უდროოდ გარდაცვლილ ლიტერატორსა და გამომცემლობის მუშაკს შალვა დემეტრაძეს. ეს მან იკისრა ამ მეტად ძნელი საქმის თაოსნობა. მან დიდი შრომა გასწია, რომ ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან, პაოლოს ნაცნობ-მეგობრებისაგან შეეგროვებინა პაოლოს ლექსები და ერთ კრებულად გამოეცა. ვინ იცის, პაოლოს რამდენი მნიშვნელოვანი ლექსია კელავ უცნობი ადამიანების ხელში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი თანდათან გამოქვეყნდება. ის ხომ უხვად, დაუზოგავად ფანტავდა ზეპირად თქმულ ლექსებს, ეს ლექსები კი პოეზიის ნამდვილ მარგალიტებს წარმოადგენდა.

პაოლო იაშვილს რაღაც წარმართული სიყვარულით უყვარდა სიცოცხლე, ცხოვრება, და მთელი მისი პოეზია არის ჰიმნი ჩვენი მზისა და მიწისა. მას ბევრი სიხარული მოუნიჭებია ჩვენთვის, ის როგორც დღესასწაულს ისე შეჰყურებდა ყოველი დღის გათენებას და აღამიანთა შორის ყოფნას, ყოველ ახალ ლექსს, ვისიც არ უნდა ყოფილიყო იგი. ის ამდენ სიხარულს აფრქვევდა, ბედნიერებას გვანიჭებდა, მაგრამ თვითონ პირად ცხოვრებაში იყო კი ბედნიერი?

პაოლო იაშვილი ცხოვრების მოყვარული კაცი იყო. გატაცებული ყველა იმ სიახლით, რაც ჩვენს სინამდვილეში ვლინდებოდა და მერე ამას თავის პოეზიაში გამოხატავდა. მისი ბევრი პოეტური ქმნილება სწორედ ამ სიხარულზე მიგვანიშნებს.

პაოლოს, როგორც პიროვნებას, დიდი წვლილი მიუძღვის რუსი და ქართველი მწერლების დამეგობრებაში. პასტერნაკის, ტიციანისა და პაოლოს ურთიერთობა ლიტერატურის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება, როგორც უწმინდესი და უმაღლესი მეგობრობის გამოხატულება.

პაოლოზე შეგვიძლია ბევრი რამ ვთქვათ, იგი იყო ლექსის ჯადოქარი, იყო მომხიბლაკი გარეგნობის, კიდევ უფრო მომხიბლაკი სულიერად, იყო დიდბუნებოვანი და აღამიანის მოყვარული, იგი ყოველთვის სიხარულს ანიჭებდა აღამიანს... მაგრამ ეს კიდევ ვერ გამოხატავს პაოლოს ყველა ღირსებას, — ის რაღაც უფრო მეტი იყო.

1975

# ბიორები ლეონიკა

## ჩვენი მზიური პაოლო

ნაღმიანი სიტყვის პოეტი, გაბედული მხატვარი, ვაჟკაცური ხმის პატრონი, პატრიოტი, დაუდგრომელი, ლაღი, გულითადი, მეგობრობაშიც გულუხვი, ოპტიმისტი, სიცოცხლის სტიქიით აღსავსე, ამხანაგებისთვის და სხვებისთვისაც “გაჭირვების ტალკეესი”, ახოვანი, ლამაზი, შავეგრემანი, ბრინჯაოსავეთ ჩამოსხმული, რიხიანი, ალერსიანი. ადამიანი, რომელსაც უყვარდა სიცოცხლე, სიხარული, სამშობლო, ბავშვები...

პაოლოს პოეზია დიდია ისევე, როგორც მისი ღვაწლი, — ახალი ქართული პოეზიის რეფორმატორისა. იგი იყო ნოვატორი, ქართული პოეზიის გამამდიდრებელი ახალი მეტრებით, სმენით შეყვარებული რითმაზე, ფაქიზი ოსტატი.

პაოლოს პოეზია, როგორც ამბობდა ერთი რუსი პოეტი, “ემყარება შეგრძნებათა ზუსტ მონაცემებსა და მოწმობას. ეს უკიდურესად შემოქმედებითი პოეზიაა. იგი არ არის გადატიერთული მასში მჭიდროდ ჩაქსოვილი ეფექტებით. მასში ბევრი სიერცე და ჰაერია. იგი მოძრაობს და სუნთქავს”.

უპირველესად, პაოლო იაშვილი ვაჟკაცური ხმისათვის მებრძოლი იყო პოეზიაში. პაოლო უგულბებლყოფდა “წერილ ხმას” და ქართულ ლექსში მაჟორს — ენერგიას და დიდ ენთუზიაზმს მოითხოვდა. “საჭიროა თერგის ღრიალი და არა წყაროს რაკრაკი — ამბობდა იგი, — საჭიროა გრივალი და არა სიოს სიამოვნება, საჭიროა სიცოცხლე და არა საფლავებზე ტირილი!”

“აზრი, რომელიც რკინით და თუჯით არ გაიჭედება, ის არ იქნება მარადიული და საერთო”.

“უდიდესი მიზანი და ოცნება ქართველი პოეტისა უნდა იყოს ის, რომ მან საესემ და დამძიმებულმა ერის ყველა ხმებით, ისტორიის რაინდული ეპოპეებით გააგონოს მთელ ქვეყნიერებას “ყურისმგლეჯელი გრიალი” — აცხადებდა პაოლო იაშვილი 1922 წელს ჩემს გაზეთ “ბახტრიონში” (N 19).

პაოლო ერთგული დამფასებელთაგანი იყო ვაჟას პოეზიისა. “ჩვენს საუკუნეს შერჩება ბახტრიონის დევი, გველისმჭამელი ვაჟა-ფშაველა, დაუბერებელი მოახლე ლაშარის გიორგის და დიდხანს დაგვაფეთებს თავისი ვაჟკაცური აბჯრის ხმაურით”.

“ვაჟა-ფშაველაზე ძლიერი პოეტური სტიქია არ ახსოვს საქართველოს. ვაჟამ პირველმა მისცა იმედი ქართულ სიტყვას; მას ჰქონდა ღმერთების ენა და ჰომეროსის ნოყიერება”.

პაოლომ იცოდა სიტყვის არჩევანი და ზედმიწევნით, ზუსტი სიტყვის პოვნის სიხარული, პაოლოს უყვარდა მაგარი სიტყვა, მოფართქალე და ხმოვანი, ფერადული და მზიური. პოეტს იგი უწოდებდა "ოქროების მმართველს", რადგანაც სიტყვა მისთვის ნამდვილი "ოქრო" იყო.

მას არაერთი თავისი სიტყვა შემოუტანია ლექსში. მე მახსოვს, მაგალითად, მისი "მოურთბაშე", "ღერიღაზოლი", რაც მისი განმარტებით ნიშნავდა "ჯაეშანს".

დიდ შემოქმედებასთან ერთად, უსათუოდ აღსანიშნავია პაოლოს ნიჭიერი მთარგმნელობაც. განსაკუთრებით მახსოვს, თუ როგორ სთარგმნიდა ფრანგი პოეტის არტურ რემბოს "მთერალ ხომაღლს", რომელმაც ჩვენი საერთო აღტაცება გამოიწვია. მთელი თარგმანი ზეპირად იცოდა. ასევე მომწონდა პაოლოს მიერ თარგმნილი ბოღლერის "საღამოს ჰარმონია", განსაკუთრებით მისი უკანასკნელი სტრიქონები:

“მზე ჩადის სისხლში  
და მაგრდება ის სისხლი მზეზე,  
ელავს ბარძიით  
შენზე ფიქრი უკანასკნელი”.

პაოლომ დიდი შემოქმედებითი სითამამით და თავდადებით თარგმნა პუსკინი. პუსკინის რუსულ ტომს ჰირდაპირ უბით დაატარებდა, არასდროს არ გვეინახავს პაოლო ისეთი მშრომელი, როგორც პუსკინის თარგმნის დროს. მას დაეიწყებული ჰქონდა ყოველი საქმე. ზმირად წვერის მოპარსვისთვისაც კი არ ეცალა. მან საქმე ბოლომდის მიიყვანა და ამ მხრევაც სასახელო ნაღუაწი დაგვიტოვა. პაოლოს აგრეთვე დიდოსტატობით აქვს ნათარგმნი მათაკოვსკი, ბალმონტი, უაილდი, ვერპარნი და სხვ.

1921 წელს, ჩემს ქორწილში, პაოლო მეჯვარედ მყავდა და არა მარტო მაშინ, ის ყოველთვის იყო მეთაური ჩემი მეგობრობისა, სიხარულისა, პოეზიისა.

პაოლო არაერთხელ ყოფილა ჩემთან, პატარაბეულში, იორზე, სანადიროდ, სათეეზაოდ. 1926 წ. მარტში მე დაეპატიეე პაოლო, ტიცინანი, სანდრო შანშიაშვილი და სხვა ამხანაგები ჩემს დედულეთში – ნინოწმინდაში. V საუკუნის ტაძრის ეზოში გაიმართა დიდი ღრეობა სიმღერით, ცეკვა-თამაშით. შუა ნადიმის დროს პაოლო ავარდა თორმეტი საეენი სიმღლის სამრეკლოზე და იქიდან დაიწყო ლექსების კითხვა. შემდეგ მე და ტიცინანი გამოგვიწვია გუმბათიდან და ჩვენც იქიდან კკითხულობდით ჩვენს ლექსებს. ეს იყო პაოლოს საოცარი რევისურა, განუმეორებელი სურათი. ეს დაუეიწყარი საღამო, დაუეიწყებელ მეგობრებთან გატარებული, შთაბეჭდილი მაქვს ჩემს ლექსში "ნინოწმინდის ღამე".

1934 წელს ტიცინი მწერდა მოსკოვიდან, "პაოლოს შენს მეტი საქართველოში არაეინ ენატრებაო". ეს სიყვარულით ნათქვამი სიტყვა დაფუძნებული იყო ჩემსა და პაოლოს მუდმივ მეგობრობაზე. არასოდეს არ დამავიწყდება, როცა ავად გავხდი ბრუცელოზით და სამი თვის წოლის შემდეგ ამხანაგებმა უკვე ჩემი მორჩენის იმედი დაკარგეს, პაოლომ მკითხა ჩემი უკანასკნელი სურვილი, თუ რა მესიამოვნებოდა და თავისი ხელით შემიწვა სუკის მწვადი და ასევე გამომიწურა ნაყიდი ყურძნიდან მაჭარი, რასაკვირველია, საიდუმლოდ ექიმებისაგან, რომელთაგან მხოლოდ ბულიონის ნება მქონდა დართული. როცა ტიცინს მკითხეს, გოგლა როგორ არისო, მან შეიტყო რა ეს ამბავი, სთქვა თურმე, — ძალიან კარგად არის, დუდუკი-და აკლიაო! (მწვადზე და მაჭარზე). ის დღე იყო და ის! პაოლოს ხელი ბედნიერი გამოდგა, იმ დღიდან მორჩენაზე წავედი. ამის მერე პაოლო მოსკოვს წავიდა და იქაც აწუხებდა ჩემი ავადმყოფობა. მოსკოვიდან მწერდა: "ყოველდღე ეელი შენგან დეპეშას. ძლიერ მაღონებს შენი ავადმყოფობა. სჩანს კარგა ხარ, თორემ რამეს მომწერდი... უთუოდ მიდექეშე შენი მდგომარეობა".

ასეთი ძმობა იცოდა პაოლომ!

მოსკოვიდან ხშირად მომდიოდა მისი ბარათები: "თბილისი მენატრება და თქვენი ნახვისთვის დამშეული ვარ".

ერთგან მწერდა: "ნუ დამარიღებ ფერუმარულებს, მომწერე, ისტორიაში ჩაჯარღები". სხვა წერილში: "მართლა, დამკარგე, როგორც ჩერქეზმა ისარი, ბარათების წერა არ გიყვარს. მაგრამ ჩემთვის გაიმეტებდი, მეგონა, ორ სიტყვას, საბას საფლავივით ჯერ დაკარგული არა ვარ, ჯერ კიდევ მისამართით ვეცხოვრობ".

რატომ ლაპარაკობს საბას საფლავზე? ესეც დამახასიათებელია მისი მეგობრობისა და მისი ყოველნაირი ინტერესისათვის. მაშინ მე ვეძებდი სულხან-საბა ორბელიანის საფლავს და მოსკოვში მიმავალ პაოლოსაც დავაკაღე, უსათუოდ შეეხედა მოსკოვის ქართულ ტაძარში, "ესესვიატსკოეში" ("სვენსკაში"), ე.ი. პაოლოს არქეოლოგის როლი დაეკისრე და იგიც დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საბას საფლავის ძებნას.

პაოლო მოსკოვიდან მატყობინებდა: "გწერთ ესესვიატსკოეს ეკლესიიდან, მე, თამარა და შალვა აფხაიძე. ყველაფერი მოვიარე, რა თქმა უნდა, საბას ძეგლი (საფლავი, გ. ლ.) აღმოჩენილი არ არის და როგორც ჩანს, არასოდეს აღმოჩნდება. 1905 წელში მიწა ამოუთხრიათ, ბევრი ჩონჩხი უნახავთ და მათ შორის უთუოდ საბაც იყო. არქივი არ არის, მღვდელი ბოგოსლოვსკი ამბობს. — ბევრი ზომები მივიღე. მაგრამ ვერაფერი ვნახეო".

"ეს წუთია გაეთხარეთ დამიწებული საფლავი ვახუშტის, ვახტანგის შეილისა. დიდი წარწერა აქვს, ხვალ მოვალ გადასაწერათ".

პაოლო ყველას უყვარდა...  
ხომ გახსოვთ ბალმონტის:

Люблю содружных Руставели,  
Гаприидашвили и Яшвили.

ანდრეი ბელი სწერდა, რომ პაოლო "дышет жизнью от взрыва сердечной". ტიხონოვს, პასტერნაკს, ზაბოლოცკის, ანტოკოლსკის იგი ყოველთვის დიდი გულითალობით უხსენებიათ ტიციანთან ერთად. ილია ერენბურგი სწერს მათზე: "О том, что они были прекрасными поэтами, можно теперь прочитать в любом справочнике. Мне хочется добавить, что они были настоящими людьми... Стихи у Паоло были живые, умные, крепкие".

მე მახსოვს, რა ძმური სიყვარულით შეხვდნენ ერთმანეთს პაოლო და მაიაკოვსკი თბილისში.

პაოლოს არ შორდებოდა თბილისში მყოფი ესენინი.

სომეხთა დიდი პოეტი ოვანეს თუმანიანი მოხიბლული იყო პაოლო-თი და ხომ პაოლოს იდეალიც იყო "იცხოვროს ყველამ სიხალისით და სიყვარულით".

მაქსიმ გორკი, რომლის ოჯახშიც, 1934 წელს, მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობის დროს, პაოლო თამადად იყო, აღტაცებული ყურს უგდებს მის ჭკვიანურ საღლეგრძელოებს. პაოლო ხომ იმავე დროს იყო კარგი ორატორი და ბრწყინვალე იმპროვიზატორი!

და თვით საქართველოში: რომელი ერთი ჩამოეთვალო შეყვარებული პაოლოზე. გინდ ისეთი დიდოსტატები, როგორიც პაველ ინგოროყვა, იაკობ ნიკოლაძე, კოტე მარჯანიშვილი, ლადო გუდიაშვილი; და როგორ შეიძლებოდა პაოლო არ გყვარებოდა! პაოლო კაცთმოყვარე იყო, მან ნაზი სიყვარული იცოდა, მაგრამ თვითონაც ითხოვდა ყურადღებას. ამიტომ იყო, რომ მოსკოვიდან იჭენეულად კითხულობს კოლაუ ნადირაძისადმი მიძღვნილ ლექსში:

ჩემს საღლეგრძელოს ისევ თუ სვამენ,  
ჯერ თუ მთელია საჩემო თასი!

ელვარე, თვალისმომჭრელი იყო არა მარტო პაოლოს პოეზია, არამედ მისი ნათელი, ღამაზი და გაჟაკაცური პიროვნება – გვირგვინი და მშვენება ჩვენი ძმობისა, ჩვენი პოეტური საღამოების, შეყრილობის, მეჯ-



ლისების თუ ამხანაგური სერობების. პაოლოს სხვა ეშხი შემოქონდა და უპაოლობა ყოველთვის შეგვემჩნეოდა ხოლმე. როცა პაოლო შეიგვიანებდა და მერე უეცრად შემოვიდოდა, შემოანათებდა, მაშინვე ვიგრძნობდით, რომ გამოჩნდა "ლხინის თავი". პაოლო და ტიცციანი ხომ უცვლელი თამაღები იყვნენ.

პირადად ჩემთვის პაოლოს პოეტურ პიროვნებასთან დაკავშირებულია ჩემი ცხოვრების, ჩემი სიტყბუკის ოქროს დღეები. პაოლოს მიმართ, ისე როგორც ტიცციანისადმი, მე მქონდა სიყვარული უმცროსი ძმისა უფროსი ძმისადმი და მათაც უფროსი ძმის სიყვარულით უყვარდი. პაოლო ჩემზე უფროსი იყო ნ წლით, ხოლო ტიცციანი 5 წლით.

პაოლოს გაგიჟებით უყვარდა ბავშვები. თავის მეღვას პირდაპირ აღმერთებდა, დიდი სინაზით უყვარდა ტიცციანის ქალიშვილი ტანიტი, რომელსაც საგანგებოდ ლექსი მიუძღვნა. ასევე ჩემს ქალიშვილებს ნესტანს და თინათინს არაერთი ექსპრომტი დაუწერა, ხშირად სასეირნოდაც დაჰყავდა რუსთაველის პროსპექტზე.

აი, პაოლოს ერთი ექსპრომტი, რომელიც ჩემს ქალიშვილებს მიუძღვნა:

#### ნესტანს და თინათინს

მამა თქვენი ლექსების სარდალია,  
პოეტია, ოქროების მმართველი,  
და სინდისით ისეთი მართალია,  
როგორც ომში გაკვეთილი ქართველი.  
ძველებურად მუდამ გულ გაშლილია,  
არი ძველი, ახალ კაცებს არა ჰგავს,  
მისი ღერბი – მისი ორი შვილია  
ჯანსაღი და მაგარ ჯიშის ბარაქა.  
გაიზარდეთ! იყოს თქვენი მზღებელი  
ყვაილები საქართველოს მიწისა,  
კვირაობით ხალხის გამზარებლებო,  
ასულებო, პოეტ ლენინის!

თუმცა პაოლოს არასდროს არ სტოვებდა შთაგონება და ოსტატობა, მაინც ზოგჯერ გამიგონია, რატომ პაოლომ ხელბარაქიანი პოეტური მემკვიდრეობა არ დავეიტოვაო. მათ ავიწყლებათ, რომ პაოლომ ბევრი დაწერა, ბევრი თარგმნა, რომ მრავალი მისი იმპროვიზაციები დაკარგულია, რომ მან დიდი დრო მოანდომა ლექსის ახალ ფორმაზე მუშაობას, ჯვაროსნულ ბრძოლებს პოეზიის დასაცავად ლიტერატურულ მოწინა-

აღმღებებთან. კიდეც უნდა დაეურთო ალექსანდრე ბლოკის ნათქვამი:  
"Художнику трудно преодолеть многое, что не художнику легко".

კიდეც ერთი გარემოება:

პაოლო დიდად ჰუმანური, კეთილი ადამიანი იყო და ამიტომაც იგი ხშირად ჰუმანტაუნდა თავის მდიდარ შთაგონებას. ის "ჩუმი წუთი" შემოქმედებისა, თავის თავთან გასაუბრებისა, პაოლოს მეტად მცირე ჰქონდა ცხოვრებაში.

"ლამაზ რითმისთვის ერთი წუთით ჩაუიქრებელი" პაოლო თავის პოეტურ დროს და ენერგიას სხვისი გულისათვის ძალაუნებრივ ხარჯავდა ათას წერილმანებში. ყველას მზრუნველი, შუამავალი და მოუფსუფუსე, ყველა საქმეებზე მორბენალი და შუამდგომელი, ხშირად თვეობით ვერ ეკარებოდა თავის საწერ მაგიდას. შემოტყეები კი ძალზე შეუბრალებელი და მომაბეზრებელი იყო, უფრო ხშირად ისეთი ადამიანებისაგან, რომელთაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მწერლობაზე, მით უმეტეს პაოლოს პოეზიაზე, პაოლოს კეთილშობილებას ისინი ბოროტად იყენებდნენ.

და ბოლოს, პაოლო იაშვილი დიდი საზოგადო მოღვაწე იყო. შეიძლება ბევრმა არც იცის მისი დიდი ამაგი სამგორზე, რიონქვსზე, კოლხეთზე, ჭიათურაზე და სხვ.

ლექსად იქცევა, რაც გამიტაცებს,

მე ვხედავ ხალხის შეტყეას გმირულს.

იგი ამ შეტყევის ერთი აგზნებული, ყოველდღიური მონაწილეთაგანი იყო.

პაოლო იაშვილი პირველად ენაზე თბილისში 1917 წლის პირველ თვეებში. ქუთაისში უკვე გამოსული იყო "ცისფერი ყანწები" და ახლა, მისი მონაწილენი თბილისს სწევოდნენ დასაპყრობად. მახსოვს მათი პირველი საღამო კონსერვატორიის დარბაზში. საღამოს მეთაურობდა ჭაბუკი, ქართულ ქულაჯაში გამოწყობილ ორატორს წყლის მაგიერ ღვინით სავსე გრაფინი ედგა, რომელსაც ხანდახან მიმართავდა ხოლმე სიტყვის დროს.

ჩვენს წინიდგა ლამაზი, შავგვრემანი, რიხიანი ვაჟკაცი, ახალი ესთეტიკის მქადაგებელი, რომელიც გაბედულებით იპყრობდა დარბაზს. ეს იყო პაოლო იაშვილი. ტიცციან ტაბიძე მაშინ მოსკოვში იყო. საღამოზე განსაკუთრებით დამამახსოვრდნენ ვალერიან გაფრინდაშვილი და კოლაუ ნადირაძე.

მე მაშინ ახლად გამოცემული მქონდა ჩემი ლიტერატურული აღმანახი "საფირონი". და ცხადია, დანტერესებული ვიყავი ახალი ამხანაგების გაცნობით. კარგად არ მახსოვს ჩვენი შეხუედრა, მაგრამ ამ საღამოს ახლო ხანებში კი უნდა მომხდარიყო. შესაძლოა იმავე ღამითაც. ძალუ ჩვენი მეგობრობა ძმობად იქცა და ეს ძმობა არასოდეს არ შენელებულა, არ დარღვეულა.

აღარ გვეყავს ჩვენი სხივოსანი, ჩვენი ნაღდი პაოლო! "დაგ-  
ეაკლდა სათვალავში" ელვარე პოეტი.

პაოლოს მიერ ნათარგმნი პუშკინის სიტყვებით ვფიქრობ ახ-  
ლა პაოლოზე:

გაკლიათ ვინმე სათვალავში გამოწვევაზე...  
ვისი პასუხი ვერ მიიღეთ ძმების ძახილზე,  
ვინ არ მოვიდა, ვინ დასტოვა თქვენი კრებული!

მაგრამ ისევ ბრწყინვალეებს დღეს პაოლოს ლექსი, მისი მჩქეფარე  
ვაჟკაცური ხმა. პაოლო იაშვილი დღესაც მხარში უდგას ქართულ პოე-  
ზიას და ჩვენთან ერთად თავისი ღვეური ღონით ეწევა ჭაპანს.

დღეს მისმა სიტყვამ ორკეცი ფრთები შეისხა სიცოცხლისა და ისე-  
თივე "ვაჟკაცური გაქროლებით" თავს ევლება ყოველდღიურად მშობ-  
ლიური მიწის ზურმუხტსა და მის იისფერ ტატნობს.

თქვენ შორის ძმებო, არჩეულის წილი  
მრგებია,  
რომ საიმედოდ გაეჩნდეთ ხოლმე უეცარ  
ზარშიც,  
რადგან სიახლე, რადგანაც მზე, —  
ლექსის გერბია,  
რადგან ვერ ვითმენ და ნახშირშიც  
დავატან ზარნიშს!

პოეტის დაკარგვა ძალიან ადვილია, ხოლო პოენა ძნელია მეტად.

1964

# კოლაუ ნადირაძე

## ღებულაჩაის ღამე

პაოლო იაშვილი და მე თბილისში, ჯაფარიძის ქუჩაზე, ერთ სახლში ვცხოვრობდით. კარის მეზობლები ვიყავით. ერთმანეთს ყოველდღე ეხვდებოდით და საღამო ჟამს ბაღში გასვლა და იქ საუბარი გვიყვარდა.

სახლის უკან პატარა მყუდრო ბაღი იყო გაშენებული, მეორე სართულის გასწვრივ. საკმაოდ დიდი კნაპის ხეები ფართო ჩრდილს აუენდნენ. დილით მწუხრში ბაღიდან შაშვების გაღობა მოისმოდა და წვიმის შემდეგ ჩვენი ბინების ღია სარკმლებში სველი მიწის, მჭკნარი ფოთლებისა და ყვავილების სურნელება შემოდინდა.

მოსკოვიდან ჩემდამი მოწერილ ერთ-ერთ ბარათში პაოლო მწერდა:

თუ ცოცხალია შაშვების დასტა  
და დარჩა ბაღში მათი საკვები,  
თუ ჩემს შელვას დაეტყო გაზრდა  
და ისევ არის ჩემი საქები?!

გვიან ღამით, როცა ყველას ეძინა, ჩვენ ორნი ვისხედით ბაღში. ვიგონებდით გიმნაზიაში ერთად გატარებულ წლებს, ჩვენს სიტყაბუკებს, პირველ სიყვარულს, პირველი დაბეჭდილი ლექსით გახარებას. რამდენიმე მეგობარი უკვე ცოცხალი აღარ გვყავდა. შემოდგომის დღეები თანდათან ჩვენც გვიახლოვდებოდნენ, ფოთლები ცვენას იწყებდნენ...

სახეზე პირველი ნაოჭები, თმაში შემოპარული ვერცხლი, სევდიანი გამოხედვა, ოდნავ მოღლილი ნაბიჯი... და ყოველივე ამის დაგვირგვინება ბეთჰოვენისებური ტრაგიზმით წარმოშობილ ლექსებში: "პოეზია", "ღირიკული მისამართები".

მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული  
ეს ჩემი ტვინი დასაქცევი, ტვინი ვერანი...

წვიმების შრიალით, მოწეული ხილის სურნელებით და მთვარიანი ღამეებით დასეირნობდა ნოემბერი თბილისის ქუჩებში. ჰაერი ზოგჯერ უძრავი იყო და სამხრეთით გადახრილი მზე ირიბულად აფრქვევდა ოქროს. ჩამუქებული ცა ღურჯ ხავერდივით ზეგადაკროდა თბილისს. ცასავით ღურჯი მტკვარი ჩუმად მოედინებოდა და მტრელები ფრთების ტკა-

ცუნით დანაეარდობდნენ ქალაქის ზემოთ. რძისფერ ბურუსში გახვეულნი ოდნავ მოჩანდა მამადავითი, ნარიყალა, მეტეხი.

ქუჩები მოფენილიყო მეწამული და ბაჯადლოსფერი ფოთლებით, რომელთა შორის ყველაზე უფრო გამოირჩეოდნენ ფართო თათებით გაშლილი ჭადრის ფოთლები. ბუნება, განაბული და განაზებული, თითქოს მოელოდა ზამთარს, რომლის მოახლოებული სუნთქვა იგრძნობოდა ღამის ჰაერში.

– ხეალ სანადიროდ წასვლას ვაპირებთ. უშენოდ წასვლა არ მინდა. – მითხრა პაოლომ, – წამოხვალ?

– რატომ მაინცდამაინც ჩველ?

– ხეალ შაბათია. კვირას ვინადირებთ და კვირასვე შინ დაებრუნდებით. რაიმე საქმე ხომ არ გაბრკოლებს? – ირონიულად მკითხა და ხელი მხრებზე მომხვია.

– სად მივდივართ, ვინ იქნება ჩვენს გარდა?

– სადახლოსაკენ მივდივართ. მოდიან ჩემი სიამამრი გიორგი ილიჩი, ძაღლების ცნობილი მწერთნელი ორბელიანი, მედიკიშიელი და ჩვენი პაჭუ ჟორდანი. ყველას ამათ შენ კარგად იცნობ. შესანიშნავი მსროლელი, რომელიც როგორც მოგეხსენება, თოფს სახლებსაც კი არ აცილებს.

– მოვდივარ!

– ღამეს ნაცნობ თათრის ოჯახში გაეთვეთ. კარგად მოგვასვენებს და ღროსაც კარგად გაეატარებთ.

– ერთი რამ მაშინებს...

– რა გაშინებს?

– პაჭუ ჟორდანიას და შენი ჩასვლა თუ შეიტყვეს, კაკბებს და კურდღლებს ვეღარ ვიხილავთ თვალით, დაფრთხებიან, გადაიხვეწებიან...

პაოლოს გავცინა:

– მით უფრო, – მიპასუხა მან, – თუ თვალი ისეთ სნაიპერს მოჰკრეს, როგორიც შენ ხარ...

მზე უკვე ჩასული იყო, როცა სადახლოს ჩავედით და ერთი თათრის კარმიდამოს მიუვახლოვდით. შუახნის გამხდარი და სათნო სახის კაცი ღიმილით შემოგვეგება და სახლში შეგვიპატიჟა. გადავეცით მისთვის წამოდებული საჩუქრები – კარგი თამბაქო და ჩაი. ნასიამოვნებმა მას-პინძელმა მადლობა ქართულად გადაგვიხადა, ძაღლები ჩამოგვართვა და სავახშმოდ მიგვიპატიჟა.

ნავახშმვეს იუსუფმა დიდ ოთახში მიგვიწვია, სადაც ჩვენთვის იატაკზე, რომელიც ჭილოფით იყო მოფენილი, უკვე ფართოდ გაეშალათ ლოგინი.

არაჩვეულებრივ მშვიდი და თბილი ღამე იყო. ვარსკვლავებით მორთულ ცაზე ამოწვილ ხმალივით ხშირად გაიფლებდნენ ხოლმე მეტეორიტები და ღებეღაჩაის შორი მხუილი ეალერსებოდა სმენას. ჰაერი გაფლენილი იყო ყველასათვის ნაცნობი, რადაც უხილავი კალიებისა და

მწერების განუწყვეტელი რუალით, რომელიც მჭკრეტელი ადამიანის ხელში გამოუთქმელ მარადისობაზე მეტყველ გრძნობას ბადებს.

ჩვენი ოსახის კარი პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ იღებოდა. იგი ნახევრად მიხურული დაეცოვით, რათა აღიონის პირველი სხივები არ აგვედნოდა. მე და პაოლო გვერდიგვერდ ვიწვიით, დაღლილებს მალე ჩაგვეძინა იმ აბნეული და ტყბილი ძილით, რომელიც მხოლოდ მონადირეებს და მოამსვლელებს ჩვევიათ. ჯერ კიდევ ძლიერ ადრე იყო, როცა გამოიღვიძა. აივანზე გაიქვლი, მთვარე უკვე ჩასული იყო. იკანკლედი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ჰაეროვან ფრთასავით იყო გაშლილი. წერილი და დიდი ვარსკვლავების სიმრავლით აესებული ცის აუზი თრთოდა, სუნთქავდა და თითქოს აპირებდა მთელი თავისი სიდიადით და მარად გამოუცნობი საიდუმლოებით დაშვებულიყო ძირს და ნუგუმის მოსანიჭებლად შეეხებოდა ადამიანთა იმედებით, ცოდვებით, სევდებით და სიკვდილთან ბრძოლით დაღლილ მიძინებულ დედამიწას... უცნაურმა გრძნობამ დამიმონა, დამათრო, დამაწვინა და ისევ ძილში გამრია.

კარის გაღების ჭრიალმა მე და პაოლო ერთად გამოგვაღვიძა. ორთავ გულადმა მწოლიარე აღმოჩნდით და ორივემ ერთდროულად გვახილეთ თვალი. აღმოსავლეთის ჯერ კიდევ მკრთალ, მაგრამ უკვე ვარდისფრად აღწვილ ფონზე, რომელიც კარის ვიწრო ჩარჩოში იყო ჩასმული, როგორც ჯადოსნურ მხატვრის სურათი, იდგა გოგონა. იგი 14-15 წლისა იქნებოდა, მეტიც არა, ფეხშიშველა, მსუბუქ კაბაში, რომელიც ნახად ეკვროდა მის უნაკლო ქალწულ ტანს, იგი იდგა გაღიმებული ჩვენს წინ, როგორც მომხიბლავი მოჩვენება, როგორც ოცნება ხორცშესხმული; ჯერ კიდევ არვისგან ხილული. ორთავემ თვალებში ხელი ამოვიხვიით, ერთმანეთს გადავხედეთ, ხელზე პაოლოს ურუნტელი ვიგრძენი... არასოდეს არც მანამდე, არც შემდეგ არ მიხილავს ასეთი სრულყოფილი მშვენიერება. ეს იყო გასაოცარი შერწყმა ჯერ კიდევ არასრული გაფურჩქანისა, ნაკეთების სინატიფისა, უმანკოებისა. მისი ნორჩი სხეული, მისი სინაზე უცნაურად ემთხვეოდა და უერთდებოდა ჯერ კიდევ მთვლეშარე ბუნების მშვენიერებას, ვარდისფრად მსუსთქავე ჰაერს.

ყოველივე ეს რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. შემდეგ მოჩვენება გაქრა. გოგონამ კარი ფართოდ გააღო, ფეხით შეასწორა კარი ან აკეცილი ჭილოფი, კვლავ გაგვიღიმა, შებრუნდა და აივანზე, სადღაც მახლობლად, ისევ ჭილოფზე მიწვა.

ერთხანს ამ სურათით თითქოს გაქეპავებულნი უძრავად ვიწვიით, ხმას არ ვიღებდით, ჩვენს ამხანაგებს ჯერ კიდევ ეძინათ. უეცრად, საწოლიდან ელვასავით წამოიჭრა პაოლო, დადგა გაღებული კარის ზღურბლზე და აღტყინებული ხმით დასძახა მძინარე მონადირეთა ბანაკს:

ამ ხანაგებო, უკვე გათენდა!..

იმ დღეს კარგად ვინაღირეთ, პაოლომ ოთხი კაკაბი და ორი კურდღელი მოკლა. მე — ორი კაკაბით მეტი. დანარჩენების ნაღავლი უფრო ცუდი აღმოჩნდა. აღმართში სიარული უჭირდათ პაოლოს სიმამრს და ორბეულიანს. ბეგრსაც აცილებდნენ — განსაკუთრებით კაკებებს. სხვებზე უკეთ შედეგს მაინც გამოციდილმა ძველმა მონადირემ შელოქიშვილმა

მიაღწია — სამი კურდღელი და ორი კაკაბი მოკლა. მთელი დღის განმავლობაში პაოლო მეტწილად დუმდა და შეკითხვებზე პასუხს მუნწად იძლეოდა. მე კარგად ვიცოდი, თუ რას ნიშნავდა მისი აბნეულობა და ღუმინი, ამიტომ არ ვაწუხებდი შეკითხვებით და საუბრით.

თბილისში გვიან ღამით ჩამოვედი. გამარჯვებულნი შინ შევედი. ჩენი “ტროფეები” მეზობლების დასანახად აივანის ბოძებზე ჩამოვკიდეთ, რათა თავიდან აგვეცილებინა მათი შაბლონური დაცივნები და შეკითხვები.

მეორე დღეს, ღამით, გულმკერდადაღვლილი, თმებაბურღული პაოლო შემოიჭრა ჩემს ოთახში და თავისი მშვენიერი “ღებეღაჩაის ღამე” წამიკითხა, რომლის მუსიკა, ამის მსგავსი ლექსი ჩვენ, ეგონებ, არც მოგვეპოვება: აი ეს ლექსიც:

საესე მნათობმა,  
როგორც გართობა,  
ისე გასტოპა  
ვარსკვლავთ ჩქერები  
და შუალამის მყუდრო მხატვრობა  
გაახალისა ვერცხლის ფერებით.

ნელი შერხვა  
იწყეს ვერხვებმა,  
შუქს ეხერხება მათთან თამაში,  
დიდი სიჩუმე უხმო მეხებად  
ჩაბუღებულა კლდის აკლამაში.  
სივრცე მდგარი  
გახდა ნეტარი  
მესამედ არი —  
ჟყივის მამალი,  
და სიღამაზის სულით შემთბარი,  
ჯერ გართულია ძილში ტრამაღი.  
დიღამ ზეციდან სხივი შეგვიჩინა  
და ჩაეცინა  
თითქოს ქვეყანას,  
როს ჩემს მაგიერ ტკბილად ეძინა  
მონადირეთა ღალღულ ბანაკს.  
ფიქრში წასული,  
შემოგარსული  
მოვსწყდი სასთუმარს  
სხივივით ჩქარი,  
ვხედავ, მასპინძელ თურქის ასულმა  
უკვე განთიადს გაუღო კარი.

შემომაცქერდა, გული აძგერდა,  
როგორც ასკერთა ბრძოლაში მიწა,  
შებრუნდა, როგორც თევზი, ფაცურთან  
და მოშრიალე ჭილოფზე მიწვა.

რა შექნა განა?

მთელი ქვეყანა

ულხინეს ნანას

წარმოადგენდა...

და გადაუძახე მძინარე ბანაკს, -

- ამხანაგებო, უკვე გათენდა!

ოცდათვრამეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც შენ აღარ ხარ,  
რაც შენი ხმა არ მომესმის და ვეღარა გხედავ! ჩემო უძვირფასესო, განუ-  
მეორებელო, ჩემო უსაყვარლესო პოეტო და ადამიანო!

ჩვენ არ ვშობილვართ ერთი დედისგან, მაგრამ, ჩვენ, ალბათ, ერთ-  
დროულად გაეახილეთ თვალი, რათა ერთნაირად დაგვესახა, ერთნაირად  
გვეგრძნო ეს, განგების ნაბოძები, დიადი სამშობლო. ალბათ, აგრეთვე  
ერთდროულად აძგერდა, ცემა დაიწყო ჩვენმა გულმაც, რათა შეძლებო-  
და მათ, რომ მის მცირე მოცულობაში დატეულიყო ჩვენი ქვეყნისა და  
ერისადმი ჩვენი სიყვარული და რწმენა - უსაზღვრო და უწმინდესი! -

ჩვენ ხომ ფიცად დავედეთ შემოდგომის წვიმიან ღამით, ქუთაისში,  
ბალახვანის ქუჩის ერთ მყუდრო სადარბაზოში, კუბოს კარამღმძიგვეტო-  
ნა შეუბღალაყად ეს სიყვარული და პირნათლად შევხედროდით ბედსა  
და სიკვდილს! ეს ფიცად შენ და ტიცვიანმა უკვე შეასრულეთ! ახლა ჯერი  
უკვე ჩემზეა!

ჰაოლო იაშვილი! ეს ჰაოლო, ვინც ასე ღირსეულად, ასე რაინდუ-  
ლად და ვაჟკაცურად ატარებდა ადამიანის ბრწყინვალე სახელწოდე-  
ბას, ვინც აღუღაბებდა ჩვენს ძმობას, ჩვენს ძაღალ მეგობრულ გრძნო-  
ბებს, ვინც ასე დაჰხაროდა ჩვენს პოეტურ მიღწევებს, და განიცდიდა  
მათ აღტაცებით, როგორც საკუთარ მონაპოვარს! დიახ, ეს ასე იყო.  
ასეთებს ვიცნობდი მე მათ, აქ არაერთთარ გადაამეტებას არა აქვს აღვი-  
ლი!

უზივარ ჩემს ოთახში განვლილი ოთხმოცდაათი წლის სიმძიმით  
ოდნავ დაღლილი და კეთიქრობ იმაზე, თუ რარიგ ადვილი ყოფილა, რარიგ  
შესაძლებელი, შეინარჩუნო ხელშეუხებელი ადამიანობა, გახადო იგი  
სათაყვანებელ საგნად და შეეწირო შენს ხალხს შენი სინდისით, შენი  
უანგარო სიყვარულით და პოეტური შთაგონებით გამთბარი!..

ჰაოლო, ჩემი ჰაოლო! ის ხომ უნახეს და უწმინდეს განცდათა მომ-  
ღერალი იყო! ეს ხომ მან უმღერა თავის სატროფოს:



სუ გეშინია, ჩემო კარგო, თბაში ჭალარა –  
ეს სინათლეა, სიყვარულს რომ შემატებია!

ამგვარ პოეტურ სიღრმეს მხოლოდ მაღალი რანგის პოეტები აღწევენ!  
ამგვარ სიყვარულს, მხოლოდ რჩეულნი განიცდიან ჩვენს ცოდვილ  
დღეღამისაზე, მაგრამ პოულობენ კი ისინი თანაგრძნობას!? ნიკოლოზ  
ბარათაშვილის შემდეგ მე არ შეგულება პოეტი, რომელსაც შესძლებო-  
დეს ასეთ სიმაღლემდე ასვლა ქალისადმი ტრუფიალში, ვიმედოვნებ, რომ  
კადნიერებად არ მიიხსევენ ამას თანამედროვე პოეტები.

შეუძლებელია დაევიწყოთ, თუ როგორ ტკივილს განიცდიდა პაო-  
ლო, როცა სიკვდილმა უდროოდ მოკვეთა ჩვენს წრეში ორი მოსიყვარუ-  
ლე: – შალვა კარმელი და სანდრო ცირეკიძე, რარიგ მწვავედ გადაიტანა  
მათი დაღუპვა, როგორი სიყვარულით დაიტირა ისინი!

მაგონდება პაოლოს ერთი უცნაური თვისება: ჩვენთან, უახლოეს  
მეგობრებთან შეხვედრის დროს, იგი ხშირად გეკოცნიდა ხელზე. უხერ-  
ხულ მდგომარეობაში ევარდებოდი თხოვნი. ის კი ღიმილით გეუბნე-  
ბოდა: “გაიხსენეთ, როცა შექსპირი ხედებოდა თავის უსაყვარლეს მეგო-  
ბარს დელვიგს, მას ხშირად ხელზე კოცნიდა“. არ ვიცი, რამდენად შეი-  
ცავს ეს ისტორიულ სინამდვილეს, მაგრამ ეს უკვე არ იწვევს ჩემში გაკ-  
ვირებებს: დიდბუნებოვან ადამიანს, ყვიქრობ, ეს არ ამცირებს, პირიქით,  
ამშვენებს კიდეც, თუმცა ცნობილ კრიტიკოსს ბრანდესს რატომღაც ვერ  
წარმოედგინა, თუ როგორ შეეძლო “ჰამლეტისა“ და “მეფე ლირის“ აე-  
ტორს მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა ვიღაც სტრატეგორდელ ყა-  
საბთან? მიკვირს, განა ეს სტრატეგორდელი ყასაბი მისი ბავშვობის მეგო-  
ბარი არ იყო? მან ხომ მასთან თავისი ბავშვობა გაატარა? და რომ დიდი  
ხნის განძორების შემდეგ შექსპირს მოფერებით მისთვის ხელზე ეკოცნა,  
განა ეს დაამცირებდა მას?

საკუთარი ლექსების წიგნი პაოლოს სიცოცხლეში არ გამოუცია, რა  
იყო ამის მიზეზი? უპირველეს ყოვლისა, მისი მკაცრი, დახვეწილი გემოვნე-  
ბა და დიდი მოთხოვნა, რომელსაც ის უყენებდა პოეტურ ქმნილე-  
ბას და, განსაკუთრებით, საკუთარ შემოქმედებას, შემდეგ ამისა, ნაწი-  
ლობრივ მისი დაუდევრობა. საჭიროა გავითვალისწინოთ ისიც, რომ  
პაოლო დიდ ენერგიას ხარჯავდა ყოველდღიურ ცხოვრებასთან ბრძო-  
ლაში, რათა ოჯახი შეენახა. მე არაერთხელ მინახავს “პოეზიის“, “წერი-  
ლი დედას“, “ღებდენაის ღამისა“ და “ღირიკული მისამართების“ ავტო-  
რი ძალზე დადლილი, დაქანცული ამ ბრძოლით... მოსკოვიდან გამოგ-  
ზავნილ წერილში პაოლო მწერდა:

ძმაო, მომწერე ისეთი რამე,  
ჰქონდეს ჩვენს ბაღში საუბრის ფასი:  
ჩემს საღვებრძელოს თუ ისევ სვამენ,  
ჯერ თუ მთელია საჩემო თასი,  
თუ გამოაკლდა ვინმე ჩვენს ცამეტს  
და პოეტების დაინგრა დასი?

საყვარელო პაოლო, ჩვენი საუბარი სამარადისოდ შეწყვეტილია. პოეტების დასი დაინგრა, აღარ არსებობს; იგი ჟამთა არაკანონზომიერმა სელამ შეიწირა, მხოლოდ, საეკლალოდ, მე და სერგო დაერჩით. სხვებმა დატოვეს ჩვენი ძმური მაგიდა, მათი სკამები ცარიელია. მაგრამ, შენს სადღევრძელოს ისევ სვამენ შენს მიზიურ სამშობლოში, ჩემო ძვირფასო! ისევ ღვინით საკსეა საშენო თასი, პირამდე საკსეა იგი! მხოლოდ ეს თასი ახლა ჩემს ხელთ არის, ჩემო დაუვიწყარო ძმავო, და მას მე, შენთან შეუიცვული ძმა, უკანასკნელ წვეთამდე შეგვკამ!

მწუხარე, საბედისწერო დილით, თავდახრილი და მგლოვიარე შორიანლო მიყვებოდი პაოლოს ცხედარს სასაულაოზე. ასევე თავდახრილი და თვალცრემლიანი მივდივარ გაზაფხულზე დიდუბის პანთეონში და ეტოვებ მის საფლავზე ბროწეულის ყვავილს, რომელიც მას ასე უყვარდა.

1963

## ✓ მოგონების ფურცალი

1927 წელი. ჩემი მეგობრები და მე ზაფხულს თბილისში ვატარებთ, ერთმანეთთან ვიკრიბებით, უერთმანეთოდ ვერ ვძლებთ.

ჩვენი მეგობრობის ლოტბარი, პაოლო იაშვილი, ხშირად გვიწვევს სახლში და გვიმასპინძლდება არგვეთიდან ჩამოტანილი ღვინით. მისი მამა, ბატონი ჯიბრაელი – ახოვანი, ლამაზი, არაჩვეულებრივ დარბაისელი, სტუმართმოყვარე ადამიანი – ხშირად ართმევს თამაშობას თავის ვაჟს და ბრწყინვალედ უძღვება სუფრას. ზოგჯერ იგი ოდნავ მოწყენილია. რაღაც სევედა გაიქვებს მის თვალეებში, რაღაც გამოუთქმელი დარდი... ალბათ ესეც იმ უღმობელი არდავიწყების შედეგია, რომელსაც შეუპყრია ამ დარბაისელი ვაჟკაცის გონება. ვინ იცის!.. მაგრამ იგი იმდენად ზრდილია, რომ წამითვე ისევ სათნო დიმილს სთავაზობს შეკრებილ პოეტებს.

უნებლიეთ განსვენებული შალვა დადიანი მოგაგონდებოდათ:

იგივე არისტოკრატიული თავდაჭერა, იგივე თავაზიანი საუბარი, იგივე თითქოს უდარდელი ღიმილი. ღიმილი!.. ადამიანის სახის მოძრაობათა შორის ეგ ხომ ყველაზე სრულყოფილი საშუალებაა გრძნობათა გამოსახვისათვის!

... ჩემი კარის მეზობელი პაოლო იაშვილი, მისი მეუღლე თამარი და ტიცვიან ტაბიძე მეუღლითურთ შემოვიდნენ ჩემთან.

– წავიდეთ, – მითხრა ტიცციანმა, – ანდრეი ბელი მოვიწვიე, პატივი უნდა ვცეთ, მაღე წასვლას აპირებს. წავიკითხოთ ჩვენი და ანდრეი ბელის ლექსები, გაუხარდება.

სიხარულით დაეთანხმდი. მახსოვს, მოღრუბლული დღე იყო, არ ცხელოდა. საგნები შეუცვლელნი, თავიანთი ბუნებრივი ფერებით და კონტურებით ჩანდნენ.

– შენი სათაყვანებელი ლეონარდოს დღეა, – მითხრა პაოლომ. – მას ხომ ასეთ დღეს უყვარდა ფუნჯის ხელში აღება.

– რად გაგახსენდა ლეონარდო?

– არ ეიცო რად. ალბათ იმიტომ, რომ შენ ასე გიყვარს. მე კი უფრო მზიან დღეს შეეხარია...

– მოღრუბლული დღე მეტ მყუდროებას იძლევა, – ღიმილით უპასუხა ტიცციანმა.

სასტუმროში ანდრეი ბელის გაეუარეთ. მიწიშეილი მოედანზე გველოდებოდა. მან გეაცნობა, კალერიან გაყრინდაშეილი უქეიფოდ არის და მოსვლა არ შეუძლიაო. ტიცციანის ბინისკენ ხელი ნაბიჯით გავემარეთ.

ალექსანდრე ჭაქვაქაძის ქუჩას მიეუახლოვდით. სურათის გადაღება მოგეინდა. მოულოდნელად სანდრო შანშიაშეილი შემოგვხვდა და მოისურვა ჩვენთან სურათის გადაღება. სე-გო-კიუს ფოტოგრაფიაში შევედით და სურათი გადავიღეთ.

– ბორის ნიკოლაევიჩ, – მიემართე მე ანდრეი ბელის, – თქვენ, ეგონებ, სურათის გადაღება არ უნდა გიყვარდეთ...

– არა, როგორ გითხრათ, მაინცდამაინც არა... გააჩნია – სად, როდის... ახლა, მაგალითად, დიდი სიამოვნებით გადავიღე თქვენთან სურათი.

ეუახლოვდებით ტიცციანის ბინას, გრიბოდოვის ქუჩაზე. ანდრეი ბელი და პაოლო იაშეილი დაწინაურდნენ და რადაცაზე გაცხოველებით საუბრობდნენ. ხშირად შეჩერდებოდნენ და ჩვენს მოსვლას ელოდნენ. არ ეიცო, რა იყო მათი საუბრის საგანი.

დაუეიწყარია ის დღე, ტიცციანის ოჯახში გატარებული. თამადა ტიცციანი იყო. ბელიმ გეთხოვა, წაგვეკითხა ჩვენი ლექსები. გამახვილებული ყურადღებით გეისმენდა და გეთხოვდა ზოგჯერ განმეორებით, ნელა წაგვეკითხა უკვე წაკითხული ლექსი.

– მინდა რაც შეიძლება ღრმად შევიგრძნო ქართული ლექსის ყდერადობა და წყობა ქართული ლექსისა, – თქვა მან.

განსაკუთრებული მთაბეჭდილება მოახდინა მასზე ტიცციანის თავისებურმა ლექსის კითხვამ. კერძოდ, ლექსმა “მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“. ამ ლექსის ორი უკანასკნელი სტრიქონი: “მე ყაჩაღებმა

მომკლეს არაგვზე, შენ ჩემ სიკვდილში არ გიდეეს ბრალი“ ტიციანმა სამჯერ გაიმეორა ანდრეი ბელის თხოვნით. ბელიმ დაიზეპირა ეს ორი სტრიქონი და კარგადაც წაიკითხა. მხოლოდ სიტყვას “ყაჩაღებმა“ ასე კითხულობდა – “კაჩაგებმა“.

– Что вам, Борис Николаевич, особенно понравилось в этих стихах? – შეეკითხე მე.

– Вот, динамика, фонетика стиха! Смотрите, какая нарастающая динамика! А чередование гласных и согласных... Прекрасно, незасветимо! Вспомните “Обвал” Пушкина: ... И всю теснину между скал

за-го-ро-дил!

ეს სიტყვა დამარცვლით და ხელის რიტმული ქნევით წარმოთქვა.

პაოლომ წაიკითხა “წერილი დედას“ და “წითელი ხარი“, მე – პატარა ლექსი “მთვარის წყალობა“ და “დავიწყებული ფონები“.

ბელი ღვინოს საერთოდ ცოტას სვამდა, მაგრამ ახლა აღტაცებული იყო და პატარა ჭიქაში, რომელიც მას ნინომ საგანგებოდ დაუდგა, ღვინოს აღარ ტოვებდა.

– ახლა მისი ლექსები წაიკითხეთ, – მოგეშარათა ნინო ტაბიძემ.

პაოლომ წაიკითხა ერთი ლექსი (აღარ მახსოვს რომელი, ვგონებ “Вспомни“). ტიციანმა, უკვე შეზარხოშებულმა, ტრაგიკული ხმით წაიკითხა ლექსი: “Друзьям“:

Золотому блеску верил,  
А умер от солнечных стрел,  
Думал, вска измерил,  
А жизнь прожить не сумел.  
Сжальтесь над мертвым поэтом...

მე წაიკითხე მისი ორი შესანიშნავი ლექსი “Родина“ და “Из окна вагона“.

ბელი თავჩაქინდრული, გაუნძრევლად ზის და გვისმენს. ერთი ხელით თვალებს იფარავს. შემდეგ იგი დგება და თვალცრემლიანი გვეხვევა, გვკოცნის.

დიდხანს გაგრძელდა ჩვენი სერობა...

1967

## “კოეზიის დღე“

...“საღა ხართ, ძმებო, მეგობრებო,  
გულის სიმებო?!“

ერთ დღეს, ჩემთან შეკრების შემდეგ, ქუთაისის მყუდროებით მოცულ ქუჩებს ვეწვიეთ. გაზაფხულის შესანიშნავი გვიანი საღამო იყო. ცოტა ხანს ცრიდა, მაგრამ მალე გადაიღო და ცა მოციმციმე ვარსკვლავებით მოირთო. ხანმოკლე ხეტიალის შემდეგ მოგვიინდა მყუდრო სადარბაზოში ჩვეულებრივ ღამის გათევა. არ გვსურდა განშორება. პოეზია მთელი თავისი სიდიადით და ღვთაებრივობით იპყრობდა ჩვენს სულს, ათბობდა უხილაკი ცეცხლით ჩვენს მეგობრობას, ასპეტაკებდა გულისცემას. და თვით ბედნიერებას თვალთ ხილულს ხდიდა... ჩვენ ხომ ასე გვიყვარდა ქუთაისის მყუდრო და ღრმა სადარბაზოები, რომელნიც ესოდენ კარგად გვიცავდნენ ქარისა და წვიმისაგან და თავისებურ განწყობილებას ქმნიდნენ.

ამოვარჩიეთ ერთი ღრმა სადარბაზო კათოლიკეთა ეკლესიასთან, სანდრო ცირეკიძის ბინის მახლობლად. ისევე სახლში დაბრუნება მომიხდა, რათა საჭმელი და ღვინო წამომეღო. თან ვანო ყიფიანი მახლდა (მას ჩვენ ალერსით “ივის“ ვეძახდით). ზენა ქარი ამოსელას იწყებდა და უბინაო ძაღლები ქუჩებში დაძრწოდნენ.

— ჩვენ დღეს ერთი რამ უნდა გადავწყვიტოთ, — გვითხრა პაოლომ, — იმედი მაქვს, მოიწონებთ ჩემს აზრს და შეეძლებთ მის განხორციელებას.

— რა აზრს? — შეეკითხნენ ერთხმად სანდრო და ვალერიანი.

— ახლავე გაცნობებთ...

— წინასწარ ვიწონებთ და გეთანხმებით, — თქვა შალვა კარმელმა, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა იყო. მას მეტად ღამაჯი, შვლის ნუკრის მსგავსი თვალები ჰქონდა. მორცხვი, მორიდებული და ნიჭიერი პოეტი იყო. ყველას გვიყვარდა.

— ჯერ მაინც ყელი გავისელოთ, ვიდრე საქმეს შევუდგებოდეთ, — თქვა პაოლომ.

ღვინო დაკლიეთ. მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა. ქარი უკვე გააფთრებდა უტყედა ქუჩებს, ახმაურებდა ფანჯრებსა და

დარაბებს, ებრძოდა ხეებს და შორს გაჰქონდა მათი ჯერ კიდევ ნორჩი, ახლადგაშლილი ყოთლები.

— ახრად მომივიდა გაზეთის გამოცემა, რომელსაც...

— გაზეთის? — შევეკითხეთ ჩვენ. — ამას ხომ დიდი თანხა დასჭირდება!

— ...რომელსაც, — განაგრძო პაოლომ, — “პოეზიის დღე” უნდა ეწოდოს.

— “პოეზიის დღე”?..

— დიან, “პოეზიის დღე”, სადაც წარმოდგენილნი იქნებიან ქართველი პოეტები ახალი ლექსებით და რომელიც ხათლად გამოაქვს ჩვენი პოეზიის მდგომარეობას. ამას არც იმდენად დიდი თანხა დასჭირდება, როგორც თქვენ ფიქრობთ. იგი ხომ წელიწადში ერთხელ უნდა გამოვიდეს. მე და კოლაჟ ამას შევძლებთ. დარწმუნებული ვარ, დაგვეხმარებიან ისინიც, ვისაც ქართული პოეზია უყვარს.

ჩვეურობად მოვიწოდებთ ეს ახრი. ყველანი აღგვაფრთოვანა გაზეთ “პოეზიის დღის” გამოცემის იდეამ.

— ჯერ არასდროს არც ჩვენში, არც არსად ასეთი გაზეთი არ არსებულა, — თქვა ვალერიან გაფრინდაშვილმა.

— შესანიშნავია, ბრწყინვალე ახრია, — ამბობს სანდრო ცირეკიძე. იგი ჩვენს შორის სიღინჯითა და თავმჯეკებელი ენთუზიაზმით გამოირჩეოდა.

ღამე სადარბაზოში გაეატარეთ. ოღნავ შეზარხოშებულებს კვირადღე თაღს დაგვათენდა და კათოლიკური ეკლესიის ხარების რეკამ გამოვკადვითა. სახლის პატრონებს ალბათ ჯერ კიდევ ეძინათ, რადგან სადარბაზოს კარი არ გაღებულა, არავინ გამოსულა, არც არვის დაუხახხივართ. იმავე დღეს, საღამო უამს ნიკო ლორთქიფანიძეს ვეწვიეთ. მან ძლიერ მოიწონა ჩვენი განზრახვა. დახმარების გასწევა დაგვირდა და გვითხრა:

— შევეცდები სხვებიც ჩაება ამ საქმეში. უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, მწერლები და მოწინავე პედაგოგები. ეეტყვი დაეით კლდამშვილს, ფანცხავას, გარსევანიშვილს, იოსებ ოცხელს და სხვებს...

ნიკო ლორთქიფანიძემ შეასრულა თავის დაპირება. თანხა შეგროვდა, გაზეთის გამოცემისა და დაბეჭდვის ნებართვა მივიღეთ და ყველანი გაზეთისათვის საჭირო მასალების შეგროვებას შეუდგეთ. ამას არც ისე ცოტა შრომა დასჭირდა. ტიცციანი და გალაკტიონი რუსეთში იყვნენ. ეს გარემოება საკმაოდ ართულებდა საქმეს. მაგრამ ყოველივე დაბრკოლება გადალახულ იქნა და ახლადშობილი გაზეთი — “პოეზიის დღე” 26 მაისს უკვე ხელში გვეჭირა. ეს დიდი დღესასწაული იყო ჩვენთვის. ამ ამბის აღსანიშნავად მვიგნობარმა ისიდორე კვიციანიძემ მოგვიწვია ქართველი მწერლები და მოწინავე საზოგადო მოღვაწეები, რათა გადაეღო ჩვენი ერთობლივი სურათი, რომელიც აქ არის წარმოდგენილი.

ამ სურათზე არ არის პაოლო იაშვილი: იგი იმ დღეს თავის სოფელში მამასთან ერთად წასულიყო. ქუსთაისში სამწუხაროდ არ იმყოფებოდნენ იმ დღეს არც ვანო ყიფიანი და შალვა კარმელი.

გაზეთი “პოეზიის დღე” მას შემდეგ ყოველწლიურად გამოდიოდა.

1922 წელს კი მისი უკანასკნელი სომერი გამოვიდა. ასეთი გახლავთ “პოეზიის დღის” მოკლე ისტორია.

# ნილო ტაბიკა

## ტიციანი და მისი მებოზრები

...ერთხელაც გაქვევებული შეეჩერდი აფიშასთან, რომელიც ცისფერყანწელი პოეტების საღამოზე გვეპატიებოდა.

ჰოდა, მე და ჩემი მეგობარი, აბა ამ თავყრილობას როგორ დაეაკლდებოდით.

ამ საღამოს ტიციანი აწ დასწრებია - მოსკოვიდან ჯერ არ ჩამოსულიყო.

ცისფერყანწელთა საღამო კონსერვატორიაში გაიმართა.

სცენაზე ფარჩაგადაფარებული მაგიდა დგას, მაგიდაზე - ოცი ჭიქა წითელი ღვინო. მაგიდას უსხედან: შუაში - წითელ ქულაჯაში გამოწყობილი პაოლო. თვალები უცნაურად უელავს; მის გვერდით ერთ მხარეს კოლაუ ზის, სახე თითქოს ქვისაგან აქვს ნათალი. მეორე მხარეს - თაღხებში შემოსილი თმახუჭუჭა ვალერიანი. ჭკვიან თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. უმანკო ქალივით იღიმება. აქვეა ღელი ჯაფარიძე, ცისფერი პერანგი აცვია, ყელს მარჯნისფერი ბაბთა უმშვენებს, უცნაური სანახა-ვია. შალვა კარმელს ფერმკრთალი, ნაღვლიანი სახე აქვს...

სკამებზე იების ზღვია. დარბაზში-ცვივა და ცვივა იები.

მაგიდაზე თითოეულის წინ წითელი ღვინით სავსე ჭიქა დგას.

საღამო პაოლო იაშვილმა გახსნა, ლექსებიც პირველად მან წაიკითხა. დიდებულად კითხულობდა, ალტკინებით, გატაცებით. გეგონებოდათ, დარბაზს ფრინველები შეესივნენო.

ვალერიანი შეცბუნებული, დაბნეული, დამფრთხალი კითხულობდა ლექსს ოფელიაზე, ასეთი კითხვა იცოდა მუდამ, თითქოს საკუთარი თავისა ეშინოდა.

ღელიმ სიმღერ-სიმღერით წაიკითხა "ლინდარიდან დერეზიდან".

გამოვიდა შალვა კარმელიც.

ნაზად, მღელვარებით კითხულობდა კოლაუ ნადირაძე. ხმაც ნაზი ჰქონდა და გულში ჩამწვდომი. ხანდახან წაიფორხილებდა, ჩერდებოდა, ლექსი ავიწყდებოდა, მხრებს იწურავდა და შემდეგ ისევ აგრძელებდა.

ობივატელები თითოეულის გამოსვლას აღშფოთებული შეძახილებით ხედებოდნენ, მაგრამ პოეტები ამას აინუნშიც არ აგდებდნენ. ახალგაზრდობა ხომ მათ მხარეზე იყო. პაოლო აბობოქრებულ ხალხს მშვიდად არწმუნებდა, დღეს თუ ხვალ მაინც მოგიხდებათ ამ ახალი ხელოვნების შეყვარებაო. უზომოდ სჯეროდა თავისი თავისა.

მე და ჩემი მეგობარი თამარი შინ მოხიბლულები და აღფრთოვანებულიები დაებრუნდით. მივიღო დით და თან გვეშინოდა, ვინმეს ჩვენი ოცნების კოშკები არ დაენგრია. გზაში ვიდაც დაგვედგინა, მაგრამ უხეშად მოვიშორეთ თავიდან. იდგა დიდებული თბილისური ღამე: ცა არემარეს სასწაულებრივ ნათელსა ჰყენდა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

ამიხდა ნატვრა: იმ საღამოს შეეხვედი პოეტებს, რომლებიც ჯერ კიდევ პანსიონში შევიყვარე.

მერე ისევ დამეკარგნენ თვალთაგან, მაგრამ გავიდა ერთი წელი და ისინი ჩემს ძმებად და მეგობრებად იქცნენ. ცისფერყანწელები ახლოს გავიცანი, განსაკუთრებით პაოლოს დაუუმეგობრდი, რომელმაც პირველ შეხვედრისთანავე მომახალა, მეგობრობაში აეთანდილობის გაწვევა ძალმიძსო. მაროლაც, მისმა მეგობრობამ ჩემთან და ტიცციანთან, საესე-ბით დაადასტურა ეს სიტყვები.

ყოველ საღამოს ეხედებოდი ერთმანეთს. პაოლოს ფართეფარფლებიანი ქუდი ამშვენებდა, ოღნაე მხრებში წახრილ ტიცციანსა და მე წითელი პალტოები გვეცვა.

...ერთ მშვენიერ დღეს ტიცციანმა მთხოვა, შაითან-ბაზარში გაველოდი. დიდი ხანია მინდოდა აქლემების ნახვა. იმხანად შაითან-ბაზარში აქლემების ქარავნები ჩამოდიოლნენ.

იქვე, სიონთან, ერთ მოსახვევში, პირდაპირ ქუჩაში, ხალიჩებს შლიდნენ ხოლმე. ძალიან მიკვირდა. არ ვიცოდი, რაში იყო საქმე. შემდეგ ხანდრო ყანჩელმა ამიხსნა: თურმე ნუ იტყვით, ახალ ხალიჩას რაც უფრო მეტი ფეხი მოხვდება, მით უკეთესია.

იმ დღეს ტიცციანმა სამი დიდი-ბროწეული მიყიდა, თან შემატყობინა, კაფე “ინტერნაციონალში” ჩემი ქუთაისელი ამხანაგები გველოდებიანო.

იქითკენ გავემართეთ.

კაფეში რომ შევედი, აქეთ-იქიდან მოგვაძახეს: მოვიდნენ, მოვიდნენ. პიერო და კოლომბინა მოვიდნენ.

ჯერ ვერ გავიგეთ, რას ამბობდნენ, ყველაფერს მაშინ მივხვდით, როცა პაოლო ესტრადაზე ავარდა და წკრიალა ხმით ექსპრომტი შემოგვძახა:

ატირებული პიერო სნეული დაგვიბრუნდება  
და მერე შაითან-ბაზარში მონახავს მუდრო  
ბინასა,

შეიყვანს, როგორც ტაძარში  
ფერწასულ კოლომბინასა.

პაოლომ პაპიროსის კოლოფზე წაწერილი ექსპრომტი გადმოშვა. მას შემდეგ კოლომბინა შემარქვეს. ზოგიერთებმა ჩემი ნამდვილი სახელი არც კი იცოდნენ.



ერთხელ მე და ტიციანი რუსთაველის პროსპექტზე მივსვირნობდით, შეეხაროდით მზესა და გაზაფხულს. უცებ ერთი მაღალი მოხუცი შეენიშნე, სიკეთეს აფრქვევდა ირგვლივ. აღელვებული შეეჩერდი. ტიციანს ხელი წაველე:

— ვინ არის ის კაცი?

ამ დროს მოხუციც მოგვიახლოვდა. გაგვიღიმა და ტიციანს ხელი ჩამოართვა. ეს კაცი ოვანეს თუმანიანი იყო.

მეგონა, საკუთარი მამა ვიპოვნე-მეთქი.

შემდეგ ჩვენ თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩემი პირველი შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაამდიდრა ოვანეს თუმანიანთან ახლო ურთიერთობამ. იგი პოეტების არც ერთ შეხვედრას არ აკლდებოდა, არაჩვეულებრივი გამოსვლა იცოდა. ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდა, მეგობრული სულისკვეთება ისადგურებდა. სიხარულსა თუ ჭირში იგი მარად კეთილ სულად გვევლინებოდა ხოლმე.

ქართული ჩაიხანა მხატვრების ნაესაყუდელი იყო. აქ ხშირად შეხვდებოდით ლაღო გუღიაშვილს, ღავით კაკაბაძეს, დიტო შევარდნაძეს, იაკობ ნიკოლაძეს, მსახიობებს: ვასო აბაშიძეს, ვერიკო ანჯაფარიძეს, თამარ ჭავჭავაძეს, რეჟისორებს — სანდრო ახმეტელს, ალექსანდრე წუნაევს და სხვებს.

ჩაიხანაში უმეტესად ქალები მორიგეობდნენ, მათ შორის ქეთევან მესხიშვილიც. ცნობილი მსახიობის, ლაღო მესხიშვილის რძალი, ოთხშაბათობით გახლდათ მორიგე. ქეთევანი პაოლოს მოსწონდა ძალზე და ერთ ოთხშაბათს ექსპრომტი დაუღო მაგიდაზე:

Перемѣнчива судьба,  
И изменчив этот свет.  
Вы теперь жена министра,  
Я влюбленный в Вас поэт.  
Я забыл, забыл ненастье,  
Улыбается сьрья,  
Четверги дают мне счастье,  
Вы — царица четверга.

ორი კვირის განმავლობაში ქეთევანი ჩაიხანაში არ გამოჩენილა, მოვიდა თუ არა, პაოლომ მაგიდაზე ისევ დაახვედრა ლექსები.

Два четверга ходил без цели  
И одиноким приходил.  
И только где-то тихо пели  
Благоухания кадил.

И только раз, мельком с трамвая,  
Улыбку бросили Вы мне,  
И даже нежность горнистая  
Ко мне ласкалась в тишине.

გავიდა დრო.

ერთხელ ტიციანი, პაოლო და მე წყნეთის ქუჩაზე მივსეირნობდით, ანაზღად ეტლმა ჩაგვიქროლა. ეტლში ქეთევანი იჯდა. ტიციანმა თვალი გააყოლა და პაოლოს ექსპრომტი უთხრა:

Переменчива судьба,  
И изменчив этот свет.  
Вы теперь жена экс-министра,  
Я — разлюбивший Вас поэт...

პაოლო მეტისმეტად კეთილი, გულღია კაცი იყო. უსაზღვროდ უყვარდა ადამიანები.

გულცივად მათხოვარს გვერდს ვერ ჩაუელიდა. ერთი გლახა უყვარდა ეგზომ — ლეონტი კაჩერგა. მასზე საინტერესოდ მოგვეთხრობს შალვა აფხაიძე თავის მოგონებებში. უნდა გენახათ, როგორ იტანჯებოდა პაოლო თუ კაჩერგასთან შეხვედრის დროს ჯიბეში გროში არ ებადა. ერთხელ მეფისნაცვალის ყოფილ სასახლესთან, ამჟამად პიონერთა სასახლესთან მივსეირნობდით. დიდებული საღამო იყო. მთვარე სხივებს ჰფენდა არემარეს. გვერდით ჭადრები მიგვაცილებდნენ. ანაზღად წინ კაჩერგა აგვესვეტა: პაოლო აღელდა, რადგან ფული არც ერთს არ გექონდა. პაოლომ მაშინვე შლაპა მოიხადა, გამეღეღებს გაუწოდა და წაიმღერა:

“აჩუქეთ ხელმოკლე პოეტს კვარტი ღვინისათვის”

ქუჩაში ზღვა ხალხი ირეოდა. გამეღეღები იღიმებოდნენ და ქუდში ფულს უყრიდნენ, გროშებს კი არა, მანეთიანებს.

ოცი წუთის შემდეგ ქუდი პირთამდე აივსო, პაოლომ ფული მათხოვარს გადასცა. რამდენჯერმე გაიმეორა ეს. ერთხელ ლეონტი კაჩერგა თავის სარდაფშიც კი მოინახულა. იქიდან აღელვებული დაბრუნდა. შემდეგ დაწერა მოთხრობა “ფერადი ბუშტები”.

ნიჭიერი, ახალგაზრდა ქართველი მხატვრები სასწავლებლად საზღვარგარეთ მიემგზავრებოდნენ. მათ შორის იყვნენ ლადო გულიაშვილი და დავით კაკაბაძე. ფული, რაღა თქმა უნდა, არ ჰქონდათ და მათ დასახმარებლად ახლანდელ გრიბოედოვის თეატრში საღამოს გამართვა გადაეწყვიტეთ.

მაგიდები მაყურებელთა დარბაზში გაეაწყვეთ, ბილეთები ძვირად ღირდა. ასი კაცი მაინც შეიკრიბა. თამადად პაოლო აირჩიეს. შეუღარებელი თამადა ბრძანდებოდა. თითქმის ყველას ექსპრომტით მიმარ-

თავდა. ლექსებს ნიაღვარივით აფრქვევდა. ეს ჭეშმარიტი პოეტური ფეი-  
ერვერკი გახლდათ. სათითაოდ ეუბნებოდა, ვის რამდენი უნდა გაეღო.  
მსხვერპლს აღაფრთოვანებდა მისი სიტყაბუკე, სილამაზე, ნიჭი, სიამო-  
ვნებით აძლევდნენ იმდენ ფულს, რამდენიც პაოლოს სურდა. მხოლოდ  
ერთი ახალგაზრდა შეეკამათა მოსწრებულად:

Паоло, какие нежности  
При нашей бедности!

მთელმა დარბაზმა გადაიხარხარა. იცინოდა თამადაც.

პაოლოს გრიბოედოვის ქუჩაზე სეირნობა ყველაფერს ერჩია. პოე-  
ტები ზემოთ, რუსთაველის პროსპექტზე ჩამომაველი ბილიკის თავში  
აკრიბებოდნენ. პაოლი ხმამაღლა კითხულობდა ლექსებს და ქუჩაც ეპა-  
სუხებოდა. ეს ძალზე ეფექტური მოსასმენი იყო, მაგრამ ახლომახლო  
მაცხოვრებლები ცოფებს ყრიდნენ, რადგან პოეტების წყალობით ძილი  
და მოსვენება არ ჰქონდათ.

იღებოდა ფანჯარა და ვიღაც გაჰკიოდა:

— რას სჩადით! ბოლოს და ბოლოს დაგვაძინებთ თუ არა?!

პაოლო უარესად აყვირდებოდა:

— ექსპერიმენტებს ვატარებთ!

— ეგ ექსპერიმენტები უძილო დამეებად გევიდის...

ამჯერად სასწრაფოდ გავეცალეთ იქაურობას, მაგრამ რამდენიმე  
ღლის შემდეგ კვლავ იქ გავჩნდით.

“ექსპერიმენტების“ შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად მივეშურებოდით ეოზ-  
ნესენსკის ქუჩისაკენ, ოვანეს თუმანიანთან. იქ კვლავ ვიწყებდით ლექსე-  
ბის კითხვას, რომელიც ყვირილში გადადიოდა.

— უწმინდესო ოვანეს, ნება მოგვეცით, გაქოთ და გადილოთ!

აივანზე ნახევრად მძინარე ოვანეს თუმანიანი გამოვიდოდა, წმინ-  
დანის სახე ჰქონდა, საოცრად კეთილი ღიმილი. გვესალმებოდა და შინ  
გვეპატიუებოდა ხოლმე. მაგრამ ჩვენ ადგილიდან ფეხს არ ვიცვლიდით.

— ჩვენ, პოეტები, თქვენი მეგობრები, ბედნიერები ვართ, რომ გნა-  
ხეთ, სიყვარული გვინდა გამოვხატოთ და დასაძინებლად მშვიდად წავი-  
დეთ. — შერე ვემშვიდობებოდით და იქაურობას გავეცლებოდით.

ხანდახან მაინც ავიდოდით ხოლმე ზეგით, მის საოცრად სურნე-  
ლოვან ოთახში. იგი მაგიდის თავში გამოიჭიმებოდა პატრიარქივით.  
ჩვენ გარშემო შემოვუსხდებოდით ბუხარს. ბუხარში რაღაც ქაღალ-  
დებს შეაგდებდა და ეს არომატული სუნიც იქიდან იფრქვეოდა.

ერთხელ, სოლოლაკში მივდიოდი. ახლანდელი გასტრონომის ად-  
გილას პირველი გილდის ვაჭრების დიდი რესტორანი იყო. ვხედავ რეს-

ტორნიდან ჩასუქებული ვაჭრები გამოიბიან, უკან კი პაოლო, ტიცინი და ლელი მოსდევნენ და ყვირილით იკლებენ არემარეს.

— მისცხე სპეკულანტებს!

მათი სიტყვები პაპიროსის გამყიდველმა ბიჭებმაც აიტაცეს და ვაჭრებს მოთელი ჯგრო დაედევნა.

რა მოხდა, დღესაც არ ვიცი.

...“ფანტასტიკურ ღუქანში“ გამართული ერთ-ერთი საღამო ხლებნიკოვის შემოქმედებას მიეძღვნა. გამოვიდა პაოლო იაშვილი და წაიკითხა თავისი ლექსი, ხალხს კი განუცხადა, ეს ხლებნიკოვის გამოუქვეყნებელი ლექსიაო. დიდი წარმატება ხვდა წილად. ტაში არ ცხრებოდა. ჩვენ კი სიცილით ვიზოცებოდით.

იმ საღამოს საშინელი ხელება ამიტყდა. სანდრო ყანჩელი შემფოთდა და მთხოვა, შინ წავსულიყავი, წასვლამდე გადაეწვიტეთ, სურათი გადაგედო. ამ ფოტოსურათს დღესაც სათუთად ვინახავ. მასზე აღბეჭდილია ახალგაზრდა ტიცინი, პაოლო, სანდრო ყანჩელი და მე.

ახალგაზრდა მწერალმა ანა ანტონოესკაიამ, ცნობილი რომანის “დიდი მოურავის“ ავტორმა, ჟურნალი “ბ“ დააარსა. ამ ჟურნალის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო სერგეი გოროდეცკი. ჟურნალში იბეჭდებოდა ტატიანა ვენერკას, ნინა ლაზარეევის, გოროდეცკის, ანტონოესკაიას, გორდეევის, ტიცინის, პაოლოს, ვალერიან გაურინდაშვილის და სხვა პოეტების ლექსები. რედაქციაში ეწყობოდა საინტერესო ლიტერატურული საღამოები: ვისმენდით და ვარჩევდით ახალ ლექსებს. ამ ჟურნალში დაიბეჭდა ლექსი “კოლომბინა“, რომელიც პაოლომ მე მიძღვნა (თარგმნა სერგეი გოროდეცკიმ).

პაოლომ ეს ლექსი კონსერვატორიაში გამართულ საღამოზე წაიკითხა და გოროდეცკიმ მაშინვე თარგმნა.

საღამოს შემდეგ ქუჩაში გამოვედით. ფული არც ერთს არ გექონდა და აბა სადუნდა წავსულიყავით?! პაოლომ ცხელ-ცხელი ქართული პური და მჟაჟი კიბრი იყიდა. შუა პროსპექტზე გაზრთი გაეშალეთ და ვახშამს შევექვით. მთელი ღამე ასე ვიჯექით, ხმამაღლა ვკითხულობდით ლექსებს. გამეღელე-გამომღელელები ჩერდებოდნენ და გაკვირებული გვისმენდნენ.

მაშინ ყველანი პოეზიით შეპყრობილი ვიყავით.

ვიკრიბებოდით კაფე “ტფილისშიც“, სადაც ქეთო ამირეჯიბი დიასახლისობდა.

რესტორან “იმედში“, სადაც ახლა ხელოვნების მუზეუმი, დიტო შევარდნაძისა და ქეთევან ამირეჯიბის თაოსნობით, ლადო გუდიაშვილმა თავისი სურათები გამოფინა.

აქვე იყო ფიროსმანაშვილის გამოფენაც.

ქალაქში ვსეირნობდით თუ ქართულ ჩაიხანაში ვისხედით, ხშირად ვხვდებოდით საშუალო ტანის, წელში მოხრილ კაცს, რომელსაც

ჭკვიანური გამოხედვა და ლამაზი სახე ჰქონდა, თავზე დიდი ქუდი ეხურა. ეს გახლდათ მხატვარი დიტო შუვარდნაძე.

იგი აგროვებდა ხელოვნების ნიმუშებს: სურათებს, კერამიკას, ფაიფურს, ბრინჯაოს და ბროლის ნაწარმს. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ მხატვრულ მუზეუმს. აგროვებდა დიდი სიყვარულით, წმენდდა, აღადგენდა მოძველებული თაობისათვის.

დიტომ ჩამოაყალიბა ბრიგადები, რომელშიც შევიდნენ ნიჭიერი მხატვრები. ეს ბრიგადები მოგზაურობდნენ საქართველოში, ათვალიერებდნენ შემორჩენილ ძეგლებს, აკეთებდნენ ძველი ქართული ფრესკების ჩანახატებს. მხატვარ ქეთო მაღალაშვილის მიერ შექმნილი ღავით გარეჯის ასლები საოცარ კოლექციას ქმნიდნენ, რომლებსაც შემდეგ ბევრი აღუფრთოვანებია.

ტიციანი საქართველოში ჩამოსულ თავის სტუმრებს ამ ფრესკებს აჩვენებდა.

დიტო უცნაურად, ლამაზად და არაჩვეულებრივად ცხოვრობდა. ეწვეოლით თუ არა ბარსოეის ქუჩაზე, მაშინვე სახლის სახურავზე მიგიპატიუებდათ, სადაც შიგლონგები იდგა. შავ ყავას მოგართმევდათ და იწყებოდა საუბარი სურათებსა და ახალ ლექსებზე. ვიჯექით და შევეყურებდით ლამპიონებში ჩაყვლეულ ქალაქს. ზღაპრული სანახაობა იშლებოდა ჩვენ თვალწინ! ვიგონებდით ფიროსმანს, ახლახან ნაპოვნ მის სურათებზე ეკამათობდით.

ერთ საღამოს ტიციანმა უამბო დიტოს, თუ როგორ აღმოაჩინეს მან და პაოლომ ფიროსმანის ტილოები.

ტიციანი, პაოლო, კირილ ზდანევიჩი და მე ეოგზლისაკენ გაემართეთ. გადავწყვიტეთ, ყველა სამიკიტნო შემოგვევლო, სადაც კი ოდესმე ფიროსმანს ფეხი შეეღგა. ერთ-ერთ ასეთ სამიკიტნოში ორი სურათი აღმოვაჩინეთ: გოგონა ბატებით და სოფლის ეზო. რის ვაი-ვაგლახით მოვახერხეთ მათი ხელში ჩაგდება. მიკიტანი გაჯიქდა, ერთი დავიდარაბა აკვიტება, მაგრამ ვიღაც მუშამ იცნო პოეტები და გამოგვექომაგა. პაოლომ სახელდახელოდ ლექსი უძღვნა მიკიტანს, რომელიც გულდასმით გვისმენდა. როგორც ჩანს, ლექსებმა გული აუჩუყა. თავისი ხელით გადასცა ტიციანს სურათები. მაღაკნის ქუჩაზე კი უხმაუროდ შევიძინეთ ფიროსმანის სურათი: დაფიქრებული რუსთაველი მაგიდას უზის და ხელში ბატის ფრთა უპყრია.

დიტომ გვიამბო, როგორ იპოვნა სურათი "დათვი ტყეში მთვარის შუქზე". ერთხელ ეს სურათი ქართულ ჩაიხანაში გამოუჩინეს, სადაც ხში-

რად ეწყობოდა ხოლმე გამოუყენები, მოხსენებებითაც გამოდიოდნენ. დიტო დიდი გატაცებით ყვებოდა ყიროსმანზე, მსმენელებსაც უდიდესი სიყვარულით აღაყვებდა ამ შესანიშნავი ხელოვანის მიმართ.

დიტოს ბინა პატარა მუზეუმს ჰგავდა. იქიდან ყველა მასპინძლით მოხიბლული გამოდიოდა.

...მე მაშინ ორბელიანის ქუჩაზე ვცხოვრობდი. დიასახლისი დიდი ყურადღებით შექცეოდა, მარიგებდა, ასეთი ბოქემური ყოფა დაგდუპავსო.

დილით სამსახურში მივდიოდი. საღამოს კი პოეტებთან ვატარებდი. ყოველივე ამას, ბოლოს და ბოლოს, არ შეიძლებოდა თავისი დიდი არ დაემჩნია ჩემზე და მართლაც, ჭლექი შემიყვარა.

ტიციანი ძალიან შემსუიყოთეული იყო და ექიმიები დამახვია. პაოლო ნემსის ყურწში ძვრებოდა, ოღონდაც რითიმე ესიამოვნებინა ტიციანისთვის: ზღვა ყვაეილეგი მოჰქონდა, ჩემთან ერთად სკამდა წამლეხს, როცა მე გაუჯიუტლებოდი, ჩემთან ერთად იკეთებდა ნემსებს. შემტბარი ტიციანი კი იჯდა და ხმას არ იღებდა.

ახლა ჩვენს მკვაობრები ჩემს ოჯახში იკრიბებოდნენ. სურათების გამოუყენებიც კი ჩემთან იმართებოდა. თავს დამტრიალებდნენ ჩემი მეგობრები: თამარ წერეთელი, ნადია შალიკაშვილი და თამარ ჯაყარიძე. მალე დელაჩემიც ჩამოვიდა. სწორედ აქ, ჩემს ოთახში გაიცნო პირველად ტიციანი და პაოლო. ერთი თავჩაქინდრული იჯდა და ხმას არ იღებდა, მეორე ენას არ აჩერებდა. დედამ მაშინვე გუშანიტ იგრძნო, რომ პირველი შეყვარებული იყო და მალე დაქორწინდებოდა.

ჩემი არჩევანი დედას დიდად არ მოსწონდა, რადგან პოეტები დენიდადგ ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდნენ და თავი გამოიწვევად ეჭირათ...

— ხომ არ გაგიყდი, — მარიგებდა დედა, — მაგისთანას როგორ უნდა გაჰყვე! პოეტი და ცოლი ვინ გაიგონა? მალე შენ თვითონ მიხვდები!..

— დედა, თავი დამაჩებე! ჩემი თავისა მე უკეთ ვიცი. †

ექიმებსა აბასთუმნის სანატორიუმში გამგზავნეს. სანატორიუმში ჯერ ჩასული არ ვიყავი, რომ ტიციანის, პაოლოს, ვალერიანისა და ლელის დეკემა მივიღე. მალე გამოჯანმრთელებას მისურვებდნენ. დილა-საღამოს ქუთაისიდან დეკემებს კიღებდი. ერთხელ დეკემას 75 კაცი აწერდა ხელს. ზოგიერთებს არც კი ვიცნობდი. ოთახში, სადაც მე ვიწექი, ორი აკადემყოფი შემოვიდა. ზეზე წამომაყენეს და ფანჯარასთან მიმიყვანეს. ეზო ხალხით იყო სავსე. რაშია საქმე-მეთქი, დავინტერესდი. სიცილით ამიხსნეს, ეს ფოსტის მუშაკებია, რომლებსაც თქვენი ნახვა სურთო. შეეცბი.

ტიციანი და მისი მეგობრები ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ ჩემთვის დარდი, მზრუნეელობას და სიყვარულს არ მაკლებდნენ.

...ერთხანს კახეთში ვცხოვრობდი. თან მახლდა ჩემი მეგობარი თამარ ჯაყარიძე. მერე ტიციანიც ჩამოვიდა. ჩემი ძვირფასი ტაციანელო

აღურთოვანებული დაიარებოდა. ორი კვირა დაჰყო ჩვენთან. წასვლის წინ მითხრა, მწერლები ალავერდობაზე აპირებენ ჩამოსვლასო.

გვეწვია პაოლო, დაეით კლდიაშვილი, ლეო ქიაჩელი, ივიკო ყიფიანი და სხვები. აღურთოვანებულები შეჰყურებდნენ ისინი ალავერდის ტაძრის კედლებს.

ბინა მონასტრის სენაკში დავიდეთ, მთელი ღამე ეზოში დავეჩქტებოდით. ჩირაღდნებით განათებულ, ნოხებით მოჩარდახულ ურმებს კუვლიდით გარშემო...

ირგვლივ მწვადის სუნი ტრიალებდა. ხალხი ზეიმობდა.

ინათა.

ალაზნის ველზე ცხენოსნები გამოჩნდნენ, ორასამდე კაცი იქნებოდა.

ალავერდობიდან მხიარული და ადელეკებული დაებრუნდით. გზაში ტიცინი და პაოლო ლექსებს კითხულობდნენ, კახეთის მთები კი ექოსავით ეხმაურებოდნენ.

ალავერდობის შემდეგ თელავში პოეზიის საღამო გაემართეთ. ამ საღამოს ორგანიზატორი გახლდათ ახალგაზრდა თელაველი პოეტი დათუნა აბაშიძე.

...თბილისში რომ დაებრუნდი, გუდიაშვილს უკვე მოესწრო კაფეს შესასვლელის მოხატვა (ლადოს ჯეირანს ვეძახდით, ჯეირანი იყო მისი ემბლემა). შესასვლელის მარცხენა მხარე სუდეიკინის ფუნჯს ეკუთვნოდა: კაფე "ინტერნაციონალის" ქალიშვილებს შორის პოეტი იდგა. შემდეგ ძველი ქართული ფრესკიდან გადმოღებულ ტანსაცმელში მორთული ვერა, სუდეიკინის ცოლი. მის წინ კი — ესპანური შლაპით, ყანწით ხელში პაოლო. გვერდით პიეროსსამოსიანი ტიცინი ბროწეულის ხეს მიყრდნობოდა. იქვე იყო სუდეიკინიც, რომელსაც ძველი რუსული სამოსელი ეცვა. მეორე ფრესკაზე იაკობ ნიკოლაძე, ლადო გუდიაშვილი და დაეით კაკაბაძე გამოეხატათ, მათ სანთელს მე ვუწებდები. ვიდეკი იქვე ნიღაბსა და კოლომბინას ტანსაცმელში გამოწყობილი.

"ქიმერიონი" შიგნით დაეით კაკაბაძის უზარმაზარი ტილოთი იყო დამშვენებული: მხატვრის დედა ბროწეულის ხის ქვეშ იჯდა. დანარჩენი კედლები სუდეიკინს მოეხატა — სარკეჩამტვრეული კაფე, სარკეში მოჩანდნენ ადამიანები, სარკის ნამსხვრევებისაგან დამახინჯებულნი. სურათებს შორის ეკიდა სხვადასხვაგვარი საინტერესო ნიღბები.

კაფეში ღამღამობით დაეიარებოდით.

მხატვრები კიბეებზე ისხდნენ, ჩვენ ქვევით ველოდებოდით. სასმელსაჭმელი მოგვეტონდა ხოლმე. სუდეიკინი აღურთოვანებით გვიყვებოდა იმ ადამიანებზე, რომლებიც დამსხვრეულ სარკეებში იყურებოდნენ: ეს საოცარი იმპროვიზაცია იყო.

დილით მოჯადოებული ვებრუნდებოდით შინ.

ჩემი ავადმყოფობის შემდეგ ორი წელი გავიდა. მე და ტიცინამ დაქორწინება გადავწყვიტეთ. 1920 წლის 14 იანვარს, ნინაობას დაეიწე-

რეთ ჯვარი, პაოლო დატრიალდა. ყვაეილებისთვის ბათუმში გაემგზავრა, ფატა პარმის თეთრი იებით დამიმშენა. მენიუც თვითონ შეადგინა, მზარეულები და ოფიცინტები "ქიპერიონიდან" მოიყვანა. ჩემი ბინაც თავისი გემონებით დააღაგა. ქორწილი გრიბოედოვის ქუჩაზე N 18-ში, ბიძაჩემის ბინაზე გადავიხადეთ.

ტიციანი შეუძლოდ იყო და პაოლო თავს დასტრიალებდა.

ორასმა კაცმა მოიყარა თავი. ჩამოვიდა დედაჩემი და ჩემი ძმა მიშაც. ნათესაეების გარდა ქორწილს ტიციანის მეგობარი პოეტებიც ესწრებოდნენ. გვეწვივნენ ოვანეს თუმანიანი და ცისფერყანსწელეხი. გულზე ყველას მიხაკები დაეხსია. მთელი ქორწილის ხარჯი პაოლომ გაიღო. თავად კი დახეული შარვალი ეცვა.

არც ტიციანს და არც მე საკუთარი ბინა არ გაგვანდა. ამიტომ ქორწილის შემდეგ აღარ ვიცოდით, საით წავსულიყავით. ტიციანს მადალი სიცხე ჰქონდა და ფეხზე ძლივს იდგა. ჩვენმა მეგობარმა, ლელი ჯაფარიძემ თავისთან მიგვიწვია. ოთახში შევედით თუ არა, ტიციანი სავოლზე დაემხო. შეშინებული საშინლად დავიბენი. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ამ დროს მხსნელად ისევ პაოლო მოშველინა. ნახევარ საათში ტიციანი სააუადმყოფოში წავიყვანეთ. მთელი თვე სააუადმყოფოში გაატარა. ფილტვების ანთება ჰქონდა. "თაფლობის თვე" სააუადმყოფოში დაიყვავით. პაოლო ჩემთან ერთად უკლიდა ტიციანს. დღეღამ მის სავოლთან იჯდა.

ეტლით წამოვიყვანეთ. ტიციანს ეაჭრებმა თავიანთ კლუბში ერთი ოთახი გამოუყვეს და იქ დავბინადეთ. რამდენიმე დღის შემდეგ ტიციანის დედასთან, სოფელში გავემგზავრეთ. გზად გადავწყვიტეთ, ქუთაისში შეგვევილო, რათა ტიციანის და-ძმას გაეცნობოდი.

ქუთაისშიც სასტუმროში დავბინადეთ, მგონი, "საფრანგეთი" ერქვა სახელად. ოთახში ფეხი შევდგივით თუ არა, ტიციანის მეგობრები შემოაცვიდნენ. თურმე ისინი ჩვენი ვაგონით მოემგზავრებოდნენ, მაგრამ კუპედან ცხვირი არ გამოუყვიათ, რომ ჩვენ არ დაგვენახა. პაოლომ, როგორც იცოდა ხოლმე, სიურპრიზი გაგვიკეთა. ჩვენ კი გვეგონა, ძლივს მარტო დავრჩით-თქო.

დღისით ქალაქი დავათვალიერეთ, დამით მაგიდას შემოუკუსხედით. მე ვეღარ მოვიტმინე და დასაძინებლად გავეშურე. საშინელმა ბიძგმა შეგვაძრწუნა, კოლაუ ნადირაძე მუხლებზე დაეცა, გეგონებოდათ ლოცულობსო.

დილით გავიგეთ, გორი მიწისპერას მიწასთან გაუსწორებინა.

იმ დღესვე სოფელში გავემგზავრეთ. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ მთელი სახლი შებარბაცდა, კედლებმა ჭრაჭუნი დაიწყეს...

...სოფელში ცოტა ხანს დაეყავით და მერე თბილისში ჩამოვიდით, ჩვენს ახალ სახლში დავბინადეთ. მარტონი არასდროს ერჩებოდათ: დილიდან საღამომდე ჩემთან თავს იყრიდნენ მეგობრები, პაოლო კი ხშირად დასაძინებლადაც რჩებოდა.



პაოლომ გადაწყვიტა, ოთახის კედლები პორტრეტებით დაემშვენებინა: ტიციანი, თავისი თავი, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვები გააცოცხლა. ლადო გუდიაშვილმა კი თავისი სურათები მანუქა, მათ შორის “ქეიფი ქალაქარეს” და ტიციანის ძალზე პირობითი პორტრეტი. ტიციანის ხელისგულზე ქალდეს ქალაქები აღმართულან, ხოლო ილღიაში ცხოვრების ფრინველი გამაიჟნი ამოუჩრია, მეორე ხელში ლექსების გრაგნილი უჭირავს. მესამე სურათია პაოლოს პორტრეტი პროფილში, ტოგა აცვია, ხელში კი ყანწები უჭირავს. საჩუქრად მივიღე აგრეთვე წმინდა ნინოს, ქეთევანისა და თამარის სურათებიც, მოსე თოიძის ნამუშევარი — ქულაჯაში გამოწყობილი ჩემი ძმა ილო ალაზნის ეელს გაჰყურებს.

საღამოობით, როცა ბევრი ხალხი იკრიბებოდა, მრგვალ მაგიდას შემოვეუსხდებოდით ხოლმე, თუ სტუმრები ცოტა გვეყავდა, ბუხარს მივაშურებდით, ვიჯექით და გლინტევის ვაშხადებით.

ჩვენი ხშირი სტუმარი იყო ინჟინერი აედევი, რომელიც ერთხელ პაოლომ მოიყვანა, საინტერესო პიროვნება და პოეზიის დიდი ტრფიალი გახლდათ. მის კალამს ეკუთვნოდა წიგნი “მე მივიღივარ”. მგონი, ჭიათურაში მუშაობდა, რკინიგზა გაჰყავდა. გენძალური გეგმა ჰქონდა შემუშავებული, ვოლგის დინების შეცვლას, მიწების განაყოფიერებას აპირებდა. ამ თემზე ლაპარაკი არ სწყინდებოდა. მალე აედევი მოსკოვში გაემგზავრა. საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი სახლი გამოუყო, სადაც გაჩაღდა მუშაობა ამ გეგმების ცხოვრებაში განსახორციელებლად, მაგრამ 1937 წელს ვერც აედევი ასცდა ბეღის რისხვას.

მახსოვს, ერთხელ, დღით — ეს მოხდა 1920 წელს, გაზეთში განცხადებას მოეკარი თვალი: “ტიციან ტაბიძის ბინაზე სერგეი გოროდეცი კითხულობს მოხსენებას პოეზიაზე”.

თავზარი დამეცა.

მე და ტიციანი ახალი დაქორწინებული ვიყავით, ოთახი სულ ცარიელი გექონდა, ჯიბეში გრომიც არ გვიჩხრიალებდა.

სერგეი მიტროფანის ძე რომ შემოვიდა, პირში ვეცი:

— რაღა ექნათ! ჩვენ ხომ ეს ოთხი სკამი გვაქვს და სხვა არაფერი... ფულიც არ გვაბაღია.

ძალიან მშვიდად გამომიცხადა, ფული არც მე გამაჩნია, სკამებს კი მეზობლებს გამოეერთმევეთო.

მე მაინც არ ვისვენებდი: ზოგიერთები შეიძლება წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ ვინც დარჩება, იმათ რაღა ეუყოთ-მეთქი.

სხვა რა გზა მქონდა, სკამები მეზობლებისაგან ვინათხოვრე. მადლობა ღმერთს, ოთახი დიდი იყო, საღამოს ხალხმა თავი მოიყარა.

აი მოხსენებაც დამთავრდა.

მეგობრების გარდა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. დარჩა თუმანიანი, მხატვარი სუდეიკინი მეუღლითურთ, პაოლო იაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ლადო გუდიაშვილი, ფუტურისტი ილია ზდანევიჩი.

სასოწარკვეთილი შეეყურებ სტუმრებს. მაგიდასთან მოკალათდნენ. უეცრად ოვანეს თუშმანიანი ადგა და გავიდა. მას სხეებიც მიჰყვნენ. ღერეუანში თავზე ხელი გადამისვია და მითხრა, მალე დაებრუნდებიო.

...ერთი საათიც არ იყო გასული, ვიდაცამ საძინებელი ოთახის კარზე დამიკაკუნა. კარი გაქაღვე, ჩემს წინ ოვანესი იდგა. სახეზე კეთილი ღიმილი ეყვინა. უკან მუშამ მოჰყვებოდა უზარმაზარი კალათით.

— გოგონავ, ნულარ ინერეიულეზ, ყველაფერი მოვიტანე...

კალათას ჩაეხედე, საუზმით, ღვინითა და ჭურჭლით იყო სავსე. თავად მომეხმარა მაგიდის გაწვობაში. მთელი დამე თვალი არ მოგვიჩუქავს. ოვანეს თუშმანიანი ხალხთა მეგობრობაზე გვესაუბრებოდა დაუსრულებლად.

...განსაკუთრებით ოვანეს თუშმანიანის იუბილე დამამახსოვრდა. "არტოს" ბაღში ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა, ისე იყო ხალხით სავსე. მისასაღმებელი სიტყვა პაოლო იაშვილმა წარმოთქვა, ისეთი პათოსით ლაპარაკობდა, ტაშით კინაღამ დარბაზი დაანგრევს.

იუბილეს შემდეგ ბანკეტი გაიმართა. ეს გახლდათ აღტაცების, სიყვარულის, პოეზიის ფეიერვერკი. სერგეი გოროდეცკიმ ამის თაობაზე გაზეთ "სლოვოში" წერილიც კი დაბეჭდა.

ქართველ მწერალთა შუამდგომლობით საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა ოვანეს თუშმანიანს პენსია რომ დაუნდინა, ის დღე დღესასწაულად იქცა. მწერლისთვის ამას მხოლოდ მორალური მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით ოვანესმა დიდი ბანკეტი გადაიხადა, რომელსაც ესწრებოდნენ ქართველი და სომეხი მწერლები. ახლაც ყურში ჩამესმის ის სიტყვები, რომელიც იმ დამეს წარმოთქვეს ეასილ ბარნოემა, შიო არაგვისსპირელმა, კოტე მაყაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, პაოლო იაშვილმა და მამიკონ გვეორქიანმა.

ოვანეს თუშმანიანი სიკვდილის წინაც თავის ხალხზე ფიქრობდა, მთელი ცხოვრების მანძილზე იგი სიყვარულს ქადაგებდა და თვალცრემლიანი ევედრებოდა კავკასიელ ხალხს, მუდამ ყვარებოდათ ერთმანეთი.

...თებერვლის დამლევს მენშევიკები ქალაქიდან გაიქცნენ. თავი აიშვეს ხულიგნებმა და ხალხის ძარცვას მიჰყვეს ხელი. პაოლომ ტიცციანს ურჩია, ბავშვითურთ სოფელში გაეგზავნენ. ტიცციანი ჯერ უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს დაითანხმეს. ჩავალაგე ჩემი ბარგი-ბარხანა და სადგურში გავედიო.

იქვე, სადგურში პაოლომ საბრძოლო რაზმი შეკრიბა და ციხისკენ გაემართა, პოლიტიკური პატიმრების გასათავისუფლებლად, რომლებმაც ქალაქის სხვადასხვა უბანში წესრიგის დამყარება დაიწყეს.

იმ დამეს პაოლო იაშვილი რამდენიმე კაცთან ერთად კოჯრის გზას დაადგა საბჭოთა ჯარების შესახვედრად.

ტიციანმა სოფელში ჩამიყვანა და მაშინვე თბილისში დაბრუნდა.

მალე ისინი, ტიცციანი და პაოლო სერგეივის ქუჩაზე (ახლანდელი მაჩაბლის ქუჩა) მღებარე სახლში შეასახლეს. ტიცციანს ქვედა სართულზე

მწვანე ოთახი გამოუყვეს, ზემოთ კი (სადაც ახლა რედაქციაა) პაოლო დაბინავდა. როცა თბილისში დაებრუნდი, ბიძაჩემის სახლში, გრიბოელოვის ქუჩაზე N18 გადავედი. ბავშვთან ერთად ხელოვნების სახლში ცხოვრება ცოტა არ იყო შეუხერხულა, პაოლოს კი დაქორწინებამდე იქიდან ფეხი არ მოუტეოდა.

ტიციანმა მითხრა, პაოლოს ერთი მშვენიერი ქალიშვილი შეუყვარდაო, პირწავარდნილი მზეთუნახავია, მაგრამ ჯერ წინადადება არ მიუცია, შენ უნდა გაჩვენოსო.

ერთხელ ხელოვნების სახლის აივანზე მედიტონ ბალანჩივაძესთან ერთად ვიჯექი. როგორც ყოველთვის, მას პირში ჩიბუხი ჰქონდა გაჩრილი, თვალები კი უღიმოდა, თითქოს საკუთარ თავს უღიმისო. ამ დროს პაოლო შემოვიდა – მაღალი, ლამაზი, მხიარული, თან ჰაეროვანი, ფაფუკი, ღიღებუდი, გაშლილთმებიანი ქალიშვილი შემოჰყვა, მართლაც მზეთუნახავი გახლდათ, პაოლოს გვერდით ბედურა გეგონებოდათ, მაშინვე მომეწონა.

მალე პაოლომ თამარ სერებრიაკოვა ცოლად შეირთო.

ქორწილის შემდეგ პაოლოს სოფელში, არგვეთში გავემგზავრეთ. შუა გზაზე, უზარმაზარი ფართოტოტებიანი ხის ქვეშ გაშლილი პურმარილი დაგვხვდა: ხაჭაპურები, მოხარშული დედლები, შემწვარი წიწილები, მწვადები, ჩაცვიებული ღვინო, ვისაუზმეთ და გზა განვაგრძეთ.

საოცარი დილა იდგა. გეგონებოდათ ბუნებასაც უხაროდა პაოლოს გაბედნიერება.

არგვეთში, სახლის ზღურბლთან, პაოლოს მამა, დევივით კაცი შემოგვეგება, პაოლოს დედა უნაზესი, კეთილი ქალი სიხარულით ცაში დაფრინავდა. აქვე იყვნენ პაოლოს ძმები, და პაშა და სხვა ნათესაები.

პაოლოს ქორწილში თამადად ვინმე აბდუშელიშვილი აირჩიეს. ზემო იმერეთში ცნობილი თამადა ბრძანდებოდა, მაგრამ ტიციანმა აჯობა და ჯიხვის უზარმაზარი რქა მიიღო ძღვნად. ტიციანმა ბავშვივით გაიხარა.

...მაიაკოვსკი თბილისში 1926 წელს ჩამოვიდა. ტიციანმა იმავე დღეს ჩვენთან მოიყვანა სტუმრად, პირველად მაიაკოვსკის მამის შევხვედი, დაახლოებით ერთ საათს დაჰყო ჩვენთან. ვისაუბრეთ ლიტერატურაზე, ახალ ამბებზე. მაიაკოვსკიმ გაიხსენა ბაღდადი, გვითხრა, რაღაც მინდა დავეწრო ბაღდადზე, კარგი და მნიშვნელოვანიაო, თან დასძინა, საქართველო უსაზღვროდ მიყვარდა და მუდამ მიყვარებაო.

26 თებერვალს მე და ტიციანი რუსთაველის თეატრში წავედით მაიაკოვსკის საღამოზე. მაიაკოვსკი გამოდიოდა მოხსენებით “ამერიკის ლიტერატურული ცხოვრება”, მერე ლექსები წაიკითხა. მასავით ლექსებს იახონტოვიც კი ვერ კითხულობდა.

სხვა ლექსებთან ერთად მაიაკოვსკიმ წაიკითხა “ელადიკაკაზი – თბილისი”. ტიციანს ძალიან უყვარდა ეს ლექსი და სიამოვნებით უსმენდა ავტორს. ყოველ სტრიქონში იგრძნობოდა მაიაკოვსკის უსაზღვრო სიყ-

ვარული საქართველოსადმი. უყვარდა ტიციანს “საიუბილეოც”, “ღრუბელი შარვლით”. თავისი ორიგინალობით ძალზე მოსწონდა “მისტერია – ბუფი”, რომელიც ტიციანმა კოტე მარჯანიშვილის თხოვნით ქართულად თარგმნა.

მარჯანიშვილს სურდა “მისტერია – ბუფი” ღია ცის ქვეშ – ფუნქციონორზე დაედგა.

ლექსების კითხვის შემდეგ მაიაკოვსკიმ შეკითხვებზე პასუხის გაცემა დაიწყო და ხალხი მოხიბლა მახვილგონიერული პასუხებით.

იმავ საღამოს პაოლო იაშვილმა ლოჟიდან ქართულენაშუაწიკითხა “მარჯანიშვილი მარში”.

მეორე დღეს მაიაკოვსკი პუშკინის ქუჩაზე – ღუქან “სიმპატიამი” მივიპატიეთ.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმ დროისთვის მოღურ ღუქანზე. კედლები ვიღაც თვითნასწავლ მხატვარს მოუხატა. აქ შეხედვბოდით მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტებს. შექსპირის მხარს მეყუე სოლომონი უმშვენებდა. ორიენი პუშკინს, რუსთაველსა და ლერმონტოვს შესტყეროდნენ. შემდეგ გოგოლი, ჰომეროსი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი, სპინოზა, გოეთე, შილერი გამოეხატათ. ცნობით ვერც ერთს ვერ იცნობდით, წარწერით თუ მიხედვბოდით.

სუფრასთან, მაიაკოვსკის გვერდით, ისხდნენ პაოლო იაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლოზ შენგელაია და სხვები.

...მეორე დღეს მაიაკოვსკი პაოლოს ეწვია და დავით ბურლიუკის მიერ 1925 წელს ამერიკაში გამოცემული თავისი წიგნი “მზე სტუმრად მაიაკოვსკისთან” მოიტანა. ყველას სათითაოდ დაგვირიგა.

...პაოლოს და ტიციანს სამგორის ველის დარდი კლავდათ. მის გაცოცხლებაზე ფიქრობდნენ.

ტიციანი ბევრს წერდა და ლაპარაკობდა ამაზე, პაოლო კი სამგორის ველის მორწყვასა და რიონჰესის მშენებლობაზე ოცნებობდა. ვალოდია ჯიქიას – რიონჰესის და ხრამჰესის დიდი ენთუზიაზსტის დაკალებით, იგი მოსკოვში გამგზავრა მშენებლობის საკითხების გადასაწყვეტად. სულ დააეწყდა, რომ პოეტი იყო და თავისი ოცნების განხორციელებას შეუდგა. მგზნებარე მონადირემ, პაოლომ თავის ძაღლსაც კი სამგორი დაარქვა სახელად.

პაოლო, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, მთელი არსებით ეძლეოდა, საქმეს სულს და გულს აქსოვდა. საოცრად უყვარდა თავისი ქალიშვილი მედეა, არაჩვეულებრივად ლამაზი და ცელქი გოგონა. უკანასკნელი წერილი მედეასადმი მის ღრმა გრძნობებზე მეტყველებს...

...მოახლოვდა სადილობის დრო: ეტყობა, ტიცციანმა თავისი სიტყვა არ გატეხა. მოდიან სადილზე სტუმრები – გიორგი ლეონიძე, სანდრო შანშიაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა აყუხაიძე, ნიკოლოზ მიწისმედი, სერგო კლდიაშვილი, ლელი ჯაფარიძე, დანარჩენები აღარ მახსოვს.

სუფრას აკლდნენ მარტო პაოლო იაშვილი და სერგეი ესენინი.

მე მაგიდასთან ვიდექი, როცა ვილაცამ კარი შემოაღო. სერგეი შემოვარდა, გაბრწყინებული ჰქონდა თვალები, უბზინაედა ოქროსფერი თმა, შემოვიდა და თავზე დამაყარა ქრიზანტემების თეთრი და ყვითელი ყვავილები, თან მახარა, ვირაჰმა ფული მომცა და ჩემს დას გაეუგზავნე, მე ბედნიერი ვარო.

კარი ახლა პაოლომ შემოაღო. გამხიარულებულ ესენინს გადახედა და სახეზე ეშმაკური ღიმილი აღებეჭდა. მივხვდი, პაოლო, როგორც მუდამ სჩვეოდა, ახლაც რაღაც ოინის მოწყობას აპირებდა. მართლაც, იგი მიუბრუნდა ესენინს და უთხრა:

– იცი, სერგეი, რა უნდა გახარო? თბილისში აისედორა ღუნკანი ჩამოვიდა, წელან შემხვდა ქუჩაში, მე ვუთხარი, რომ აქა ხარ და მისამართიც მივეცი. საცაა აქ გაჩნდება.

ძნელია იმის აღწერა, თუ რა დაემართა ესენინს ამ სიტყვების გაგონებაზე: გაფითრდა, ხმა ვეღარ ამოიღო, ერთ წუთს გაოგნებული იდგა. მერე შევარდა თავის ოთახში, ფაციფუციტ ტენიდა ნივთებს ჩემოდანში, ხელი დასტაცა ჩემოდანს და გაიქცა, ისე თავგზადაკარგული მიბრბოდა, თითქოს მიწისძვრის ამბავი შეატყობინესო. პაოლო და ტიცციანი უკან გაჰყვნენ, ძლივს დაეწივნენ ქუჩაში. პაოლო ეფიციებოდა ვიზუმერო, მაგრამ ესენინი დიდხანს ვერა და ვერ დააჯერა, ეგონა, აისედორა აგერ-აგერ შემოაღებს კარსო და მთელი სხეულით თრთოდა, მივხვდი, მზად იყო აქაურობას სასწრაფოდ გასცლოდა, ოღონდ ამ ქალს არ შეხვედროდა.

მივხვდი-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ სერგეის უკვე კარგად ეციტნობდი. როცა დღითი მასთან საუბრე შემქონდა, გაჰყვიბოდა ხოლმე თავის მოგონებებს, მითამბოდა რიახანის ეელებზე, თავის სოფელზე, დედაზე, ერთ მდიდარ ბიძაზე, რომელსაც თურმე თავისი ტიუები ჰქონდა.

და აი, მეორე დღეს, იმის შემდეგ, როცა პაოლომ კინაღამ გააქცია თბილისიდან, კვლავ შევედი სერგეის ოთახში, ის უკვე დაწყნარებული იყო და ეკითხე, სერიოჟა, რა დაგემართა, რად მიბრბოდი-მეთქი.

ესენინმა ყველაფერი მიაამბო. დელაედა, ხშირად სიტყვა უწყდებოდა და მე ვხედებოდი, რომ მართლაც სიკედილის დღესავით მოაძულა მას თავი ამ ქალმა. მათი სიყვარული რაღაც არაბუნებრივი იყო – აისედორა ჩვილმეტი წლით უფროსი იყო სერგეიზე. ამას გარდა, სერგეიმ მითხრა, რომ ის ქალი არავითარ სითხეს არ სვამდა კონიაკის გარდა, მინდოდა ევროპაში მიმეტოვებინა, მაგრამ ვერ მოვანახლებე, ჩრდილივით დამდეგს თან და სადაც ის გამოჩნდება, მე უმაღლეს გავრბივარ იქიდანო. მართლაც, ესენინის წასვლის უმაღლეს თბილისს აისედორა ღუნკანი ესტუმრა. ეტყობოდა, მის კვალს გამოჰყოლოდა. ჩვენ შევხვდით. როგორც ხელოვანი, მართლაცდა შეუდარებელი რსტატი იყო. მან ბევრი რამ შესძინა მე-20

საუკუნის საბალეტო ხელოვნებას – შეეხედით და სადილზე მივიპატივეთ კაფე “პარიზში”, რომელიც მდებარეობდა ყოფილ სასახლის ქუჩაზე. უმაღლეს ეხენინზე შეგვეკითხა და როცა გაიგო, თბილისიდან წასულაო, თვითონაც დაჰკრა ყეხი და ისევე იმის კვალს გაჰყვა.

...ეხენინი ჩვენს სახლში შინაურულად გრძნობდა თავს. ერთხელ, როცა ის უკვე სასტუმროში ცხოვრობდა, ღამის თორმეტ საათზე მოვიდა ჩვენთან. შემთხვევით პაოლო იაშვილიც ჩვენთან დახვდა. უჩვეულოდ ადგნებულმა სერგეიმ უბიდან ახალი ლექსი ამოიღო და მეგობრებს წაუკითხა. ეს იყო მისი ცნობილი “საქართველოს პოეტებს”. აღტაცებულნი, მღელვარებისაგან ხმაიანყვეტილნი უსმენდნენ პაოლო და ტიცინი ეხენინის სიყვარულის ჯადოთი აღსაყვებელ სტრიქონებს.

...ბეერი რამ მსმენია ანღრევი ბელიზე ტიცინისაგან, მეგონა, ვიხილავდი არაჩვეულებრივ, რაღაც განსაკუთრებულ ადამიანს, რომელიც სხვებს არ ემგებანებოდა, მაგრამ მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჰტარა. მაშინვე ვიტანს: უჩვეულოდ მოციმციმე, ცისფერი თვალები ჰქონდა და მხრებს უცნაური მოსასხამი უმშვესებდა, მოცეკვავეის მსუბუქი ნაბიჯით დადიოდა, მართლაც საოცარი კაცი ბრძანდებოდა. მახსოვს მასთან დაკავშირებული უცნაური, მართლაც ფანტასტიკური ეპიზოდი.

ერთხელ, თბილისში რომ ჩამოვიდა, საღამოს ჩვენ გვეწვია. ყველანი სუფრასთან ვისხედით, ბორის ნიკოლოზის ძემ რაღაც სადღეგრძელო წარმოთქვა და თან აღტაცებულმა დასძინა: “თანდათანობით მზე შუიძლება ჩაქრეს, სინათლეს აღარ გამოასხივებს, მაგრამ მზე ჩვენში ღარჩება და ნათელი არ გაქრება. სინათლესა და სითბოს თავად ჩვენვე გამოვასხივებთ”.

ამ დროს ჩვენი სახლი შედარბაცდა, ალბათ, ამას ვერც კი შევნიშნავდით, მაგიდა რომ არ დაყირაკებულიყო. ყველანი ფეხზე ვიდექით ბელის სადღეგრძელოს საპატივეკემულოდ და მხოლოდ ახლავა შევნიშნეთ, რომ ფეხზე ვიდექით.

– მზე გაქრება, მაგრამ ჩვენში ღარჩება სინათლე და სითბო, – განაგრძობდა ბორის ნიკოლოზის ძე და ვერაფერს გრძნობდა.

ბიძგი განმეორდა, კვლავ ყველაფერი დაბარბაცდა.

– კმარა! – იყვირა პაოლომ, – ბორის ნიკოლოზის ძე, კმარა მზეზე ლაპარაკი. ჩვენ ჯერ სიცოცხლე გეწყურია. გაჩუმდით, სანამ ყველაფერი არ დანგრეულა...

...ერთ საღამოს ტიცინამ ჩვენთან ახალგაზრდა სათვალღიანი კაცი მოიყვანა, ბავშვურად გაბუტული ტუჩები ჰქონდა. იგი ოდნავ შესამჩნევად ილიძებოდა, ძალზე გულიანად იცინოდა, ერთთავად ფაქიზად და სუფთად იყო ჩაცმული. სიტელის დროს უმაღლეს მის სულს შეიცისობდით, ისეთივე კრისტალურსა და კამკამას; მხოლოდ თვალებში რაღაც ნაღველს დალანდავდით. ეს ნიკოლოზ ზაბოლოცკი გახლდათ, ლენინგრაღელი პოეტი.

ნიკოლოზ ზაბოლოცკის ტიცინამ ქართველი პოეტების თარგმნა შესთავაზა, ზაბოლოცკის ძალზე გაეხარდა. იმ დროიდან იგი ქართული პოეზიის ერთგულ მეგობრად იქცა.

ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა კოლია ზაბოლოცკისთან. კოლია თავის კბილა სიმონ ჩიქოვასთანაც მეგობრობდა, გიორგი ლეონიძესთანაც. ძალზე უყვარდა, როცა გიორგი ლეონიძის მეუღლე მას მთელ-მთელ კარტოფილიანი პომიდვრის წვნიანით უმასპინძლდებოდა, იგი ამკარად დანატრებული იყო რუსულ სამზარეულოს. ძალზე ხშირად იკრიბებოდნენ ჩვეთთან: კითხულობდნენ ლექსებს, კამათობდნენ ახალ პრობლემებზე, ხშირად ეს საღამოები იმპროვიზებული კონცერტებით მთავრდებოდა. პაოლო ძველი გუნდური სიმღერების ინიციატორი იყო. ხელიხელჩაკიდებულნი ყველასი სიმღერით გარს უკლდნენ მაგიდას. განსაკუთრებით უყვარდა სიმღერა "მე ვარ და ჩემი საბაღი". მას ბანს აძლევდნენ შალვა აფხაიძე და სერგო კლდიაშვილი.

...როცა აღვერდში ჩავედით, ხალხი უკვე იშლებოდა.

შორიახლო, ერთიმეორის მიყოლებით ხალიჩიანი ჩარდახებით ურმები მოიზღაზნებოდნენ. მონასტრის შუაგულ ეზოში ვიღაც შეარღნეს მოკვალათებინა. მეგობარი ახლდა, ორივე მთვრალეები იყვნენ. წინ თიხის სურა ედგათ ღვინით და პირთამდე საყვე ჭიქა. ისინი ყველა გამვლელს უმასპინძლდებოდნენ.

ჩვენ ჩარდახებზე დიდი სუფრა გაგვიშალეს.

და მაშინ დაიწყო შეჯიბრი, ვინ უკეთესად, საინტერესოდ წაიკითხავდა ლექსებს. ერთი რომ ამთავრებდა კითხვას, მეორე წამოხტებოდა: კითხულობდნენ საკუთარ და სხვათა ლექსებს.

პაოლო ეკლესიის ეზოში გაჰყვიროდა ბალმონტის მღერად ლექსებს.

ბაჟანი წამოდგა და თავის თარგმანში უკრაინულ ენაზე წაიკითხა ნაწყვეტი შოთა რუსთაველის პომეიდან, ამან უზომო ტაშისცემა და მსმენელთა აღტაცება გამოიწვია.

სუფრის მეორე ბოლოში ზაბოლოცკი წამოდგა, რუსულად ორბელიანი წაიკითხა, და იფეთქა აღტაცებამ, ტაშმა.

ვერიკო წამოხტა და ტიციახის ლექსიდან "ანგელოზი ცხენზე" ნაწყვეტი წაიკითხა, შემდეგ სიმონ ჩიქოვანის "ცირა".

გიორგი ლეონიძემ ლექსები წაიკითხა და ვერიკოს სადღეგრძელოთი მიმართა.

ვერიკოსა და ნატო ვაჩნაძის მიმზიდველი, ცეცხლოვანი ცეკვის შემდეგ გეჩვენებოდათ, თითქოს მთებსაც არ ძალუძდათ აღტაცების დაფარვა.

ტიციანმა ტიუტჩევი წაიკითხა.

სადამომდე ასე კითხულობდნენ ლექსებს, ლაპარაკობდნენ პოეზიაზე, კახეთის ბუნების სილამაზეზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, ერთმანეთის თარგმანების აუცილებლობაზე, რათა რუსმა ხალხმა გაიცნოს ქართული და უკრაინული პოეზია და ქართველმა — რუსული და უკრაინული.

თბილისში დაქანცულები, მაგრამ კმაყოფილები დაებრუნდით, განსაკუთრებით იმით, რომ ჩვენი მეგობრები დარჩნენ კმაყოფილები, კიდევ უფრო დაეუახლოვდით ერთმანეთს.

...პაოლო დიდი ხნით წავიდა მოსკოვს. უმისოდ მზე აღარ მზეობდა თბილისში, თითქოს ქუჩებიც გაუკაცრიელდა, ქალაქს მოაკლდა მისი

მგზნებარება, ანთებული მზერა. მოსკოვიდან აღტაცებით სავსე წერილებს გეიგზავნიდა, გეიყვებოდა იქაურ მწერლებთან შეხვედრებზე. მოუთმენლად ველოდი მის დაბრუნებას, და, აი, ისიც ჩამოვიდა!

მე და ტიციანი, კოლაუ ნადირაძე და ვალერიან გაფრინდაშვილი მის ბინაში ვართ. პაოლო გატაცებით ყვება, განსაკუთრებით პასტერნაკზე; უჩვეულო, შთაგონებული სახე და ხმა აქვსო: დიდებულ ლექსებს წერს, მომზიბელვლად კითხულობსო, პაოლო გეიკითხავს პასტერნაკის ახალ ლექსს, ზინაიდა ნიკოლაეენა ნეიპაუზისადმი მიძღვნილ "მეორე ბაღდას". სუნთქვაშეკრულები ეუსმენთ; პაოლო გეიყვება, პასტერნაკს უყვარს ეს ქალი და, ალბათ, შეირთავს კიდევცო; ძალიან ვთხოვე, ჩამოსულიყო საქართველოში, შემპირდა, ზაფხულში ჩამოვალაო.

ბორის პასტერნაკი მართლაც გვეწვია ზაფხულში, თან ჩამოჰყვა ზინაიდა ნიკოლოზის ასული და მისი უფროსი ვაჟი, ხუთი წლის ადიკი. სტუმრები პაოლოსთან დაბინავდნენ. პაოლომ დაგვირეკა და ჩვენც მისკენ გავეშურეთ. ტიციანი აღელვებული იყო. ვალერიანს გავუარეთ, გზად ესაუბრობდით, ნეტა მართლა თუ ისეთია პასტერნაკი, პაოლო რომ გეიყვებოდაო.

კარი პაოლოს ცოლმა თამარმა გაგვიღო. შევედით და მოჯადობულნი შევედექით. როგორი შინაგანი მღვლეარებით იყო სავსე, როგორი შთაგონებული სახე ჰქონდა! ფეხი ვერ მოვიცვალეთ. მაგრამ, აი, გაგვიღიმა, ჩვენც გავუღიმეთ და ამიერიდან უკვე სამარადისო მეგობრები შევიქენით.

...შემდგომში ტიციანის, პაოლოს და სხვა ქართველი პოეტების ლექსების თარგმნისას პასტერნაკი ძალზე ცხადად გრძნობდა მათ სახეებს, და ჰაერში დაკიდებული კოჯრის ციხის ხსენება, ან უძოს საოცარი ბულბულები მისთვის აღარ იყო შემთხვევითი ეგზოტიკური დეტალები, ეს ყველაფერი თაყად ნახა და განიცადა, ეს ანიჭებდა მის თარგმანებს განსაკუთრებულ ბუნებრიობას. პასტერნაკ-მთარგმნელს გარდასახვის უბადლო უნარი ჰქონდა, მაგრამ საქართველო საკუთარი თვალით რომ არ ენახა, ძნელი წარმოსადგენია, შეძლებდა თუ არა, ასე ღრმად და ფაქიზად გადმოეცა ქართული პოეზიის ხიბლი.

კოჯორში პასტერნაკს ხშირად ვაკითხავდით. ერთხელაც მივედით და ბორისმა ტიციანს თავისი ახალი ლექსები წაუკითხა. ეს ლექსები შემდეგ შევიდა წიგნში "მეორედ დაბადება".



პასტერნაკები გვიზიარებდნენ საქართველოში მოგზაურობის საოცარ შთაბეჭდილებას, თუ რა კეთილი, სიმპათიური ჩაღბი ხედებოდათ გზაში.

აბასთუმანში მოგზაურობაზე პასტერნაკი და ტიცციანი სულმოუთქმელად გვიყვებოდნენ: აბასთუმანში ჰაერი ისეთია, ასე გგონია, დედამიწაზე კი არ დააბიჯებ, ჰაერზე დადიხარო. აქეთობას ბაკურიანში შეიარეს, იქ გოგლა ლეონიძე ისვენებდა ოჯახით. ვახშამი პირდაპირ ტყეში გამართეს, სუფრას მამხალეები უნათებდათ. ალბათ, ეს ვახშამი აღწერა პასტერნაკმა მოგვიანებით ტიცციანისადმი მიძღვნილ ლექსში.

თბილისში დაბრუნებული პასტერნაკი ბევრს მიყვებოდა ბაკურიანზე, იმ ვახშამზე, ლეონიძის მომხიბვლელ ცოლზე, მის შვილებზე.

კოჯრიდან პასტერნაკი ქობულეთში წავიდა და იქ მთელი თვე გაატარა. ქობულეთში სიმონ ჩიქოვანსა და ბესო ფლენტს გაეცნო, იქიდან დაიწყო მათი მეგობრობა.

პასტერნაკმა მოსკოვში თან წაიღო პაოლოს, ტიცციანის, ეალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის; სიმონ ჩიქოვანის და სხვა პოეტების ლექსების ბწკარედები. პასტერნაკი იყო თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი პირველი პროპაგანდისტი მოსკოვსა და ლენინგრადში. აქტიურად მონაწილეობდა ქართული პოეზიის საღამოებში, იმხანად რომ იმართებოდა ხოლმე...

1985

## ბერონტი ქიქოძე

### პაოლო იაშვილი

პაოლო იაშვილს პირველად პარიზში შეეხვდი. 1913 წლის ზამთრის და 1914 წლის გაზაფხულის თვეები პარიზის არტისტული ბოკემისა და სტუდენტობის სამულობელოში – ლათინურ უბანში გაატარე; პაოლო იაშვილიც ამავე უბანში ცხოვრობდა. მას ოთახი პანთეონის მახლობლად ეჭირა ესტრაპადის ქუჩაზე. ამ ქუჩის სახელწოდება, უეჭველია, იქიდან წარმოდგება, რომ აქ წინა საუკუნეებში წამების იარაღი ესტრაპადი იდგომებოდა. ეს იარაღი უცნობი იყო ძველ საქართველოში, ხოლო რუსები მას დიბას ეძახდნენ. წარმოიდგინეთ ძალიან მაღალი სახრჩობელა; ზედა კადონზე რკინის რგოლი იყო მიმაგრებული, მასში გრძელი თოკი იყო გაყრილი. ამ თოკის ერთი თავი მიბმული ჰქონდა ხელ-ფეხშეკრულ დამნაშავეს, ხოლო მეორე თავი ჯალათს ეჭირა ხელში: ის თავის მსხვერპლს რამდენჯერმე სულ მაღლა სწევდა, ხოლო შემდეგ თოკს ხელს უშვებდა, რაიცა მის მიწაზე დანარცხებას და ტანჯვით სიკვდილს იწვევდა.

პაოლო იაშვილს და მე ჩვენს ქართველ მეგობრებთან ერთად ბევრი მხიარული საღამო გაგვიტარებია ამ მჭუმუნეარე სახელწოდების ქუჩაზე. პაოლო იაშვილი კარგი კულინარი იყო, მაგრამ საყასბოში ცხენის ხორცს ვერ არჩევდა ძროხის ხორცისაგან. რაც შეეხება ერთი ბოთლი იაფუფასიანი ღვინის ან შამპანიურის ყიდვას, დიდი ღეგუსტატორის ნიჭი არ სჭირდებოდა.

ამ შეხვედრების დროს, სხვათა შორის, ხშირად მოგვიგონია ფრანსუა ვიიონის ლექსები, სადაც ეს ყველა მოხეტიალე და მოუსვენარი პოეტების წინაპარი გონებამახვილად დასცინის ჯალათებს და მათ მიერ აღმართულ სახრჩობელებს. პაოლო იაშვილს უყვარდა აგრეთვე პოლ ვერლენის ძეგლის გვერდით ჯდომა ლუქსემბურგის ბაღში და შადრენის აუზში მობანავე ბელურების ცქერა; რაღაცას ნათესაურს პოულობდა ამ ბავშვივით გულბრყვილო, მაგრამ ბიწიერ პოეტსა და უწყინარ ფრინველს შორის: “ბოროტი ქარი მატარებს აქეთ და იქით მკედარ ფოთოლივით”. პაოლო იაშვილი თავისი გულთბილობისა და თავისი ხელგაშლილობის წყალობით ადვილად ხიბლავდა და იზიდავდა ადამიანებს, თვით ისეთებს, რომელთა ენა მან კარგად არ იცოდა. მან პარიზში რამდენიმე

ფრანგი მხატვარი და პოეტი გაიცნო, მათ შორის იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი იყო გიომ აპოლინერი, რომელიც სიმბოლიზმიდან ფუტურიზმზე გადავიდა, ხოლო ბოლოს, მკონია, სიურრეალისტებს დაუახლოვდა.

მაგრამ იმდროინდელი პარიზელი დეკადენტი და სიმბოლისტი პოეტების ფიქრთა მფლობელად უფრო შარლ ბოდლერი ჩაითვლებოდა, ვიდრე სხვა ვინმე. როგორც კეტრარკამ თავის ლაურასადმი მიძღვნილი სონეტებით ჰუმანიზმის და რენესანსის ეპოქა გახსნა პოეზიის დარგში, ისე უსირცხვილო მულატ ქალზე, "შავ ვენერაზე", კატორღელით მიჯაჭვულმა ბოდლერმა თავისი "ბრონტების ყვაეილებით" დეკადენსის ეპოქა ასახა ევროპული პოეზიის განვითარებაში. მის პატარა პროზაულ პოემებში, მის ლირიკულ ლექსებში, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ფორმის მხრივ კლასიკურად სრულყოფილ სონეტებს უჭირავთ, ინდივიდუალიზმის ღრმა კრიზისი იგრძნობა. თუმცა შარლ ბოდლერი 1848 წლის თებერვალში და იენისში ბარიკადებზე მუშათა კლასის მხარეზე იბრძოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ის ბოლომდე არტისტული ბოქმის, დენდიზმის და სატანიზმის მოციქული დარჩა. და შეიძლება ითქვას, რომ ის ყველაზე დამახასიათებელი ფიგურაა ჯოჯოხეთის ცეცხლით განათებულ პარნასზე. "ჩემი სული გაბზარულია და როდესაც დაჯავრიანების წუთებში მას სურს თავისი სიმღერებით ღამეების ცივი ჰაერი აავსოს, მისი ჩახლენილი ხმა ემსგავსება იმ დაჭრილი მეომრის ხრიალს, რომელიც სისხლის ტბის პირას დაეიწყებით მიცვალებულთა დიდ გროვაში და კედება საშინელ კრუნჩხვაში". ეს სიტყვები ამთავრებს ბოდლერის სონეტს "გაბზარულ ზარს", რომელიც საუცხოო იდილიური სურათით იწყება: ზამთრის ღამეში ანთებული ბუხრის წინ მჯდომარე, შორეულ მოგონებებში წასულ ადამიანს მწუხრის ზარების რეკა ესმის, ისინი ხალისიანად მღერიან ნისლიან სიერცეებში. რა კონტრასტია ზემომოყვანილ ტრაგიკულ სტრიქონებთან და რა სულიერ გათიშვას მოწმობს ეს ლექსი!

პაოლო იაშვილს ბოდლერის სონეტებიდან ყველაზე მეტად მისი "დაწყვეტილი პოეტის დასაფლავება" უყვარდა. "იმ საათში, როდესაც უბიწო ვარსკვლავები თავიანთ დამძიმებულ თვალებს დახუჭავენ, ობობა თქვენს საფლავზე სუდარის ქსოვას დაიწყებს, ხოლო გველი თავის წიწილებს გამოჩეკს: მთელი წლის განმავლობაში თქვენს შეჩვენებულ თავზე მგლები და მშიერი კუდიანები იყმუკლებენ".

მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც პაოლო იაშვილის გარეგნობაში, არც მის სულში არაფერი იყო დეკადენტური: გეგონებოდათ, ის სიმბოლისტური და დეკადენტური პოეზიის სკოლას უფრო თავით მიემხრო, ვიდრე გულითო. ეს იყო ლამაზი, მაღალი, გრუზათმიანი, შავგერქმანი ჭაბუკი, მას ნარკოტიკები სჭირდებოდა, რათა რეალური სამყაროდან

მაცდური მოჩვენებების სამყაროში გადასულიყო. პაოლო იაშვილი ნამდვილი ახლადმოვლენილი აეთანდლი იყო თავის მეგობრებისათვის.

მახსოვს, როგორ იღვა ერთხელ ქუჩაში, სახლის კედელს ზურგიმყრდნობილი, ხალათის ჯიბიდან მუჭა-მუჭა ახლად მიღებულ ქაღალდის ფულს იღებდა და თავის მეგობრებს აძლევდა დაუთვლელად. თვითონ კი მუდამ უყურობას განიცდიდა. მას ძალიან სუსტი წარმოდგენა ჰქონდა ორმაგ ბუნაღტერიაზე და მისი გასაყალი ყოველთვის სჭარბობდა მის შემოსავალს. მას ეადვილებოდა ფულის შოვნა, მაგრამ კიდევ უფრო ეადვილებოდა ფულის დახარჯვა; უფრო ის ახსოვდა, ვისგან ისეხა, ვიდრე ის, ვის ასეხა; განებიერებული იყო შეძლებული მამის მიერ, რომელსაც ის სუფრაზე ხშირად გულს უჩუყებდა: შენს ხუთ ვაჟიშვილში მე იმით გამოვირჩევი, რომ მსხვერპლად შესაწირავ მოზვეერს ვგავარო..

როდესაც პაოლო იაშვილი უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნდა და "ცისფერი ყანწების" ორდენი დააარსა, მან, უწინარეს ყოვლისა, ძველი პოეტური თაობის ცენტრალურ ფიგურას აკაკი წერეთელს შეუტია. ეს გასაგები იყო ახალი ორდენის ინტერესების თვალსაზრისით. მაგრამ ძნელი ასახსნელი იყო პაოლო იაშვილის ადამიანური და პოეტური ბუნების თვალსაზრისით: ის უფრო აკაკი წერეთლის ანდერძის დამცველად გამოდგებოდა, ვიდრე მის დამრღვევად. პაოლო იაშვილის საუკეთესო ლექსებს გამჭვირეალობა და სიმსუბუქე ახასიათებდა, ის საუცხოოდ ფლობდა ქართულ ენას. თვით მისი სამშობლო სოფელი არგვეთი მხოლოდ რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული აკაკი წერეთლის სხვიტორს. თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პაოლო იაშვილმა მშვენივრად გადმოთარგმნა პუშკინის რამდენიმე ლირიკული შედევრი, ერთაქტიანი ტრაგედიები და მოთხრობა "ნასროლო".

პაოლო იაშვილი ძველი დროის რაფსოდებს და ტრუბადურებს ჰგავდა: მისი პოეტური ნიჭის დაფასება არ შეიძლება მარტოოდენ მისი დაბეჭდილი ლექსების მიხედვით. ეს იყო იმპროვიზაციის ჯადოქარი, რომელიც უწინარეს ყოვლისა აუდიტორიის სმენას ხიბლავდა. მას ეერავინ შეედრებოდა დიდ სადღესასწაულო სუფრაზე, მისი სიტყვები შინაარსიანი და გონებაამახვილი იყო ერთსა და იმავე დროს, აქ ის თითქო თავისთავს სჭარბობდა.

როდესაც 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში წითელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ, პაოლო იაშვილმა მათ იმპროვიზებული სიტყვით მიმართა თვითმმართველობის ბალკონიდან. დიდი ყურადღება დაიმსახურა აგრეთვე მისმა სიტყვებმა, წარმოთქმულმა კრემლის პოლიტიკურ ბანკეტზე.

პაოლო იაშვილმა შედარებით მცირე ლიტერატურული მემკვიდრეობა დასტოვა.

სიკვდილის წინ პაოლო იაშვილი აღიარებდა, ჩემი უბედურების ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ბავშვობიდანვე არ შემაჩვიეს სისტემატურ მუშაობასო. მართლაც, პაოლო იაშვილისთვის ძნელი აღმოჩნდა

უშუალო გადასვლა ძველი საზოგადოებიდან, სადაც შრომა ზოგიერთ წრეში ათვალისწინებული იყო, ახალ საზოგადოებაში, სადაც შრომა ყველასათვის საპატიო ვალდებულებად და აღიარებული. ერთ ლექსში, რომელიც უფრო თვითშეგონებას წარმოადგენდა, კიდრე მორალის ქადაგებას, ის ამბობდა:

ვინც გაიტაცა ახალ თაობამ,  
გადაქცეულან რკინის კაცებად,  
ნუთუ პოეტებს გვეპატივება  
აზნაურული გაზარმაყება?

პაოლო იაშვილის გონებრივი ინტერესების არე შემოფარგლული არ იყო მარტოოდენ ლიტერატურით, ხოლო მისი მეგობრების წრე სცილდებოდა "ციხური ყანწების" ასოციაციას. თუ ის მხატვრის გზას გაპყლოდა, შეიძლება გამოჩენილი ოსტატი გამხდარიყო. მან დაუდევარი კალმით ძალიან კარგად გადმოგვცა თავისი მეგობრების ტიციან ტაბიპის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაპის პროფილები; მაგრამ მათ გვერდით დახატული ავტოპორტრეტი მას ნაკლებ ჰგავს.

ერთხელ შემოდგომაზე პაოლო იაშვილი და მეტყვის ქათამზე ვნადირობდით წიწამურის ტყეში, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ამჟამად ილია ჭავჭავაძის ობელისკია აშართული. მშრალი დარი იდგა და ჩვენმა ინგლისურმა სეტრემა ვერც ერთი ტყის ქათამი ვერ წამოაფრინა. შუადღისას დაქანცულობა ვიგრძენით, ერთი ხის ძირში ჩამოვკეპით პატარა ველის პირას და თავის გასართობად ორ-სამჯერ თოფი ვესროლეთ ბუნჩზე მიმაგრებულ თამბაქოს კოლოფს. ორიოდ წუთის შემდეგ დავინახეთ, რომ ტყის სიღრმიდან ორი თოფმომარჯვებული კაცი გვიანლოვდებოდა ფეხაკრეფით. როდესაც ჩვენთან მოვიდნენ, გვითხრეს, ველზე მორბენალმა ძაღლმა გადაგარჩინათ, თუ შორიდანვე ის არ დაგვენახა, უსათუოდ დაგზოცავდითო. საქმე იმაში ყოფილიყო, რომ წინა დღით ყაჩაღებს წიწამურის გზაზე მიმავალი მეურმეები გაუსარცკავთ და მცხეთის მილიციას ტყეში საგანგებო დარაჯები დაუყენებია. პაოლო იაშვილი შემდეგ ხშირად გულწრფელ სინანულს გამოთქვამდა, რომ ის როცა ტყეის მსხვერპლი არ გახდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილას.

ეს აღამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ჭაღებით განათებული დარბაზები, ტაშებით ახმაურებული აუდიტორია, ბრწყინვალე ბანკეტები და არტისტული ყვავახანები უყვარდა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს ძალიან განმარტოვდა. 1937 წლის ზაფხულში ის ხშირად თავის ბინის ლოჯიაში ჯდებოდა ჯაფარიპის ქუჩაზე და სევდიანად გასცქეროდა მახათის შთის გოლგოთას. ხანდახან ბოტანიკურ ბაღში ადიოდა და ცდილობდა აფორიაქებული სული დაემოშმინებია თითქმის დამშრალი ჩანჩქერის პირას.

# ქეთევან ჯავახიშვილი

## მისხილ ჯავახიშვილის ცხოვრება

...კარგად არ მახსოვს რა რიცხვი იყო, უთუოდ ივლისის შუა რიცხვები იქნებოდა, პაოლო იაშვილი ბერიამ რომ თავისთან დაიბარა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ბერიამ მას დააეალა მამას და ტიციანის წინააღმდეგ ცრუ ბრალდება დაეწერა, რომელსაც ისინი შემდგომ საბუთად გამოიყენებდნენ. მაშინ უთუოდ უკვე გადაწყვეტილი იყო ამ ორი მწერლის ბედი. პაოლო რომ ბერიასაგან წამოსულა, გზადაგზა გადაწყვეტილება მიუღია. შინ გაუვლია, თავისი სანადირო თოფი აუღია და ცოლისათვის უთქვამს, მე სანადიროდ მივიდივარო. ამ დროს კი მწერალთა კავშირში სხდომა მიმდინარეობდა, სადაც კელაე, ხალხის მოვალატე მწერლების საკითხს იხილავდნენ. პაოლომ გეზი მწერალთა კავშირისაკენ აიღო. სხდომა დაწყებული იყო, ის რომ დარბაზში შევიდა, მოუნახავს თავისუფალი ადგილი მამას გვერდით და სკამზე ჩამოიჯდარა. მამას ჩემად უკითხავს, — რა იყო, რა გითხრა ბერიამო? პაოლოს უქასუხია: — საიმისო არაფერი... ცოტა ხნის შემდეგ კი უთქვამს: მალე დაგიმტყიცებთ, არც ისეთი ცუდი კაცი ვარ, თქვენ რომ გგონიათო. მამავერამი უხედა პაოლოს ნათქვამს... ცოტა ხნის შემდეგ პაოლო ადგა და ოთახიდან გავიდა. მცირე ხნის შემდეგ, ზევითა სართულიდან საშინელი გრიალი და თოყის გასროლის ხმა გაისმა. კრება აიშალა და შეშინებული ხალხი ზევითა სართულისაკენ გაიქცა, მამაც გაჰყვა მათ. სულის შემზარავი სურათი გადაეშალათ მათ თვალწინ. ზემო სართულის პატარა ლერეფანში, იატაკზე, პაოლო იაშვილი სისხლში მოსვრილი იწვა! მან თავის თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენი. საჯიჯგნად თავი არავის არ მისცა. ტყუილად ხომ არ უთხრა მამას, მალე გაივებთ, რომ მე არც ისეთი ცუდი კაცი ვარო. მან ვერ შესძლო თავისი მეგობრები სასიკედილოდ გაეწირა და ისევ ვაუკაცური სიკედილი არჩია. ხალხი შეპრწუნებული იდგა და ზევიდან დაჭყურებდა მას. სამარისებურ სიჩუმეში დემეტრასის ხმა გაისმა: ამხანაგებო, ისეთი არაფერი მოხდა, წავიდეთ, კრება გაეაგრძელოთ. მან არაფრად ჩააგდო პაოლოს თავგანწირვა, თითქოს აღამიანი კი არა, ჩიტი მომკეღარიყო. ხალხსაც მეტი გზა არა ჰქონდა, მაშინვე იქაურობას გაეცალნენ, დარბაზში ჩავიდნენ და კრება გააგრძელეს. არავითარი შებრალება, გამოხმაურება არ იყო. ხალხის გული და შეგ-

რძნება გაქვავებული და უკვე გადაგვარებული იყო. ეს ამბავი 22 ივლისს მოხდა. მე ახალი ჩამოსული ვიყავი ლენინგრადიდან.

მამა შინ რომ დაბრუნდა, ძალზე ფერწასული იყო. კარებშივე შევატყვე, რომ რაღაც მოხდა. შეკითხვაზე, მოკლედ მიპასუხა — პაოლომ თავი მოიკლავ — და თავის ოთახში შევიდა. ამ ამბავმა თავზარი დაგვცა, მაგრამ მამას ეადროვებოდა, რომ გონს მოსულიყო და შემდეგ თვითონვე მოეთხრო. სადილად რომ დაესხედით, ხმა არ ამოუდია. თაეჩაღუნული სადილობდა. ყელში ლუკმა არ გადასდიოდა, მაგრამ რას გაგაწყობდით? ჩუმად ვისხედით...

1991

!

... С Тицианом и Паоло я познакомилась в начале 30-х годов у Бориса Пастернака. Оба они представляли в то время для нас, русских поэтов, Грузию. Оба часто приезжали в Москву и Ленинград вместе.

Однажды Борис Пастернак привел Тициана и Паоло ко мне, на Фонтанку, 34, где я тогда жила. По моей просьбе Тициан прочел много стихотворений по-грузински: Мне хотелось глубже проникнуть в музыку грузинского стиха, постичь его звучание...

Мы все, ленинградские поэты, очень его любили... Тициан, как и Паоло, всю свою жизнь неукоснительно крепил дружбу наших литератур, дружбу поэтов Грузии и России...



## ВЕТЕР С КАВКАЗА

... Спускаюся с башенки — вниз.

Натыкаюсь на О.А. Ростовцеву.

— Я — из Батума, Борис Николаевич; и — не одна, с вашим гостем — грузинским поэтом: он — хочет вас видеть.

